საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

ა. გოგვერაძე

ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1961

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის ა. ბოგვერაძის წინამდებარე ნაშრომში განხილულია ადრეფეოდალური ხანის საქართველოს საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი საკითხები.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ადრეფეოდალური ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ზოგადი მიმოხილვა. მომდევნო თავებში თანმიმდევრობით შუქდება მიწათმფლობელობის ფორმები და ძირითადი საზოგადოებრივი კლასების სტრუქტურული შედგენილობა.

წინასიტყვაობა

ადრეული ფეოდალიზმის ცნება ქართულ ისტორიოგრაფიაში XX ს. 30-იანი წლებიდან დამკვიდრდა. მას შემდეგ ქართული ფეოდალიზმის, კერძოდ, მისი ადრეული საფეხურის, მეცნიერული შესწავლის საქმე საკმაოდ დაწინაურდა. ასე რომ, საქართველოში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით დღეისათვის მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები მოგვეპოვება (აკად. ს. ჯანაშია, აკად. ნ. ბერძენიშვილი და სხვ.). ამ მიმართულებით გაღრმავებული კვლევა-ძიება კიდეევაც გრძელდება. მიუხედავად ყოველივე ამისა, სპეციალური შრომის მომზადება ისეთ რთულ თემაზე, როგორიცაა ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, მეტ-ნაკლებად, ხელსაყრელ პირობებშიაც მძიმე საქმეა. საკითხის სირთულესთან ერთად მასალათა მეტისმეტი სიმცირის გათვალისწინებით ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ხასიათის სიძნელეებთან გვქონდა საქმე.

ჩვენი ნაშრომის მომზადებისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევებით ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის შესწავლაში. ავტორის მიერ წამოყენებული ზოგიერთი ახალი დაკვირვება ვერ ათავისუფლებს მას ამ დამოკიდებულებისაგან. შესაძლებელია ის ყველგან საჭირო მეცნიერულ სიმაღლეზე ვერ იდგეს, რაც შრომის მნიშვნელოვანი ნაკლი იქნება უთუოდ. მაგრამ ავტორისათვის, რომელიც პირველად სინჯავს თავის ძალას ასეთ ძნელ საქმეში, ვფიქრობთ, მოიძებნება საფუ-

ძველი თვით მკაცრი და პირუთვნელი მსჯავრისაგან მისი ერთგვარი გამართლებისათვის.

ნაშრომი გულდასმით გადაიკითხეს და საჭირო შენიშვნები და რჩევა-დარიგებები მოგვაწოდეს ჩვენმა მეცნიერმა ხელმძღვანელმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, პროფ. მ. დუმბაძემ და უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. ლორთქიფანიძემ. გაწეული დახმარებისა და ყურადღებისათვის ჩვენს მოვალეობად ვთვლით აღნიშნულ პირთ. გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ.

შესავალი

ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახუშტი ბაგრატიონით იწყება. თავისი ისტორიის („საქართველოს ცხოვრება") ცნობილ შესავალში მეცნიერმა ქართული ფეოდალიზმის არა ერთი თავისებურება აღნიშნა და დროის შესაფერი ახსნაც მოუძებნა.

ვახუშტის მიერ წარმოდგენილი ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი ავტორის მახვილი თვალისა და სანიმუშო ისტორიული ალღოს უტყუარი მოწმობაა. აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის თავადაზნაურულმა და ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ ვახუშტი ბატონიშვილის მეცნიერულ მონაპოვარს ბევრი ვერაფერი შემატა და ზოგიერთ რაშეში კიდეც ჩამორჩა.

XIX ს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი კვლევის ძირითად საგნად საქართველოს პოლიტიკური ისტორია გაიხადა და ქართულ ფეოდალიზმსაც, არსებითად, პოლიტიკური ხასიათის მოვლენად მიიჩნევდა.

ქართული ფეოდალიზმის შესწავლის საქმეში გარდატეხა იწყება XIX ს-ის დასასრულიდან. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართული ფეოდალიზმის ცალკეულ საკითხებზე მთელი რიგი გამოკვლევებით გამოდიან ალ. ხახანაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ს. ავალიანი, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე და სხვ., რაც მნიშვნელოვანი მომენტი იყო ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფიის შემუშავების თვალსაზრისით.

ქართული ფეოდალიზმის ცალკეული ინსტიტუტების წარმოშობისა და მათი სოციალური ბუნების შესწავლის საქმეში განსაკუთრებით საპატიო ღვაწლი აკად. ივ. ჯავახიშვილს მიუძღვის.

განსვენებულ მეცნიერს ფეოდალიზმის ქართულ შესატყვისად პატრონყმობა მიაჩნდა, რომელიც მისი აზრით, X — XIII სს. საქართველოს სოციალურ-უფლებრივი წესწყობილების ქვაკუთხედი იყო[1]. პატრონყმობის წინა პერიოდი (VII—IX სს.) ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა გარდამავალ ხანად, როცა, მისი სიტყვით, მონობა აღარ არსებობდა, მაგრამ პატრონყმობა ჯერ კიდევ არ იყო[2].

მართალია, ივ. ჯავახიშვილის რიგი დებულებები ქართული ფეოდალიზმის შესახებ დღეისათვის მოძველდა, მაგრამ მის მიერ მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი ცნებები და დაკვირვებები დარჩა იმ ძვირფას მასალად, რომელსაც ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ რევოლუციამდელი მეცნიერული შენამოქმედის განახლება გადახალისების საქმისათვის წარმატებით მიმართა.

თავისი შეხედულება ქართული ფეოდალური წყობილების შესახებ რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ჰქონდა პროფ. ს. კაკაბაძესაც.

ს. კაკაბაძე ფეოდალური წყობილების ელემენტებს IX—X საუკუნეებში ხედავდა, ხოლო ფეოდალიზაციის პროცესის დასასრულს XIV საუკუნეზე დებდა[3].

ქართული ფეოდალიზმის და, კერძოდ, მისი ადრეული საფეხურის შესწავლა მარქსისტული მეცნიერების მოთხოვნილებათა შესაბამისად ქართული ისტორიოგრაფიის საბჭოურ პერიოდში იწყება.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია. თბ., 1928, წიგნი I. გვ. 198.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 198.

[3] С. Н. К а к а б а д з е, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков, Тифлис, 1912, стр. 7,14.

საქართველოს ისტორიის ამ უბანზე განსაკუთრებით საპატიო ღვაწლი აკად. ს. ჯანაშიას მიუძღვის. განსვენებული მეცნიერის ისეთმა გამოკვლევებმა, როგორიცაა „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე", „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში" და სხვ., მთელი გარდატეხა მოასწავეს ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით.

კვლევის მარქსისტული მეთოდის მომარჯვებით და ფაქტების სანიმუშო ანალიზის შემწეობით, ს. ჯანაშიამ ქართული ფეოდალიზმის არა ერთი ძირითადი საკითხი დააყენა და ახლებურად გადაჭრა. ს. ჯანაშია უმთავრესად ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემასა და ადრეფეოდალური ხანის ისტორიის საკითხებზე მუშაობდა.

ფეოდალიზმის ჩასახვისა და მისი განვითარების ნიშნებს მან გაცილებით ძველ დროში მიაკვლია, ვიდრე ამას მანამდე ფიქრობდნენ ისტორიკოსები. ს. ჯანაშიას აზრით, ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პროცესი ჯერ კიდევ I—III სს. დაიწყო, მონური წარმოების კრიზისთან დაკავშირებით, ხოლო მე-6 საუკუნიდან ეს ურთიერთობა საბოლოოდ გამარჯვებულია.

ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცების ხანას შეეხება ს. ჯანაშიას ნაშრომი „არაბობა საქართველოში", სადაც გაშუქებულია ფეოდალიზმის შემდგომი განვითარებისა და არაბთა მფლობელობის მნიშვნელოვანი საკითხები. ცალკეული საკითხები ადრეფეოდალური სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებიდან ს. ჯანაშიას განხილული აქვს თავის წერილებში: „ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში" და „О времени и условиях возникновения Абхазского царства".

მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების კვლევას ს. ჯანაშია ორგანულად აკავშირებდა ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებთან. თავის შრომებში მან მოხაზა ადრეფეოდალური საზოგადოებრივი კლასების სტრუქტურული შედგენილობა და მისი განვითარება, აჩვენა, რომ ყოველივე ეს, ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებისა

და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პიოობებში მიმდინარეობდა.

ქართული ფეოდალიზმის ძირითადი საკითხების დამუშავებისას, ს. ჯანაშიამ თავისი შეხედულება გამოთქვა პატრონყმობის შესახებაც. თუ აკად. ივ. ჯავახიშვილს პატრონყმობა საქართველოს სოციალური ცხოვრების საზოგადო მოვლენად მიაჩნდა, აკად. ს. ჯანაშია მას მხოლოდ ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ ერთ ძირითად მოვლენად თვლიდა.

ს. ჯანაშიას აზრით, პატრონყმობა არის ისეთი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე, სამხედრო სამსახურის პირობით[1].

„ამდენადვე პატრონყმობა არ ფარავს მთელს საზოგადოებრივ ურთიერთობას, კერძოდ—ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასების ურთიერთობას"[2]. და რომ, „თავისი საზოგადოებრივი ფუნქციის თვალსაზრისით პატრონყმობა არის მემამულეთა შინაგანი ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმა"[3].

ადრეფეოდალური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხებზე უკანასკნელ წლებში ინტენსიურად მუშაობს აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ადრე უმთავრესად XIII—XVIII სს. საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს იკვლევდა.

ნ. ბერძენიშვილმა ფეოდალური საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას საფუძვლად ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების (კლასობრივი ბრძოლის) პროცესი დაუდვა და მისი პირველი ფაზა—ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა VI—X საუკუნეებით შემოსაზღვრა.

საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოსათვის დაწერილ ცალკეულ თავებში („ადრეფეოდალური ხანა", „განვითარებული ფეოდალიზმის ხანა"), ნ. ბერძენიშვილს გა-

---

1 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, მოხსენების თეზისები, შრომები, II, გვ. 434.

2 ი ქ ვ ე. გვ. 434.

3 ი ქ ე ე. გვ. 435.

შუქებული აქვს ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი საკითხები.

ავტორის აზრით, საქართველოში X ს. მიწურულისათვის საზოგადოებრივი განვითარების ადრეფეოდალური საფეხური დასრულდა. აკად. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, ქართული პატრონყმობა ივივე ადრეული ფეოდალური ურთიერთობაა. ამდენად, პატრონყმობა, მისი აზრით, მოიცავს მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ფეოდალური ურთიერთობის გარკვეულ ხანაში.

თავის მრავალმხრივ საყურადღებო წერილში „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში". ნ. ბერძენიშვილს ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობის სფეროში გამოვლინებული საზოგადოებრივი ბრძოლის არა ერთი საყურადღებო ფაქტი აქვს გამორკვეული და დადგენილი. წერილში „მოკიდებულისათვის" დაყენებულია პატრონყმური საზოგადოებრივი ურთიერთობის წიაღში წარმოქმნილი ამ საყურადღებო საზოგადოებრივი გაერთიანების (ფეოდალური ინსტიტუტის) საკითხი. ცალკე უნდა აღინიშნოს ნ. ბერძენიშვილის ნარკვევი „მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში". სადაც ავტორი იკვლევს მიწის ფეოდალური საკუთრების იურიდიულ მხარეს. რომელიც ორგანულ კავშირშია ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებთან.

ბოლო დროს გამოქვეყნებულ წერილებში—„ისტორიული გეოგრაფიისათვის" და „ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული ღღიურიდან", აკად. ნ. ბერძენიშვილი სახავს ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების მატერიალური საფუძვლების მანიშნებელი კონკრეტული ფაქტების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანის პერსპექტივას, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის სოციალური სურათის შესაქმნელად.

ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მთელი რიგი დებულებები ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ურთიერთობიდან, ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, სახელმძღვანელოდ რჩებიან.

ადრეული ფეოდალიზმის პოლიტიკური და სოციალური ხასიათის რიგ საკითხებზე კარგა ხანია, რაც სპეციალურად მუშაობს ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. ლორთქიფანიძე, რომელმაც არა ერთი ნაშრომი გამოაქვეყნა ამ მიმართულებით: „ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX—X საუკუნეების საქართველოში“, „ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში“, „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან“, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“ და სხვ.

ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებთან კავშირში უნდა აღინიშნოს პროფ. შ. მესხიას შრომებიც: „ხელოსნური წარმოება ძველ საქართველოში“ (საკანდიდატო დისერტაცია) და „Города и городской строй феодальной Грузии“.

ამ გამოკვლევებში შ. მესხიას გამოთქმული აქვს არა ერთი მოსაზრება და დებულება ფეოდალური ქალაქების წარმოშობის, მათი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის, ქალაქის სოციალური სახისა და საქალაქო წესწყობილების შესახებ, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ჩვენი კვლევა-ძიების საგანთან.

ჩვენი გამოკვლევა არ ისახავს მიზნად ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მხარისა და მოვლენის მთელი სიგრძე-სიგანით გათვალისწინებას. ჩვენ უფრო ვცდილობდით ადრეფეოდალური ქართლის საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი სურათის წარმოდგენას, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდნენ ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები შესაბამის უბანზე და, განსაკუთრებით, ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ისტორიული წყაროები.

რაც შეეხება ადრეული ფეოდალიზმის ეკონომიურ საფუძვლებს, მათ წარმოჩენაზე იძულებული ვიყავით ნაკლებად შევჩერებულიყავით, რადგანაც საამისო კონკრეტული ფაქტების ამოკრეფა ჩვენს წერილობით ძეგლებიდან და მათი ახსნა-განმარტება, შეიძლება ითქვას, დამთავრებულია და ახალს

ერაფერს მოგვცემდა, ხოლო მატერიალური საბუთების მოპოვება, სხვა ხასიათის ძეგლთა ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის გზით, ხანგრძლივ და სპეციალურ ძიებას საჭიროებს; ეს კი ჩვენი შრომის მიზანს ამჟამად შორდებოდა.

შედარებით უფრო ვრცლად გვაქვს განხილული ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმები, რომლის გათვალისწინების ნიადაგზეც ვცდილობდით ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათის შეცნობას. ქართული მიწათმფლობელობის ხასიათის საფუძვლიანი შესწავლა, ქართული ფეოდალიზმის თავისებურების ასახსნელად, ჩვენი მომავალი კვლევა-ძიების ამოცანაა. ამჯერად კი ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ერთგვარად გამარტივებული მსჯელობის მეტს ვერას ვიძლევით. ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა, ცხადია, კლასობრივი ბრძოლის მომენტსაც გულისხმობს. სამწუხაროდ, შესაფერი მასალების სიმცირის პირობებში, კლასობრივი ბრძოლის კონკრეტული ფაქტების ჩვენება, საჭირო სიცხადით, ყოველთვის ვერ მოვახერხეთ.

ჩვენი გამოკვლევის ძირითად საკითხად, დავისახეთ ადრეფეოდალური ქართული საზოგადოების სოციალური შედგენილობისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის გარკვევა.

საამისოდ გულდასმით ვეცნობოდით ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებს, უფრო მოგვიანო ხანის დოკუმენტურ მასალებს. ყურადღების გარეშე არც მეზობელი სომხეთის მდიდარი საისტორიო მწერლობის მონაცემები დაგვიტოვებია. განსაკუთრებით ვაკვირდებოდით სოციალურ ტერმინებს, მათ წარმოშობას და თავდაპირველ მნიშვნელობას, დროისდა კვალად ამ მნიშვნელობის განვითარება-ცვლილებას.

ამ მიზნით ხშირად ვიხედებოდით აგრეთვე ნათარგმნი ლიტერატურის მთელ რიგ ძეგლებში, მათ შორის ბიბლიისა და ოთხთავის უძველეს ვარიანტებში. ასეთი ხასიათის სამუშაოს ჩატარების შემდეგ უფრო გაგვიმტკიცდა რწმენა, რომ ქართულ სოციალურ ტერმინოლოგიას საზოგადოების სოციალური განვითარების რიგი მომენტების ახსნაში დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

ასეთი და სხვა ხასიათის სამუშაოს ჩატარების შედეგად საკუთარი შეხედულება შეგვიმუშავდა აზნაურთა ფენის საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მისი განვითარების ისტორიის გარშემო; იგივე ითქმის გლეხის, როგორც ადრეფეოდალური ხანის არა თავისუფალი მწარმოებლის, გაჩენის ძირითადი მიზეზის შესახებ, ერისმთავრის ხელისუფლების შინაარსზე და ზოგიერთ სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან კითხვაზე.

თავი პირველი

VI—X სს. ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ზოგადი მიმოხილვა

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეისათვის განმტკიცებულია აზრი, რომ ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების თარიღი ქართლში მე-6 ს. მიჯნაზე უნდა იქნეს დადებული.

„მეექვსე საუკუნე ნამდვილი ისტორიული მოსაბრუნია ჩვენი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით ძველ ხანაში"[1],— ამ სიტყვებით იწყება აკად. ს. ჯანაშიას ცნობილი ნაშრომი— „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", რომელიც მართლაც რომ მოსაბრუნი იყო საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის შესწავლის საქმეში[2].

VI საუკუნეში ქართლის მეფის დესპოტური (თვითმპყრობელური) ხელისუფლება იცვლება ერისმთავრის ფეოდალური ხელისუფლებით, ადგილი აქვს ქვეყნის ინტენსიურ სამეურნეო დაწინაურებას, რაც წარმოების ახალი (ფეოდალური) წესის ზრდა-წარმატების პირდაპირი შედეგი იყო და პირუკუ: ქართლის ინტენსიური მეურნეობის განვითარება იყო მთავარი საფუძველი ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა-გა-

---

1 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 1.

2 განსვენებული მეცნიერი ამ შრომაში თავისი გამოკვლევის შედეგებს ასე აჯამებდა: „ამრიგად, შეგვიძლია მივიღოთ, რომ მეექვსე საუკუნიდან მთელი საქართველოს მიწა-წყალზე შეუზღუდველად მკვიდრდება ფეოდალური საწარმოო წესი, ფეოდალური საკუთრება და სახელმწიფოებრივობა, ფეოდალური იდეოლოგია", იქვე, გვ. 127.

შარჯვებისა ჩვენში. ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მეექვსე საუკუნე დიდი განახლება-ცვლილებებით აღინიშნა.

ეკონომიურმა აღმავლობამ ყველაზე ძლიერ მიწათმოქმედებაში იჩინა თავი. მონის შრომა მეტოქეობას ვეღარ უწევდა და გზას უთმობდა თავისუფალი და ნახევრად თავისუფალი შეურნეების საქმიანობას. „ქვეყანას" ფასი დაედო, მიწა ადამიანის სიმდიდრისა და ძლიერების საფუძველი გახდა, ხოლო მიწათმოქმედების დონე ბევრად იყო დამოკიდებული საირიგაციო საქმის დაყენებაზე. მიწათმოქმედების განვითარების ინტერესებით იყო გამოწვეული სახელმწიფოს მიერ დიდი საირიგაციო სამუშაოების ჩატარება, რაც მნიშვნელოვნად აფართოებდა მარცვლეული კულტურების მოსაყვანად ვარგისს ადგილებს.

ისტორიული წყაროების მწირი ცნობებითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა ინტენსიურად უწარმოებიათ ქართლში სხვადასხვა სარწყავი არხების მშენებლობა[3]. უძველესი არხის გაყვანას ქართლში „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ალექსანდრე მაკედონელის ლონისძიებად მიიჩნევს: „დასცა ვენაკი და რუჲ გამოიღო ქსნით"[4]. ხოლო მეფე თრდატმა (IV ს. მიწურული) „რუსთავისა (რუჲსთვისა. შატბერდული ტექსტი) რუჲ გამოიღო"[5].

---

3 ქართლის მოქცევის მატიანეს. რომელიც შინაარსის მხრივ მშრალი და ქრონიკული ხასიათის ნაწარმოებია, არ ავიწყდება ცნობების მოცემა მნიშვნელოვანი არხების გაყვანის თაობაზე, რითაც კარგად ჩანს თუ რა დიდი უურადღებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი ყოფილა მორწყვის საქმე ძველ ქართლში.

4 Е. Такайшвили, описание рукописей, II Тиф., 1908, გვ. 708.

5 იქვე, გვ. 720. ლ. ჭილაშვილის აზრით, „წერილობითი ცნობა რუსთავის არხის IV ს. გაყვანის შესახებ. უნდა გავიგოთ როგორც ძველი არხის განახლება, ან არხის მიმართ რაიმე ახალი სამუშაოს ჩატარება". „ქალაქი რუსთავი", 1958, გვ. 39.

აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის წერილში „ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან" შენიშნავს, რომ რუსთავის არხის ძველობა, ვიდრე ეს ტრადიციით იგულისხმება, სავარაუდებელი ჩანს. იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 145.

VI ს-ში მუხრანის ველზე გაუყვანიათ წილკანის არხი. უძველეს არხებს ეკუთვნის ნასტაკისის, საგლახაოს და სამგორის არხებიც. აკად. ნ. ბერძენიშვილი ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-გამარჯვების ხანისად მიიჩნევს აგრეთვე ნახიდურის, გაჩიანის, მუხრანის და რუის-ურბნისის არხებს[6]. საერთოდ, პატივცემული მეცნიერი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების უმნიშვნელოვანეს მატერიალურ საფუძველს ძველ ქართლში მორწყვის ტექნიკის მაღალგანვითარებულობაში ხედავს.

განვითარებული მიწათმოქმედებისა და მევენახეობის წყალობით ქართლი მდიდარი ქვეყანა იყო, რაც მეზობლებისათვისაც კარგად იყო ცნობილი. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე ქართლსა და სომხეთზე ამბობს, რომ ეს ქვეყნები მეტად ნაყოფიერი იყო და დიდ გადასახადებს იძლეოდაო[7]. პროკოფი კესარიელის ცნობით, მესხეთის მთები სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგანაც მესხები დახელოვნებული მიწათმოქმედნი არიან და ვენახებიც აქვთო[8].

მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნეში ქართლში უმთავრესად სპარსელები ბატონობდნენ, რომლებიც ხრავდნენ და ანადგურებდნენ ქვეყნის მატერიალურ დოვლათს, ქართლი სამეურნეო აღმავლობის გზით მიდიოდა.

ქვეყნის სამეურნეო განვითარებას ძველი ურთიერთობის რღვევა მოჰქონდა. სასოფლო თემი იშლებოდა, მეურნეობისათვის განსაკუთრებით ვარგის მიწებზე თავს იჩენდა კერძო საკუთრების შემოსვლა. თემი ირღვეოდა, როგორც შიგნიდან, მეურნეობის განვითარების საფუძველზე, ისე გარედან, ახალგაზრდა ფეოდალური კლასის შემოტევისაგან. სათემო მიწათმფლობელობიდან გამოძევებული ყოფილი მეთემეები თავისი პატარა მიწით, თუ უმიწოდ ამა თუ იმ უფლის „მფარველობაში“ (ყმობაში) შედიოდნენ და მის სასარგებლოდ გარ-

---

6 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 142.

7 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 246.

8 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. II, 1934, გვ. 97.

ძველულ ეალდებულებებს კისრულობდნენ. მიწაზე სხამდნენ ახლა ყოფილ მონებსა და ტყვე-უცხოელებს და ყველა მათ გლეხად აქცევდნენ. ასეთი მიწის მუშების მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო, მათ ბეგრის გამოღება და მუშაობა-სამსახური ჰქონდათ დაკისრებული. მიწათმფლობელებს შორის დამოკიდებულებაც საადგილმამულო ურთიერთობათა ნიადაგზე ეწყობოდა. მიწა საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის საფუძველი გახდა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს:

„თანდათან იქმნებოდა, სამიწო ურთიერთობის ნიადაგზე, ორი კლასი, რომელთაგან ერთისათვის მიწა სიმდიდრისა და სოციალური ძლიერების წყაროდ იქცეოდა, ხოლო მეორისათვის სიღარიბისა და დამონების წყაროდ. იქმნებოდა ფეოდალური ურთიერთობა"[9].

სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია აღნიშნულია, რომ მეფობის გაუქმება ქართლში ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შედეგი იყო. ახალი ურთიერთობა კი ქვეყნის პოლიტიკურ გარდაქმნას საჭიროებდა.

„ერისთავ-წარჩინებულებმა საკუთარი კლასის ინტერესებისათვის გასწირეს საკუთარი (ქართველი) მეფე და ქვეყანა უცხო ძალას დაუმორჩილეს"[10].

ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ერისთავებმა, რომლებიც უკვე დიდი ხანი ებრძოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას საერისთაო ქვეყნების საშვილიშვილოდ დამკვიდრების მიზნით, ირანელი უფლისწულის ქასრე, ამბარვეზისაგან, რომელიც რანის ერისთავად იყო დანიშნული, მიიღეს „სიგელნი მკჳდრობისანი" („საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-

---

9 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1959, გვ. 105.

10 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქ. საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 166.

შვილამდე"). მაგრამ ქართლის წარჩინებულების თანხმობა ირანელებთან დიდხანს არ გაგრძელებულა[11].

„აზნაურთა სოციალურად აღმავალ კლასს სურდა ქვეყნის სათავეში ჰყოლოდა არა შაჰის მოხელე, არამედ ამ აზნაურთა ნების ამსრულებელი ფეოდალური მეფე"[12].

მაღე შესაფერი დროც დადგა („იქმნნეს შფოთნი დიდნი სპარსეთს შინა")[13] და „შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ჩათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთოსა შეუცვალებელად"[14].

კეისარმა დააკმაყოფილა წარჩინებულთა თხოვნა და ქართლში კურაპალატის ტიტულით ვახტანგის შთამომავალი გუარამი წარმოგზავნა. ამ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის ფაქტი ქართლის მოქცევის მატიანეში დამახასიათებელი თავშეკავებით არის აღნიშნული: „ნელადრჱ შეკრება ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ"[15].

„ახალი ხელისუფლების მეთაური კი არ იყო მეფე „ნებითა ღვთისათა", „თვითფლობით მპყრობელი", როგორც თავის უფლებას უთუოდ განმარტავდა ძველი ქართლის მეფე, ან საითკენაც მერმინდელი მონარქი მიისწრაფვის, არა. ეს თვით წარჩინებულთა მიერ „განჩენილი", დადგენილი, დანიშნულია, თვითონაც წარჩინებულია და მემამულე, მსგავსად თავის „გან-

---

11 სტეფანე ბიზანტიელის ცნობით, VI ს. 70-იან წლებში იბერიელები გურგენის მეთაურობით გადადგომიან სპარსელებს და რომაელებს მიმხრობიან.

12 საქართველოს ისტორია, I. დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 106.

13 ისტორიკოსს მხედველობაში აქვს ჰორმიზდ IV-ის მეფობის ბოლო წლებში ირანის საგარეო და საშინაო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რასაც ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილის ბიზანტიელების ხელში გადასვლა მოჰყვა (სებეოსი).

14 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, გვ. 217.

15 Е. Такайшвили, Описание рукописей, II, გვ. 724.

მაჩენელთა“, იგი მხოლოდ ყველაზე წარჩინებულია წარჩინებულთა შორის“[16].

ერისმთავრობის დაწესება ქართლში „იყო დიდი მნიშვნელობის ფაქტი ახალი (ფეოდალური) სოციალ-ეკონომიური წესწყობილების ზრდა-წარმატებისათვის“[17], და ქართლიც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით სწრაფად დაწინაურდა. არაბთა შემოსევის ხანისათვის ქართლის საზოგადოებას მკვეთრად გამოხატული ფეოდალური ხასიათი ჰქონდა.

ოჯ საზოგადოების გაბატონებულ წრეს წარჩინებულნი „შეადგენდნენ. „წარჩინებული“ ამ დროს ტექნიკურ სოციალურ ტერმინს წარმოადგენდა და ზოგადი ეპითეტიც იყო მაღალი საზოგადოებრივი ფენისათვის. მაგრამ ეს ფენა თავისი შემადგენლობით ერთგვაროვანი არ ყოფილა.

„სეფეწულები“, „მთავრები“, „ერისთავები“, „აზნაურები“ წარჩინებულთა სხვადასხვა კატეგორიებს ქმნიდნენ.

სეფეწულები ქართლის წარჩინებულთა უმაღლეს წრეს შეადგენდნენ. მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ძირითადად, მეფური წარმოშობით, სამეფო გვარიშვილობით იყო განსაზღვრული. ადრეფეოდალურ ხანაში ეს წრე საკმაოდ დაშორდა მთავარ სამეფო შტოს და თავისი რეალური მდგომარეობით და ინტერესებით უფრო ორგანულად ქართლის არა მეფური წარმოშობის არისტოკრატიას დაუკავშირდა[18].

გაბატონებული საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს შეადგენდნენ მთავრებიც. ტერმინს ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა. „მთავარი“ ადრეფეოდალურ ხანაში ჩვეულებრივ ხელისუფლების („ხელმწიფობის“) მქონე პირისადმი ეწოდებოდა. ასეთი კი შეიძლებოდა ყოფილიყო ამა თუ იმ ქვეყნის დამოუკიდებელი ან დამოკიდებული მფლობელი, ზოგჯ რაც, უბრა-

---

16 ს. ჯანაშია, შრომები, I, 107.

17 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 108.

18 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 17.

ლოდ, წარჩინებული პირი[19]. ამის გამო იყო, რომ „მთავრობით“ იხსენიებდნენ როგორც ერისთავ-პიტიახშებს, ისე რომელიმე დაბის უფალს. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ „მთავარი“ „დიდი აზნაურის“ სინონიმური მნიშვნელობით იხმარება[20].

V—VIII სს. ქართლში ქართული და უცხოური წყაროები ხშირად ასახელებენ მთავრებს, როგორც საზოგადოების მმართველ წრეს. „ევსტათი მცხეთელის წამებით“, უმეფობის ხანაში ისინი არიან ქვეყნის მზრუნველ-ჭირისუფალნი. უპირველესი ადგილი მათ შორის ქართლის „ერისმთავარს“ უჭირავს („ქართლის ცხოვრება“ ამ ხელისუფლების მატარებელს, ჩვეულებრივ, „მთავარს“ უწოდებს). დროთა განმავლობაში „მთავარმა“ პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო და „გახელმწიფებულ“ ერისთავებს აღნიშნავდა.

ერისთავები ცალკეულ მხარეებსა და ქვეყნებს განაგებდნენ. ისინი მეფის საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი იყვნენ. საერისთაო ქვეყანა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად ითვლებოდა, რომლის მართვა-გამგეობის ყოველი მხარე ერისთავს ეკითხებოდა. ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის დროიდან ერისთავები მეფის მოხელეობას აღარ სჯერდებოდნენ და საერისთაოების საშვილიშვილოდ გასაკუთრებას ცდილობდნენ. სახელმწიფოს ცენტრალურ აპარატსა და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთ შორის ამ ნიადაგზე ბრძოლას დიდხანის ისტორია ჰქონდა[21]. ამ ბრძოლაში ჩაბმული იქნენ ში-

---

19 ო. ს ო ს ე ლ ი ა, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, მიმომხილველი, II, 1951, გვ. 171.

20 იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. თბილისი, 1949, გვ. 33, 38.

21 ლეონტი მროველის მიხედვით, დასაბამი ამ ბრძოლისა საურმაგის ხანაშია საგულვებელი, რომლის დროსაც ერისთავები შეთქმულან: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ემსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცაეინ გამოჩნდეს მძლე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26). აზნაურების დახმარებით (ლეონტით აზოსეული მხედრებია, მაგრამ ჩვენ აზნაურთა სოციალური ფენი უნდა ვიგულისხმოთ, რომელსაც ქართლის სამეფო ხელისუფ-

ნაურნი თუ გარეულნი (სპარსელები, ბერძნები), რაც საბოლოო ანგარიშით, ქართლის სამეფო ხელისუფლების დამხობით დამთავრდა VI საუკუნეში. გამარჯვებული ერისთავი საშვილიშვილოდ დაჯდა საგამგეო ქვეყანაში და გამკითხავი აღარავინ ჰყავდა. ერისმთავრობის დაწესებას ქართლში მათი მონაპოვარის შეზღუდვა, მით უმეტეს წართმევა არ მოჰყოლია. ერისთავები თვით გამოვიდნენ შექმნილი ვითარების შესაფერისი უზენაესი ხელისუფლების დაარსების ინიციატორებად. უკვე პირველმა ასეთმა ხელისუფალმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთვოთაგან მათთა... არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“[22]. ამიერიდან ერისთავები მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომლის წარმომადგენელიც „ერისთავთა-მთავრად“ გამოდიოდა.

VIII საუკუნეში ერისთავებს მიტაცებული მიწა-წყალი კანონიერი საშუალებით, მეფე მირის სიძეობის გზით, გაუფორმებიათ: არჩილმა თავისი ძმისწულები, ძმის ანდერძის თანახმად, ერისთავებს ცოლად მიათხოვა და სახელმწიფოს მიწა-წყლის ნახევარი სიძეებს მზითევში გაატანა[23].

წარჩინებულთა შედარებით დაბალ და მრავალრიცხოვან წრეს აზნაურები შეადგენდნენ. აზნაურთა სოციალური ფენა უმთავრესად მეფის სამსახურში დაწინაურებულ თავისუფალ მესაკუთრე-მიწისმფლობელთაგან იქმნებოდა, რომლის გა-

---

ლება შემდეგშიაც ხშირად ეყრდნობოდა ქართლის არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში), ეს ბრძოლა მაშინ ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ დამარცხებულებს თავიანთ კლასობრივ მიზნებსა და მისწრაფებებზე ხელი არ აუღიათ. როცა VI ს-ში ბარდავში (რანის საპიტიახშოს ცენტრი) გამოჩნდა ბაპის აგენტი უფლისწულ ქასრე ამბარვეზის სახით, ერისთავებმაც სამსახურისათვის მას მიაშურეს (თჳს—თჳსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“). სამაგიეროდ მისგან მიიღეს „სიგელნი მკჳდრობისანი“, და „განდგეს ერისთავნი...“ „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 217.

22 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 221.

23 აკად. ნ. ბერძენიშვილს ჯუანშერის ეს ცნობა ერისთავთა წრეში შეთხზულ ლეგენდად მიაჩნია. იხ. საქართველოს ისტორია, I, მაკეტი, 1956, გვ. 190.

მოყოფაც „ერის“ წიაღიდან ხდებოდა, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის შედეგად. აზნაურობას ადრეფეოდალური ხანისათვის განვითარების დიდი გზა ჰქონდა განვლილი. ეროვნული ტრადიცია მათ გაჩენას ჩვენში ალექსანდრე მაკედონელის ხანას მიაკუთვნებს. ლეონტი მროველის ცნობით, პირველი აზნაურები ქართლში რომაელი მხედრები ყოფილან, რომელნიც საურმაგმა ერთგულების გამოჩენისათვის „წარჩინებულ ყუნა“.

ლეონტი მროველის ცნობაში, აზნაურთა შესახებ, აისახა უმთავრესი გზა (მეფის მხედრობით) აზნაურ-წარჩინებულად გახდომისათვის. აზნაურებს მეფის წინაშე ლაშქრობა და საპატიო სამსახური ემართათ. ამ მოვალეობის შესრულების საფუძველი კი მიწა იყო. ადგილ-მამული აზნაურებს საკუთარიც გააჩნდათ, რითაც თავის დროზე გამოეყვნენ „ერის“ დანარჩენ მასას, ხოლო შემდეგში სამხედრო სამსახურის პირობითაც იღებდნენ ე. წ. „საკარგავებს“[24].

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება ქართლში აზნაურთა აღმავალი ფეოდალური კლასის დიდი გამარჯვება იყო. წარმართული სატაძრო მფლობელობის სეკულარიზაციის შედეგად (მონური შრომის გამოყენების არეალი შეიზღუდა, რითაც მონათმფლობელური წარმოებით ურთიერთობას მიიმე მარცხი უნდა განეცადა) ცენტრალური ხელისუფლების ხელში თავისუფალი მიწების დიდი ფონდი აღმოჩნდა, რომელიც უმთავრესად აზნაურებზე იქნა, სამხედრო სამსახურის პირობით, გაცემული. აზნაურთა მიწათმფლობელი ფენა ამ დიდი მნიშვნელობის ღონისძიების შედეგად საკმაოდ მოღონიერებულა და მალე საეკლესიო ხასიათის მშენებლობებს

---

24 ს. კაკაბაძე „საკარგავს“ „კარგვა“-დან წარმოშობილად მიიჩნევს. „კარგვა“, მისი აზრით, სამხედრო შინაარსისაა და რიგში ან მწყობრში გასვლას ნიშნავდა, ხოლო აქედან წარმოებული „საკარგავი“—მწყობრში სამსახურისათვის დაწესებულ სარგოს. იხ. მისი, ვახტანგ გორგასალი, თბილისი, 1959, ვვ. 44—45.

შესდგომია (ქრისტიანულ ეკლესიაში კლასობრივი მოკავშირე დაუნახავს). და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მამულიც ეკლესიებისათვის აზნაურებსავე გაუჩენიათ[25].

ერისმთავრობის ხანა ქართლში აზნაურთა სწრაფი სოციალური დაწინაურებით აღინიშნა. აზნაურობა თავისი შემადგენლობით და მდგომარეობით ერთგვაროვანი მასა არ ყოფილა. შთამომავლობით აზნაურები „ნათესავით აზნაურებად" იწოდებოდნენ[26]. მსახურეულ აზნაურებს კიდევ მეფის აზნაურებს ეძახდნენ. აზნაურების დამოკიდებულება მეფეზე. მთავარზე ან ერისთავზე. საერთოდ, „შვილის" (ყმის). დამოკიდებულება „უფალზე" (პატრონზე) „წინაშედგომით" და „საკუთარით" აღინიშნებოდა[27]. „საკუთარად" უფალთან განსაკუთრებით დაახლოებული. და მისანდობელი პიროვნება იწოდებოდა „წინაშემდგომელთაგან"[28].

პროფ. ილ. აბულაძის ეტიმოლოგიით, „საკუთარი" ნაწარმოებია კუთ- ფუძისაგან, რომელიც. თავის მხრივ. კუეთ- ფუძისაგან ამოდის („საკუთ-არი" „სა-კუეთ-არი") და მოაქვს

---

25 აკად. ს. ჯანაშიას ის სოფლები, რომლებიც აზნაურებს „ეკორგა წმიდისა" და „სტეფანე წმიდის" ეკლესიებს „დაიმოთაულს". სრულიად სამართლიანად, მაშენებელ აზნაურთა საადგილ-მამულო ფონდიდან ეკუთვნება გამოყოფილი. იხ. ს. ჯანაშია, შრომები. I, გვ. 286.

26 იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. გვ. 71: და ცხოვრება სიბ. პალესტინელისა, კ. კეკელიძე, კიმენი, II. 1946. გვ. 216.

27 ადრეფეოდალურ ხანაში მფარველობით ნიადაგზე წარმოშობილი ფეოდალური დაქვემდებარების ტერმინი უნდა ყოფილიყო „მოკიდებული"-ც. იხ. ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებული"-სათვის, მიმომხილველი, I, 1949.

28 „წინაშემდგომელი" გაარსებითებული მიმღეობაა. (ამავე მნიშვნელობით ნათარგმნ ძეგლებში იხმარება „გარემდგომარე"-ც). იოანე მთაწმიდელის შესახებ მის „ცხოვრებაში" წერია, რომ იგი იყო „დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა.. ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ხსენებულისა დავით კურაპალატისაჲ". იხ. ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, 1946, გვ. 15—16.

ამავე თხზულებაში სხვაგან (გვ. 50) წერია: „ქართა რომანოზ მეფესათა, დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ"..

თავისი მნიშვნელობა: გამოკვეთა, გამოყოფა. გამორჩევა. განთვისება, განჩემება და სხვა[29].

ყველა უფალს ჰყავდა თავისი „წინაშემდგომელნი“ და „საკუთარნი“. ასეთი უფალი, თავის მხრით, უფრო ძლიერი ხელისუფალის (მამაუფალი) „წინაშემდგომელი“ და „საკუთარი“ იყო[30].

„საკუთარი“, როგორც „მფარველობით“ ურთიერთობაში მყოფი „შვილის“ სახელი, ჯერ კიდევ, „შუშანიკის წამებაში“ იხმარება:

„ჰრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან“[31].

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებით“ ჩანს წინაშემდგომელთა“ და „საკუთართა“ დამოკიდებულების ერთი მხარე თავიანთი უფლის მიმართ. მათი მოვალეობა „დიდი მთავრის“ ხლება, მის ამალაში ყოფნაა: თხზულებაში ისინი „მთავრებად“ არიან წოდებულნი, მხოლოდ, როგორც „საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი“.

„საკუთარნი“ „წინაშემდგომელთა“ შედარებით უფრო ვიწრო წრედ გამოიყურება.

ყველა ნიშნით, ეს „მთავრები“ „დიდი მთავრის“ („მამაუფლის“) „მფარველობაში“ შესული „შვილები“ არიან. ამრიგად, „წინაშემდგომელი“ და „საკუთარი“ წარჩინებულთა საზოგადოების შიგნით არსებული „მფარველობითი“ დამოკიდებულების ტერმინებს წარმოადგენდნენ.

აზნაურებზე დაბლა მხედრები და მსახურნი იდგნენ. საერთოდ, ადრეფეოდალურ ხანაში ისინი გარდამავალ საზოგადოებრივ ფენას შეადგენდნენ. მხედრები მუდმივ სამხედრო სამსახურში მყოფი მოლაშქრეები იყვნენ, მსახურებს კი გამოყე-

---

29 ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბილისი, 1959, გვ. 165—166.

30 „უფალნი ესე ჩემნი დიდებულნი არიან და საკუთარნი მეფისანი“. კიმენი, I, გვ. 78.

31 შუშანიკის წამება, ილ. აბულაძის გამოცემა, 1938, გვ. 26.

ნება უმთავრესად სამოქალაქო ცხოვრების სფეროში ჰქონდათ[32].

ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით უმთავრესი მნიშვნელობა მაინც „ერში“ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიურ პროცესებს ჰქონდათ. ახალი ურთიერთობის წარმოქმნა ქართლში „ერის“ ხანგრძლივი ფეოდალიზაციის შედეგი იყო. ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ „ერზე“ ლაპარაკი იყოს საუბარი სტრაბონის ცნობაში მესამე გენეს („მიწისმოქმედნი და მეომარნი“) შესახებ. სტრაბონის დროს „ერი“, ჯერ კიდევ, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან თავისუფალ მასას წარმოადგენდა („ყოველი ერი“), თუმცა, როგორც აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, შემდგომი სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაციის გზაზე იყო შემდგარი“[33].

ქვეყნის შემდგომი ეკონომიური დაწინაურების პირობებში საზოგადოებრივი წინსვლა ამ პროცესის გაღრმავება-განვითარების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ამ განვითარების შესაბამი იყო „ერის“ სოციალური ტერმინოლოგიაც. ქართული ისტორიული წყაროებით[34] მონათმფლობელური ქართლის საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე ეს ფენა „ერის“[35] ან „ყოველი ერის“ სახითაა გამოყვანილი. გამოთქმა „ყოველი ერი“ ამ საზოგადოების შინაგანი დიფერენციაციის განვითა-

---

32 ბატონყმურ საქართველოში „მსახურებს“ სამსახურის გარდა ლაშქრობაც ჰქონდათ დაკისრებული, გარდა იმისა, რომ მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ.

33 ს. ჯანაშიას აზრით. უკვე I ს. დამდეგს ჩვენს ერამდე „ერის“ „მეომარსა“ და „მიწათმოქმედ“ ფენას შორის ეკონომიურ ნიადაგზე ერთგვარი ბზარია გავლებული.

34 მართალია, ეს წყაროები მოგვიანო ხანისაა. მაგრამ მათში ძირითადად სწორადაა ასახული ეპოქის ვითარებით გამოწვეული ტერმინოლოგიური ცვლილებები.

35 ლეონტი მროველთან ეს „ერი“ („ერი ქართლისა“) ზოგჯერ საზოგადოების წარჩინებულ ნაწილსაც ნიშნავდა. იხ. ქართლის ცხოვრება, I, 57.

რების მაჩვენებელია[36]. თუმცა ჯერ კიდევ შესაძლებელი ყოფილა მისი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ერთგვარ მთლიან მასად წარმოდგენა.

მაგრამ უკვე V საუკუნისათვის იხსენიება „წურილი ერი", რომელიც წარჩინებულებისაგან მკვეთრად განსხვავებულ პოზიციაზე დამდგარა ზოროასტრიზმთან დამოკიდებულების საკითხში. ჯუანშერს ეს საყურადღებო ფაქტი ქართლში ირანის რელიგიური პოლიტიკის პროპაგანდისტ ბინქარან ეპისკოპოსის საქმიანობასთან დაკავშირებით აქვს ნახსენები[37].

„ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლის-სამსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა ცეცხლისმსახურებასა."[38]

ჩანს, „წურილი ერის" პოზიცია სარწმუნოების საკითხში კლასობრივი თვალსაზრისით ყოფილა გამოწვეული.

საყურადღებო მომენტია. საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, წარჩინებულებმა თავიანთი კლასობრივი მიზნებისათვის მამაპაპის რწმენას მიდევნებულ ამ ხალხს ხელი ააღებინეს თავიანთ სარწმუნოებაზე და თავს მოახვიეს ახალი რელიგია (ქრისტიანობა). თუ წარჩინებულთა წრეში მას მალე გაუდგამს მკვიდრი ფესვები, „ერში" კი ჯეროვანი წარმატება არ ჰქონია. მაგრამ იქმნება ხელსაყრელი ვითარება და ახლა უკვე კლასობრივი საზომით „წურილი ერი" მიუდგა რელიგიის არჩევის საკითხს: მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ზოროასტრიზმს ეზიარა. ჩანს, ირანის შაჰის ხელისუფლება თავის პოლიტიკაში

---

36 „ყოველი ერი", ჩვეულებრივად. მთელ ქართველ ხალხს არ ნიშნავდა. მისი წიაღიდან კარგა ხნის გამოყოფილი იყვნენ „ერისთავნი" და მეფის პალატ-ბანაკის წევრები („მოქცევაჲ ქართლისაჲ", გვ. 724, 730), „მთავრები" (ქართლის ცხოვრება, გვ. 100, 121), „აზნაურები" (იქვე, გვ. 135).

37 აკად. კ. კეკელიძის აზრით, ეს ბინქარან და „მოქცევაჲ ქართლისაჲს" გლონოქორ (—ბლონქარან. კ.კეკელიძის აღდგენით) ერთი და იგივე პირია. იხ. მისი, ვინ არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს" გლონოქორ", ეტიუდები, III, 1955. ეს უკანასკნელი, კი, როგორც წყაროში წერია: „ერისთავადცა იყო ბარაზბიდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს". იხ მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 721.

38 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 145.

ქართლის მიმართ, ფეოდალური ურთიერთობის გზაზე დამდგარი ქვეყნის სიმტკიცის შესარყევად. კლასობრივი ბრძოლის გაღვივების ცდასაც არ აკლებდა. უფრო გვიან ირანმა თავის სასარგებლოდ მოხერხებულად გამოიყენა ქვეყნის შიგნით გამწვავებული შინაკლასობრივი ბრძოლა.

„წურილი ერი", როგორც აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, ზეიდან არის დარქმეული, იგი წარჩინებულთა ტერმინია „დაბალ". „პატარა" ხალხის აღსანიშნავად. თვით „წვრილი ერი"— კი, რომელიც განაგრძობდა თავის უფლებებისათვის ბრძოლას და რომელსაც საკუთარი ჩამომავლობა კარგად ახსოვდა. თავის თავს „ერს" ეძახოდა[39].

სახელწოდება „წურილი" მაჩვენებელია „ერის" დაშლის გარკვეული ეტაპისა. თავისი წიაღიდან წარჩინებულთა საზოვადოების ინტენსიური გამოყოფის შედეგად (მთავარი, ერისთავი, აზნაური...) ძველი „ერი" დამცირდა, დაწვრილდა, დაკნინდა. პირად თავისუფლებას ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ. ადრეფეოდალურ ხანაში მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი, „ერის" ეს „წურილი" ნაწილი („მდაბიო-მდაბიურები") იყო.

„წურილი ერი" ჩვენს მატიანეებში ერთხელ კიდევ იჩენს თავს მე-11 ს-ში. შავშეთ-კლარჯეთში ბიზანტიელთა აგენტის დემეტრე კლარჯის ავანტიურასთან დაკავშირებით. „წურილებს" აქაც კლასობრივი ალღოთი დემეტრე კლარჯის ბანაკისათვის მიუშურებიათ: „მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან"[40].

„უეჭველია, ამ „წურილ ერს" რაღაც რეალური ამოძრავებდა და არა ცარიელი „მემკვიდრე" მეფე"[41].

თუ მე-11 ს. ისტორიკოსის ენაზე ვახტანგ გორგასალის ხანის დაბალი ხალხი „წურილებს" წარმოადგენდნენ, V ს. ორიგინალური ლიტერატურის ცნობილ ნაწარმოებში („შუშანიკის წამება") მათ „უაზნონი" ეწოდებათ.

---

39 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, I, გვ. 272.

40 ქართლის ცხოვრება. I. გვ. 292.

41 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქ. საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, გვ. 170.

„უაზნო“ „აზნაურის“ საპირისპირო ცნება და ტერმინი იყო, ე. ი. აზნაურობას მოკლებული, არა წარჩინებული[42]. ეს ტერმინი თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაშიაც იხმარება: „გვარითა არა უაზნო“, ე. ი. პირველი ისტორიკოსის ენაზე რომ ვთქვათ—არა „უგვარო“.

იაკობ ხუცესის თხზულებაში „უაზნონი“ დაბალი მასის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია. პირადად ეს ხალხი თავისუფალი უნდა ყოფილიყო (ტექსტში „აზნაური“ ტექნიკურ სოციალურ ტერმინს წარმოადგენს) მაგრამ წარჩინებულთა მდგომარეობასა და უფლებებს მოკლებულია.

„წურილი ერი“ და „უაზნონი“ ადრეფეოდალურ ხანაში ზოგადი ტერმინები იყო თავისუფალ „ქუეყანის მოქმედთა“ ფენის აღსანიშნავად. ამ მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე „მცირენი“ და „ცოტანი“. „წურილი“, „მცირე“, „ცოტა“ სრულ სემანტიკურ და სოციალურ შესატყვისებს წარმოადგენდნენ.

მაგალითად: „ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა“[43]; „ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა“[44];

„დიდთა და წვრილთა წყალობა“; „დიდსა და წვრილსა ყველასა ცრემლი სდის“[45];

„უკადრი შეცოდებისა დიდთა და ცოტათაგან“[46];

---

42 უკანასკნელი გამოთქმა ლეონტისეულია. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 31.

43 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I. გვ. 276.

44 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 335.

გელათის სახარების მინაწერში ლიპარიტ ყოფილი ერისთავი ამბობს: „ესე წიგნნი ვინ გამახვნეს კაცნისა ეკკლესიასა ანუ შვილმან ჩემმან, ანუ დიდებულმან ანუ მცირეელმან, ანუ რამანცა გვარმან კაცისამან...“.

იხ. Г. Е. Церетели, Полное собрание надписей, Москва, 1891, გვ. 49.

45 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1951, 49.2; 1582.3.

46 ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

„რაოდენიცა თქუენ ჩემსა სახლში არ იხილენით და არც თქუენმან თუალმან არა ნახა, იმის მეტი არა მყვანდეს, არც დიდის კაციშვილი და არც ცოტასი“[47].

მაგრამ აღნიშნულ სახელებს უმთავრესად მაინც სოციალური ელფერი ჰქონდათ (ეს მათი მეორეული მნიშვნელობაა), ხოლო ტექნიკურ სოციალურ ტერმინს ამ საზოგადოებისათვის „მდაბიო“ („მდაბიური“) წარმოადგენდა. „მდაბიოს“ დამკვიდრება ხმარებაში „ერის“ მნიშვნელოვანი ნაწილის დაშლისა და გაქრობის მაჩვენებელი იყო. „მდაბიურები“, სასოფლო თემებში გაერთიანებული მიწის მუშათა საზოგადოების სახით, უკანასკნელი ნაშთი იყო ძველი „ერისა“. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი ამით არ დასრულებულა. ქვეყნის შემდგომი განვითარება ამ „წვრილებს“, „მდაბიურებს“ ყმობის უღელში აბამდა და სრული თავისუფლების დაკარგვის ჟამიც ახლოვდებოდა.

მაგრამ ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების გზაზე შემდგარ ქვეყანას მალე დიდი დაბრკოლება გადაეღობა არაბების სახით.

არაბები ქართლში პირველად მე-7 ს. 40-იან წლებში გამოჩნდნენ, მაგრამ ეს მარბიელი ლაშქრის თარეში უფრო ყოფილა. ქართველებს ისინი მაშინ ადვილად გაურეკიათ. 50-იანი წლებიდან კი არაბებმა შედარებით მკვიდრად მოიკიდეს ფეხი ქვეყანაში. ამ ხანებს ეკუთვნის ბალაძორთან დაცული ე. წ. „დაცვის სიგელი“, რომლითაც დამპყრობელ-დაპყრობილის ურთიერთვალდებულებანი იყო განსაზღვრული.

ამ „სიგლის“ მეორე მუხლის თანახმად, ქართველებს ხარკის სახით უნდა გადაეხადათ ჯიზიათი—პირადი გადასახადი ყოველ თავზე. VIII ს-ში ქართლის მოსახლეობა არაბებს უხდიდა უკვე ხარაჯასაც (გადასახადი მიწაზე). საერთოდ, არაბთა ბატონობის მთელი სიმძიმე ქართლის მოსახლეობამ

---

47 ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., II, 1959, გვ. 351. ამავე ტექსტში გვხვდება „წვრილი კაციც“, გვ. 345.

VIII ს. იგრძნო[48]. საარაბო ხარკით გატანჯული ხალხის გულისტკივილს მოსთქვამდა იოანე საბანისძე: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირძვირად ზღვეულნი“.

სომხეთის მაგალითზე უნდა ვიფიქროთ, რომ არაბული ხარკისგან ქართლის საზოგადოების არც ერთი ფენა არ ყოფილა განთავისუფლებული, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, წარჩინებულთა წრისათვის იგი მაინც უფრო ასატანი იქნებოდა, ვიდრე მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოებისათვის. ამის გამო იყო, რომ „დამპყრობელმა ქართულ საზოგადოებაში რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი დასაყრდენი ვერ გაიჩინა და მას თავისი ბატონობის განხორციელება შიშველი ძალით-ღა უხდებოდა“[49].

VIII ს. 20-იან წლებში დამპყრობელმა რამდენჯერმე ააოხრა ქართლი, მაგრამ ქვეყნის დამშვიდება მაინც ვერ შეძლო. ასეთ ვითარებაში ხალიფატიდან ქართლში დიდი ჯარით მოვიდა არაბთა სარდალი მურვანი (736—738 წწ.). მას აჯანყების ცეცხლით მოცული ქვეყნის სამაგალითო დასჯა ჰქონდა დავალებული.

„მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიელისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“[50].

ქართლი არაბთა ამ შემოსევის შედეგად ისე დაზარალე-

---

48 როგორც აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა: „არაბულ ხარკს უნდა შეეტანა გაცილებით უფრო ღრმა რღვევა ცალკე ეკონომიურ ჯგუფებში, ვიდრე ეს ხდებოდა წინათ“. იხ. მისი, არაბობა საქართველოში, შრომები, II, 1952, გვ. 393.

49 საქართველოს ისტორიის მაკეტი, I, გვ. 110.

50 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 234.

ბულა, რომ იქ, როგორც ამბობს ისტორიკოსი: „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა“[51].

არაბთა ბატონობის მძიმე შედეგები ქვეყნისათვის მეტი შთამბეჭდავი ძალით გადმოსცა იოანე საბანისძემ თავის „აბოთბილელის მარტვილობაში“.

„არაბობა“, როგორც დაბალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, აფერხებდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების საქმეს, მაგრამ გამოუსწორებელი ზიანის მიყენება საქართველოსათვის მან ვერ შესძლო. ფეოდალური ქართლის საზოგადოებრივი ორგანიზმი მტკიცე აღმოჩნდა და მან გაუძლო მძიმე განსაცდელს. ამას ახლა ხელს უწყობდა ფეოდალურ ნიადაგზე არაბთა უზარმაზარი ცენტრალური სახელმწიფოს თანდათანობითი დაშლაც. IX საუკუნიდან ხალიფას მორჩილებიდან იწყეს გამოსვლა პროვინციელმა მოხელეებმა, რომელთა შორის თბილისის ამირები განსაკუთრებით აქტიურობდნენ. მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მრავალგზისი ცდისა (მებრძოლთა სხვადასხვა ბანაკში აღმოჩნდნენ ადგილობრივი მთავრებიც), საუკუნის დამლევისათვის თბილისის ამირებმა ფაქტიურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

თბილისის საამიროს ამიერიდან მის გარშემო წარმოქმნილ ქართულ სამთავროებთან ჰქონდა საქმე[52].

არაბთა ბატონობამ ქართლის გაბატონებული საზოგადოების შიგნით ძალთა ახალი განლაგება, გადაჯგუფება გამოიწვია. მოძალადეთა რეპრესიების შედეგად ქართლის უძველეს არისტოკრატთა არა ერთი სახლი დაიმხო და მოიშალა. მათ ადგილზე სხვები მოდიოდნენ. საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში ახალი ჯგუფები და ძალები მოექცნენ.

---

51 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 239.

52 აკად. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „არაბთა ერთიანი სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა ეს იყო დაპყრობილ კულტურულ ხალხთა გაპარჯვება, იმდროინდელი საზოგადოებრივი ეითარებისათვის შეუფერებელის და ამდენადეე ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელი ორგანიზაციის დამსხვრევა და კულტურულ ხალხთა შემოქმედებითი ძალების განთავისუფლება“. იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, მიმომხილველი, II, 1951, გვ. 40.

ცვლილება მოხდა ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს ორგანიზაციის თვალსაზრისითაც.

VI ს. დამლევს, როდესაც ქართლში ერისმთავრობა დაწესდა, ერისთავის მკვიდრობა საერისთავო ქვეყანაზე მომხდარი ფაქტი იყო. ქართლის ერისმთავარიც იძულებული გახდა შექმნილ მდგომარეობას შერიგებოდა და ფეოდალური მორჩილების საფუძველზე თავის „განმაჩენელთა“ „ხელმწიფობა“ აცნო. რეალური ვითარების გვიანი გამოხატულება იყო ის რეფორმა, რომელსაც ჯუანშერი არჩილს მიაწერს (VIII ს. 40—50-იანი წლები). ქვეყნის ნახევარი არჩილს სამეფო საკუთრებაში დაუტოვებია, ხოლო დანარჩენი ქართლი ერისთავებში გაუნაწილებია, „მკვიდრად და სამამულოდ“. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ ერისთავები, ძირითადად, თავიანთ საგამგეო ქვეყნებს ღებულობენ უკან, მხოლოდ, ახალ საფუძველზე (საშვილიშვილოდ) თითქოს. მაგრამ ერისთავებსა და მათ მეთაურს შორის წარმოქმნილ ამ ურთიერთობას გაცილებით დიდი ხნის წარსული ჰქონდა, შაჰისა და კეისრის ე. წ. „მკვიდრობის სიგლების“ წყალობით. გამოდის, რომ ერისმთავრები ქართლის მეფეების პოლიტიკას არ ეხსნებოდნენ (ტყუილად როდი აცხადებდა თავმოწონებით ერთ-ერთი ამათგანი: „მე მეფეთა საყდართა ვზიო“) და ერისთავების სრულ მორჩილებაში მოყვანას ცდილობდნენ.

არჩილის რეფორმები ერისთავთა თვალსაზრისით მათი პრეტენზიების დაკმაყოფილების „კანონიერი“ საშუალება უნდა ყოფილიყო. ამის გამო, ადვილი შესაძლებელია, რომ XI ს. ისტორიკოსს ამ შემთხვევაში თავის თხზულებაში მართლაც ერისთავთა წრეში შექმნილი ლეგენდა ჰქონდეს შემოტანილი. ერთი კი ცხადია, რომ VIII ს. შუა ხანებში ქართლის ფეოდალური სახელმწიფო ერისმთავარსა და ერისთავებს შორის არსებული სამამულო ურთიერთობის ამ პრინციპზე მოეწყო. თავის მხრით, ხელმწიფე—ერისთავებს (მთავრები) გარშემო ჯგუფდებოდნენ სხვა მცირე მფლობელები („მამაუფალს“ „შვილებად“ ეწყნარებოდნენ). თანდათან მთელი ქართლი სამთავროებით მოიფინა, რომლის ორგანიზაციის სურათი აკად. ნ. ბერძენიშვილს ასე აქვს მოცემული:

„მცირე „მთავარი“ თავისი სასახლით, ციხით და მიტაცებულ-მითვისებული მიწებითა და დაბა-სოფლებითურთ უფრო ძლიერი მფლობელის, „დიდი მთავრის“ „მფარველობაში“ შედიოდა. ეს მცირე მთავრები ამიერიდან „დიდ მთავარს“ „ახლდნენ“, მის ამალას შეადგენდნენ. იქმნებოდა სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია, საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ წარმატებით გამკლავებოდა როგორც საკუთარ გლეხობას კლასობრივ ბრძოლაში, ისე მეზობელი მთავრის მტაცებლურ ზრახვებს“[53].

ქართლის დაყოფა მრავალრიცხოვან სამთავროებად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის შესაფერი პოლიტიკური ფორმა იყო. ქვეყნის შემდგომი წინსვლა ამ სამთავროების უფრო მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებად გაერთიანების საკითხს აყენებდა, რაც საბოლოოდ ფეოდალური ქართლის სრული გაერთიანებით უნდა დამთავრებულიყო.

როცა IX ს. დამლევს არაბებმა ქართლის ერისმთავრობა მოსპეს, ქვეყნის განაპირა მხარეებში, მსხვილი გაერთიანებების სახით უკვე არსებობდნენ კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროები. ქართლის დაუფლება-დაპატრონების სურვილს ყველა ამათგანი იმთავითვე იჩენდა. გამწვავებული კლასობრივი და შინაკლასობრივი ურთიერთობის პირობებში სამთავროებს შორის დაიწყო ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის.

განვლილ დროში ფეოდალური წყობილება კიდევ უფრო განმტკიცდა. ქვეყანა საზოგადოებრივი განვითარების მაღალ საფეხურზე შედგა. საზოგადოების ფეოდალური ნაწილი ახლა უკვე მთლიანად აზნაურებისაგან შედგებოდა. „აზნაურმა“ თავისი მნიშვნელობით დაფარა „წარჩინებული“ და ამიერიდან მას მხოლოდ ზოგადი სოციალური მნიშვნელობა დაუნარჩუნა. აზნაურობა უკვე აღარ იყო ერთი მთლიანი ფენა. აზნაურთა ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბების პროცესში იყვნენ ე. წ. დიდი, ანუ დიდებული აზნაურები.

---

53 ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში, საქ. ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 120.

„დიდებული[54] აზნაური“, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ჯერ კიდევ აზნაურთა საერთო წრეს და წოდებას ეკუთვნოდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ერთ-ერთ ასეთ „დიდ აზნაურს“ ზოგჯერ მარტო „აზნაური“ ან „აზნაური მეფისაჲ“ ეწოდება.

„დიდებული აზნაურები“ IX—X სს. აზნაურთა უმაღლეს კატეგორიას შეადგენდნენ. ყმა-მამულის სივრცე-სიმრავლით ეს ჯგუფი უძლიერესია[55].

უნდა აღინიშნოს, რომ IX საუკუნიდან, ე. ი. ახალი ფეოდალური საძთავროების წარმოშობის დროიდან, „მთავრის“ ადგილი თანდათან „დიდებულმა აზნაურმა“ დაიჭირა (ეს, ცხადია, სამთავროების მეთაურებს არ ეხებათ, არამედ მათ მოკიდებულ-წინაშემდგომელთ) სხვანაირად, წარმოუდგენელიც იყო. საქართველოს გაერთიანების დიდი პროცესი ამ მომრავლებულ ხელმწიფე-მთავართა უფლებების შეზღუდვით დაწყო.

მაგრამ „დიდებულმა აზნაურმა“ (შემდეგში „დიდებულმა“) ვერ შესძლო „მთავრის“ ხმარებიდან სავსებით განდევნა[56]. ერთი მხრით, ეს, ალბათ, ტრადიციის შედეგი იყო, მეორე მხრით, გამოწვეული იმითაც, რომ ახალ ტერმინში ძველის

---

54 ე. ი. „დიდების“ მქონე. „დიდება“ ეწოდება მეფის მიერ აზნაურისათვის თანამდებობის მინიჭებას და ამ თანამდებობასთან დაკავშირებით ყმა-მამულის წყალობას (ნ. ბერძენიშვილი).

55 თუ რაზე იყო დაფუძნებული „დიდობა-დიდებულება“ ფეოდალურ ქვეყანაში, კარგად ჩანს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“. იქ ნათქვამია: „იყო ვისმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქვეყანასა ამასა, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომელთა სივრცე საზღვრთვრცელ და მრავალ იყო“. იხ. კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა. 1935, გვ. 154.

56 „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ „მთავარი“ „დიდებული აზნაურის“ მნიშვნელობით და გვერდით იხმარება. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში „მთავარი“, ასევე, „დიდებულის“ პარალელურ სინონიმს წარმოადგენს. მსგავსი სურათია „იოანეს და ეკვთიმეს ცხოვრებაში“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში და სხვა ისტორიული თუ ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტებში. ჩანს, თვით ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ტერმინი „მთავარი“ არ კარგავდა სიცოცხლისუნარიანობას, რაც რეალური ვითარების ანარეკლი იყო უთუოდ.

ცნება და შინაარსი სავსებით არ მომკუდარა (ეს დიდებულები ყოველთვის იჩენდნენ მისწრაფებას გახელმწიფებისაკენ).

აზნაურთა დანარჩენი ფენი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მათი სოციალური მდგომარეობა წარმოშობით, კუთვნილებით, ქონებრივი შეძლებით და სამოხელეო თანამდებობით იყო განსაზღვრული. აზნაურთა ეს ნაწილი უმთავრესად „მემამულე“ და „მოსაკარგავე“ აზნაურებად განიყოფოდა. „მემამულეს“ (resp. „ნათესავით აზნაური“) მემკვიდრე, შთამომავლობით აზნაურებს ეძახდნენ. „დიდებული აზნაურები“ უმთავრესად, სწორედ, „მემამულე აზნაურები“ იყვნენ. „მოსაკარგავედ“ კიდევ მეფის მსახურეული აზნაურები იწოდებოდნენ. მსახურეულ აზნაურებს წარმოადგენდნენ „ტაძრეულებიც“. საკუთარი აზნაურები ჰყავდათ აგრეთვე ეკლესიამონასტრებს და დიდებულ აზნაურებსაც. აზნაურების უმთავრესი მოვალეობა პატრონის წინაშე ლაშქრობა და საპატიო სამსახური იყო, რომლის შეძლების საფუძველი საკუთარი მამული და პატრონისაგან მიღებული „საკარგავი“ იყო. მემამულეობის თვალსაზრისით ისინი უმთავრესად წვრილი მფლობელები არიან. მცირეა მათი ყმებისა და გლეხების რიცხვიც.

საქართველოს ეკონომიური აღმავლობა და ქვეყნის სამხედრო ძლიერების ზრდა აზნაურთა რიგების გამრავლებას ხელს უწყობდა. აზნაურთა წრეში გაჩნდა პროფესიულ რაინდ-მოლაშქრეთა გარკვეული ჯგუფი, ე. წ. „აზნაური ჰაბუკები“, „სინი პატრონის (მეფე, ეკლესია, დიდებული) „ყმებად“[57] ითვ-

---

57 აქედანაა ნაწარმოები „მოყმე“, რომელიც XI—XII სს. მხატვრულ ლიტერატურაში ჩვეულებრივია რაინდის მნიშვნელობით, მაგრამ, ყოფილა „მეყმეც“, ყმათა მფლობელის აზრით, როგორც ამას ფიქრობს აკად. კ. კეკელიძე. იხ. მისი, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, გვ. 9. პატ. აკადემიკოსს მხედველობაში აქვს სინას მთის ხელნაწერი № 74 (ა. ცაგარელის მიხედვით VIII—IX საუკუნეებისაა), სადაც ეს სიტყვა ასეთ კონტექსტში იკითხება „მთავარნი ერისანი და მეყმენი, მონანი და მსახურნი მისნი“. იხ. А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, православний палестинский сборник, т. IV, вып. I. 1888, გვ. 229. მაგრამ თუ „მეყმეს“ მნიშვნელობა აკად. კ. კეკელიძეს ორიგინალთან შედარებით არ აქვს გამორკვეული, სავსებით შესაძლებელია, ეს

ლებოდნენ. ამ მოყმე-ჭაბუკთა ძირითადი მოვალეობა ლაშქრობა იყო. საპატიო სამსახურში ეთვლებოდათ მათ აგრეთვე მეფის თუ დიდებულთა ამალაში ყოფნა, სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში (ფალავნობა) და გართობა-ნადირობებში მონაწილეობის მიღება. სანამ საქართველო აღმავლობისა და ძლიერების გზით მიდიოდა, კიდევ იყო ამ აზნაურ-მოლაშქრეთა ფენის შენახვისა და ერთგვარი ზრდის საშუალება. როგორც ამბობს „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი, შეიძლებოდა კაცი „ჭაბუკობით გაკეთებულიყო“.

ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა წვრილ ფეოდალთა ამ სამხედრო-მსახურეული ფენის გამრავლებას და თავისთვის დანარჩუნებას. მოლაშქრეთა თავისუფალ მწარმოებელთა ფენისაგან განსხვავებით, ისინი მატერიალური დოვლათის შექმნაში მონაწილეობას არ იღებდნენ. საერთოდ, ლაშქრობა-რბევას მიდევნებულნი და პატრონის წყალობის შემყურენი (არც თავიანთი გლეხების გატყავებას თაკილობდნენ) მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ და სამეურნეო უნარს არ იჩენდნენ.

განვლილი პერიოდი დიდი ცვლილებებით აღინიშნა თავისუფალ მწარმოებელთა ფენაშიც. კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მეთემეთა დაყმევების პროცესი. მეურნეობის განვითარებისა და მიწაზე კერძო საკუთრების განმტკიცების შედეგად თემი იშლებოდა. გამდიდრებულ-გაძლიერებული მეთემეები სულ უფრო შორდებოდნენ „ძმობის“ დანარჩენ წევრებს და სოციალური მდგომარეობის უფრო მაღალ საფეხურზე ინაცვლებდნენ. უმრავლესობა კი „პატრონების“ (მეფე, ეკლესია, აზნაური) ხელში ექცეოდნენ და „ყმის“ შესაფერი ვალდებულებებით იტვირთებოდნენ. დაყმევებულ მდაბიურებს ლაშქრობა და სამსახური ემართათ, გარდა იმისა, რომ თავისუფალ დროს მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ.

IX-X სს. ყმათა ამ მწარმოებელი ფენის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად, მატერიალური დოვლათის ძირითადი შემ-

---

ლიტყვა ტექსტში საწინააღმდეგო მნიშვნელობითაც გავიგოთ, ე. ი. როგორც პატრონყმური ურთიერთობის უმცროსი კონტრაგენტები (ვასალები).

ქმნელნი ისინი გახდნენ. მდაბიურები, როგორც ყმები, პატრონყმური ურთიერთობის უმდაბლეს საფეხურზე იდგნენ. გამორიცხული არ იყო „ვარგი და საცნაური“ ყმის დაწინაურება, გააზნაურებაც, ლაშქრობა-სამსახურის შეძლების მიხედვით. მაგრამ უმრავლესობა გაუთავებელი ომებისა და სხვა მძიმე საპატრონო მოვალეობისაგან ეკონომიურ და სოციალურ დაქვეითებას განიცდიდა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ყმათა ამ მწარმოებელი ფენის სოციალური განვითარება, სწორედ, ამ მიმართულებით წავიდა.

დაყმეებული მდაბიურები თავისუფალი მიწის მუშათა საზოგადოების უკანასკნელი ნაშთი იყო პატრონყმური ურთიერთობის ხანაში. წყაროებში მათ, ჩვეულებრივ, „აზნაურის ყმები“ ეწოდებათ. „აზნაურის ყმა“ იყო წარმოშობით გიორგი III-ისა და თამარის მსახურთ-უხუცესი აფრიდონი. ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს აღნიშნული აქვს, რომ თამარის შეფობაში ისე მდიდარი იყო მისი სამეფო, რომ „აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“-ო[58].

„აზნაურის ყმა“ სპეციალური ტერმინია, რომელიც დიდებულის ყმა-მწარმოებლებზეც ვრცელდებოდა, რადგანაც დიდებულის „ყმობა“ უფრო მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის—„აზნაურობის“ მაჩვენებელიც იყო.

„აზნაურის ყმა“ პატრონყმობის კიბის უდაბლეს საფეხურზე მდგომი კაცის სახელია ფეოდალური ურთიერთობის გარკვეულ ხანაში. აკად. ნ. ბერძენიშვილმა ამ მნიშვნელობით შემოიღო „მდაბიორ-მოლაშქრე“. „ყმა-მოლაშქრე“.

„აზნაურის ყმები“ ლაშქრობა-სამსახურის მოვალე მწარმოებლები იყვნენ, ბეგრის გამომღებ გლეხებისაგან განსხვავებით. თამარის პირველ ისტორიკოსს გიორგი III-ისა და ელდიგუზ ათაბაგის ლაშქარს შორის მომხდარი ერთ-ერთი ბრძოლის შესახებ აღნიშნული აქვს, რომ „არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ (ქართველთა ა. ბ.) ლაშქართა შინა...“[59].

---

[58] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.
[59] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 14.

ყმა-მოლაშქრენი მწარმოებელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეადგენდნენ. როდესაც „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი ამბობს, თამარის მეფობაში „გააზნაურდეს ქუეყანისა შოქმედნი“-ო[60], ამ მიწის მუშებში, სწორედ, „აზნაურის ყმები“ ივარაუდებიან, საიდანაც გამონაკლისის სახით თვით აფრიდონებიც გამოდიოდნენ[61].

ამრიგად, „აზნაურთა ყმების“ სახით ქართულმა პატრონყმობამ მწარმოებელი საზოგადოებაც მოიცვა. პატრონყმობის პატონყმობაში გადასვლა ყმა-მოლაშქრეთა ამ საზოგადოებრივი ფენის დაცემა-გაქრობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა[62].

მწარმოებელი საზოგადოების მეორე ნაწილს გლეხები შეადგენდნენ. „გლეხი“ ბეგრის გამომღები და მუშაობა-სამსახურის ვალდებული მიწის მუშა იყო და არც პირადად იყო თავისუფალი. გლეხთა სოციალური ფენა, როგორც თავისუფალთაგან, ისე თავისუფლებას მოკლებულ პირთაგან წარმომავლობდა.

პირველნი მომდინარეობდნენ სამეურნეო საქმიანობის საშუალებას მოკლებული ადამიანებისაგან, რომელთაც ან მხოლოდ მიწა გააჩნდათ, მაგრამ მისი დამუშავება მუშა-პირუტყვისა და საჭირო იარაღების უქონლობის გამო არ შეეძლოთ, ანდა მოკლებული იყვნენ ერთსაც და მეორესაც. ასეთი კაცი ხშირად თავისივე ფეხით მიდიოდა მიწისმფლობელთან, რომ-

---

60 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34.

61 რიგ შემთხვევებში „აზნაურის ყმები“, როგორც ჩანს, სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზედაც ექცეოდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა მსახურთ-უხუცეს აფრიდონის შესახებ. აფრიდონი „აზნაურის ყმა“ ყოფილა, მაგრამ როგორღაც ისე დაწინაურებულა („კაც-ქმნილა“,—ისტორიკოსის ენაზე), რომ მსახურთ-უხუცესობამდე მიუღწევია და „თმოგვისა სახლთა და ციხეთა“ პატრონობა მიუღია. მართალია, გიორგი III-ის ეს ვაზირი, თამარის მეფობაში, როგორც „უგვარო“, დიდგვარიან აზნაურთა ინტერესებს შეეწირა, მაგრამ „ვარგი და საცნაური აზნაურის ყმების“ „აღზეება“, როგორც ვხედავთ, შეუძლებელი რამ მაინც არ ყოფილა.

62 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13-14 სს., თსუ შრომები, ტ. VI, 1937, გვ. 285; საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 177.

ლისგანაც იღებდა საჭირო დახმარებას დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობის საქმეში, სამაგიეროდ უფლის სასარგებლოდ იბეგრებოდა და თანდათან „გლეხი" ხდებოდა. გლეხობას ქმნიდნენ აგრეთვე ვალში გაყიდული შეუძლებელი მოვალეებიც. საერთოდ, ვფიქრობთ, რომ გლეხთა სოციალური ფენა უმთავრესად თავისუფალ უქონელთაგან წარმოიქმნა. რაზედაც მიგვანიშნებს „გლეხის" უძველესი მნიშვნელობა— „გლახაკი"[63]. მაგრამ გლეხობაში უშუალოდ შედიოდნენ აგრეთვე ყოფილი მონები თუ ტყვედ დარჩენილი უცხოელები. ასეთ მიწის მუშას „უფალი" აძლევდა მიწას და საჭირო მოწყობილობას დამოუკიდებელი მეურნეობის შექმნისათვის, მხოლოდ ბეგრისა და მუშაობა-სამსახურის ვალდებულებით, რაც თავის დროზე ახალი ურთიერთობის მაჩვენებელი იყო.

გლეხობა ერთგვაროვანი მასა არ ყოფილა. კუთვნილების მიხედვით და უფლებრივი მდგომარეობით გლეხთა ცალკეული ფენები განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან. სხვადასხვა იყო მათი ძირითადი ფეოდალური ვალდებულებაც—ბეგრის სახეობა და მუშაობის რაოდენობა. სამწუხაროდ, გლეხთა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ უმთავრესად განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მასალებით გვიხდება მსჯელობა. ე. წ. რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. ადრეფეოდალური ხანის ძეგლებში უმთავრესად ტერმინთან გვაქვს საქმე და ისიც მხოლოდ აქა-იქ მოგვეპოვება, ძირითადად, კი, ნათარგმნ ტექსტებში.

გლეხთა საერთო დამახასიათებელი ნიშანი მათი მებეგრეობა იყო[64]. „ეს იმის გამო, რომ მიწა (ფუძე), რომელზედაც გლეხი მეურნეობდა, ფეოდალის („პატრონის") საკუთრებას შეადგენდა, ხოლო გლეხი ამ მიწით საშვილიშვილოთ სარგებლობდა"[65].

---

63 ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 174.

64 საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, I, გვ. 181.

65 იქვე, გვ. 181.

გლეხთა მეორე დამახასიათებელი ნიშანია პირადი თავისუფლების უქონლობა, რომელიც მუშაობა-სამსახურის საფუძველი იყო[66].

გლეხთა ცალკეული კატეგორიები ადრეული ფეოდალიზმის ხანაშივე ყალიბდება. ზოგადად ყველა გლეხი „მკვიდრი" იყო ან „გარეთმოსული". „მკვიდრი" ფეოდალის მიწაზე საშვილიშვილოდ მჯდომი გლეხი იყო, „გარეთმოსულისაგან" განსხვავებით. დროთა ვითარებაში ასეთი „მკვიდრი" გლეხი ხდებოდა „ნებიერი", „ნასყიდი" და „ნაწყალობევი", „თავდაწერილი" თუ „თავდაუწერელი" და სხვ. თითოეული ეს სახელწოდება გამოხატავდა მხოლოდ ამა თუ იმ კატეგორიის გლეხის ორსებულ მდგომარეობას და არ განსაზღვრავდა მის მომავალს. „ნებიერი" შეიძლება „ნასყიდი" გამხდარიყო, შემდეგ შეწირული და ა. შ.[67].

უფლებრივი თვალსაზრისით შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო ნებიერ გლეხთა კატეგორია. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, „ნებიერი" თავისი ნებით მიდიოდა პატრონთან და, გარკვეული პირობით, მისი გლეხი ხდებოდა[68]. ხოლო თუ ეს პირობა წერილობით იყო გაფორმებული, ასეთ გლეხს „თავდაწერილი"-ც ეწოდებოდა. საეკლესიო გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი „შეწირული" იყო. ამ კატეგორიის გლეხების მფლობელად მხოლოდ ეკლესია-მონასტერი გამოდიოდა.

„ნაწყალობევი" გლეხების მფლობელები კი დიდი და მცირე ფეოდალები იყვნენ. როგორც ტერმინი გვიჩვენებს, ასეთი კატეგორიის გლეხები ქვეშევრდომებს წყალობის სახით ჰქონდათ ნაბოძები პატრონისაგან. ცხადია, რომ „ნაწყალობევი" გლეხის მფლობელი მეფე არ შეიძლებოდა ყოფილიყო[69].

---

66 მ. ბერძნიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI—XII ს-ში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. I, თბ., 1960, გვ. 140.

67 მ. ბერძნიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 145.

68 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტ. წიგნი II, ნაკვ. გვ. 72; დასმარე სასელმძღვანელო. I, გვ. 181; მ. ბერძნიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI—XII ს-ში, გვ. 145, 152.

69 მ. ბერძნიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 145.

გლეხთა ყველაზე დაბალ კატეგორიას „ნასყიდი“ შეადგენდა[70].

უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობით ურთიერთისაგან განსხვავებული გლეხთა კატეგორიების ეს სიმრავლე, როგორც აკად. ბერძენიშვილი შენიშნავს, ცხადი მოწმობა იყო იმ განუწყვეტელი კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც ფეოდალებსა და გლეხებს შორის წარმოებდა[71].

მასალების სიმცირის გამო (ერთადერთი „ფავნელთა საბუთი“ გვაქვს ამ ხანიდან)[72] ჭირს ლაპარაკი საგლეხო ვალდებულებათა შესახებაც.

„ფავნელთა საბუთში“ უკვე იხმარება გლეხის ძირითადი საბატონო ვალდებულების აღსანიშნავი ტერმინები „ღალა“ და „ბეგარა“. ფიქრობენ, რომ გლეხის ვალდებულებას ამ დროისათვის შეადგენდა „სამასპინძლოც“[73]. საბუთში, როგორც საგლეხო ვალდებულება, დასახელებულია აგრეთვე „ნადირობა“ („წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის“).

ტექსტიდან ჩანს, რომ ცხეველელ გლეხებს საბუთის გამცემის სასარგებლოდ ევალებოდათ მის მამულში თითო დღით მუშაობა ანეულზე, მკაზე, ლეწვაზე. მიღებული მოსავლის მეათედი ცხეველელთა ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ საბუთით X საუკუნისათვის საგლეხო ვალდებულებანი ძირითადად ჩამოყალიბებული ჩანს,

---

70 მართალია, ყველა ამ კატეგორიაზე XI—XIII სს. დოკუმენტებით ვვიხდება საუბარი. მაგრამ გლეხთა სხვადასხვა უფლებრივ-ეკონომიური ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესი რომ ადრეული ფეოდალიზმის ხანაში იწყება, ეს ჩვენ სადავოდ არ გვეჩვენება.

71 დამხმარე სახელმძღვანელო, I, გვ. 181.

72 საბუთის გამომცემელი თ. ჟორდანია მას IX—X სს. ათარიღებს. იხ. მისი, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, 1896, გვ. 1—3.

73 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX—X საუკუნეების საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, I, 1960, გვ. 225.

უნდა ვიფიქროთ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში ისიხი ჯერ კიდევ შედარებით მსუბუქი იყო[74].

ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანა ქართლში გლეხთა სოციალური ფენის ზრდით აღინიშნებოდა. გლეხთა რიგებში თანდათან შემოდიოდნენ უფლის ყმობაში ადრევე მოხვედრილი მდაბიურები და ნებით თუ ძალით მიწაზე დასმული გლეხაკები. მაგრამ მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებლები IX—X სს. ჯერ კიდევ ყმა-მწარმოებლები, მდაბიურები იყვნენ, რომლებიც სოციალურ რეზერვს შეადგენდნენ ფეოდალური საზოგადოების მიწის მუშათა კლასის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარება დაყმეევებულ მწარმოებლებს გარდაუვალად თავისუფლების დაკარგვის გზით მიერეკებოდა.

ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცების ხანა აღინიშნება ქალაქების მრავლად წარმოშობითაც. ახალმა ურთიერთობამ საწარმოო ძალების მანამდე უჩვეულო განვითარება გამოიწვია. სოფლის მეურნეობა და ხელოსნური წარმოება აღმავლობის გზით მიდიოდა. ძლიერდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ხელოსნური ნაწარმის გატანა საშინაო და საგარეო ბაზარზე, რაც სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნური შრომის გამოყოფის პროცესის გაძლიერების შედეგი იყო.

გაცხოველებული საშინაო და საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობდა ახალი ქალაქების წარმოშობასა და საქალაქო ცხოვრების აყვავებას. საზოგადოების ფეოდალურმა ზედაფენამ ადრევე იგრძნო ქალაქების დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა. დიდი და მცირე ქალაქების დაარსების ინიციატორებად გამოდიოდნენ მეფეები და მთავრები და, საერთოდ, ყველა ფეოდალი, ვისაც საამისო შეძლება ჰქონდა.

VIII—X სს. ახალი ქალაქების წარმოქმნის პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევია ტაო-კლარჯეთისა და კახეთის სამთავროებში, რომლებმაც არაბთა ბატონობას ადრევე დააღწიეს თავი. დიდად დაწინაურდა და ვაჭრობის მნიშვნელოვან

---

74 მ. ლორთქიფანიძე. დასახ. შრომა, გვ. 225.

პუნქტად იქცა კლარჯეთის დედაქალაქი არტანუჯი. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ამ ქალაქს მაშინდელ საერთაშორისო ცხოვრებაში.

IX—X სს. უნდა იყოს დაარსებული ჯავახეთის ახალქალაქიც.[75]. IX—X სს. აშენდა თმოგვის ციხე, რომლის გარშემო ქალაქიც აღმოცენდა[76]. ამავე ხანებს მიეკუთვნება ტაოს მნიშვნელოვანი ქალაქის ოლთისის დაარსებაც[77]. IX ს-დან უნდა იწყებდეს თავის ისტორიას ქალაქი ახალციხე და დმანისი[78]. X-ს. კახეთში წარმოიქმნა ქალაქი თელავი, რომელიც მალე გახდა მნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი[79]. გაჩნდნენ მთელი რიგი სხვა უციხო და უზღუდო ქალაქებიც.

ქალაქების ძირითად მოსახლეობას („ქალაქის მკვიდრნი") ვაჭრები, ხელოსნები და გლახაკები შეადგენდნენ. დედაქალაქის (თბილისის) სხვადასხვა კატეგორიის ვაჭრებისა და ხელოსნების აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი „მოქალაქე", რომელიც დოკუმენტურადაა დადასტურებული VIII საუკუნიდან („აბო თბილელის წამება")[80].

სამწუხაროდ, ადრეფეოდალური ქალაქების სოციალური ურთიერთობიდან, შესაფერი მასალების სიმცირის ან, პირდაპირ, უქონლობის გამო, ცოტა რამ ვიცით. ამ შემთხვევაშიაც, უმთავრესად. განვითარებული ფეოდალური ხანის ვითარების გათვალისწინებით გვიხდება მსჯელობა.

ხელოსნები მატერიალური დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან ახლად წარმოქმნილ ქალაქებში იყრიდა თავს, თუმცა ჯერ კიდევ მრავლად შრომობდნენ დაბა-სოფლებში თუ დიდ

---

[75] შ. მესხია, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 36.

[76] იქვე. გვ. 37.

[77] იქვე.

[78] იქვე. გვ. 35.

[79] იქვე. გვ. 37.

[80] იქვე. გვ. 65—66.

აზნაურთა სასახლეებში. ხელოსნობის განვითარებისდა კვალად ვითარდებოდა აღებ-მიცემაც. ამ საქმეს ვაჭრები უძღვებოდნენ..

ეკონომიური და სოციალურ-უფლებრივი თვალსაზრისით ვაჭარ-ხელოსანთა საზოგადოება არ იყო ერთგვაროვანი. თავისუფალი ვაჭრებისა და ხელოსნების გვერდით მოსაქმეობდნენ საპატრონყმო უღელში შებმული ვაჭარ-ხელოსნებიც[81]. მეორე მხრით, თავისუფალ ვაჭართა წრეში, ვფიქრობთ, უკვე ადრეფეოდალურ ხანაში, თავისი შეძლებით, გამოირჩევა განსაკუთრებული ჯგუფი, ე. წ. დიდვაჭრების სოციალური წინაპრები.

ქალაქების ზრდასთან ერთად ვაჭარ-ხელოსანთა სოციალური ფენაც ძლიერდებოდა, რომელმაც შემდეგში ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა. ახლად წარმოქმნილი ფეოდალური ქალაქები მალე გამოვიდნენ ცალკეული სამთავროების ფარგლების ინტერესებიდან და ძლიერი ტენდენციები გამოამჟღავნეს ქვეყნის ცალკეული კუთხეების ერთ სამეურნეო-პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანების საქმეში.

თავი მეორე

მიწათმფლობელობის ფორმები

მიწათმფლობელობის ფორმების საკითხი ადრეული ფეოდალიზმის ხანაში ჯერ კიდევ სათანადო სისრულით შესწავლილი არაა. ერთი მხრით, ეს მასალების სიმცირითაც აიხსნება, მეორე მხრით, რევოლუციამდელ ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვართა არასახარბიელო მდგომარეობითაც. რომლის

---

81 მელქისედეკ კათალიკოსის საბუთში (მცხეთის საბუთი XI საუკუნისა), აღნიშნულია მცხეთის საკათალიკოზოსადმი „მოგებული" კაკს მცხოვრები 12 ვაჭარი. იხ. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1931, გვ. 291. ჭიაბერის საბუთში ნათქვამია, რომ იგი შიო მღვიმის მონასტერს სწირავს ყინვანში მცხოვრებ ვაჭრებს მხითარისძეებს. იხ. ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 22.

ინტერესების გარეშე რჩებოდა ფეოდალური საქართველოს ისტორიის სოციალურ-ეკონომიური საკითხების შესწავლის საქმე. გამონაკლისს შეადგენს აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომები ქართული სამართლის ისტორიიდან, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ფეოდალური საკუთრების ფორმების შესწავლას ჩვენში. ქართული ისტორიოგრაფიის საბჭოურ პერიოდში ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა. მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარების რიგ მომენტებზე საყურადღებო შეხედულებები ჰქონდა გამოთქმული განსვენებულ აკადემიკოსს ს. ჯანაშიას. მიწათმფლობელობის ფორმებზე ფეოდალურ საქართველოში ბოლო დროს მუშაობს აკად. ნ. ბერძენიშვილი. შესრულებული სამუშაოების ერთი ნაწილი კიდეც გამოქვეყნდა[1], რითაც საძირკველი შეემზადა საკითხის სისტემატური და სპეციალური შესწავლის საქმეს. ფეოდალური საკუთრების უფლების ინსტიტუტს საქართველოში ეხება აგრეთვე პროფ. ივ. სურგულაძე თავის ზოგიერთ შრომაში. აღსანიშნავია პროფ. გ. მელიქიშვილის ახლახან გამოქვეყნებული ნაშრომიც — „К истории древней Грузии", სადაც მონათმფლობელური ქართლის მიწათმფლობელობის საკითხებია განხილული. მაგრამ ადრეფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლის მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ახალი ფაქტების შემოკრება იქნება ეს, თუ ძველის გაღრმავებული ანალიზი. ფეოდალური ურთიერთობის ნაგვიანევი ხანის მოვლენების გათვალისწინებით.

ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა საადგილმამულო დამოკიდებულების ნიადაგზე წარმოიქმნა. ფეოდალიზმის საფუძველი მიწის ფეოდალური საკუთრება იყო. ადრეფეოდალური ხანა სამამულო ურთიერთობის სფეროში მრავალფეროვნებით ხასიათდება. ქართლში მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გარდამავალ პერიოდში მიწათმფლობე-

---

1 იხ. ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II. 1956. გვ. 87—130.

ლობის შემდეგი ძირითადი კატეგორიების გამოყოფაა შესაძლებელი:

1. სასეფო ანუ სამეფო მიწა-წყალი
2. საეკლესიო მიწათმფლობელობა
3. კერძო მიწათმფლობელობა
4. ფეოდალური მიწათმფლობელობა
5. სათემო მიწები.

1. სასეფო მიწათმფლობელობა

მიწების უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს განკარგულებაში იყო და სეფე-ქვეყანას შეადგენდა. იყო თუ არა მაშინ სეფე-სახლის უშუალო საკუთრება (სამეფო დომენი) სახელმწიფოს დანარჩენი მიწაწყლისაგან მკვეთრად გამიჯნული, ძნელი სათქმელია. საფიქრებელია, თეორიულად სეფე-სახლი სახელმწიფოს მთელი მიწების უზენაეს მესაკუთრედ გამოდიოდა, რაც პრაქტიკაში მიწათმფლობელობის სხვადასხვა სახეობით იყო შეზღუდული. სახელმწიფო საკუთრება მიწაზე არ გამორიცხავდა კერძო მფლობელობას ამავე მიწაზე.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, სამეფო დომენი შედგებოდა „სამამასახლისო სამსახურებლისა“ და დაპყრობილი ტერიტორიისაგან[2].

„სამამასახლისო სამსახურებელი“ ს. ჯანაშიას დაკვირვებით საგვარეულო წყობილებიდან მოდის და აღნიშნავდა მიწის იმ ფონდს, რომელიც „მამასახლისის სამსახურის“ ასანაზღაურებლად იყო თემის მიერ გამოყოფილი[3]. „ეს მიწები, რომელნიც თავდაპირველად „ერის“ საკუთრებას შეადგენენ, შემდეგ კერძო საკუთრებად იქცევიან მიტაცების გზით“[4].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ კა-

---

2 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 287.

3 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. I. გვ. 169.

4 ი ქ ვ ე. გვ. 170. რამდენადმე განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას ამ საკითხში პროფ. გ. მელიქიშვილი. იხ. მისი, К истории древней Грузии, გვ. 413.

ხეთი სეფე-სახლის საკუთრებად ითვლებოდა[5]. ლეონტი მროველის ცნობით, მირიან მეფემ „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი“[6]. მირიანის მემკვიდრემ ბაქარმა ძმისწულებს (რევის შვილებს) „მისცა (დაუმტკიცა?) კახეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად“[7]. ჯუანშერით, ვახტანგ გორგასლის მეფობაში კუხეთი კვლავ რევის შთამომავალთ ეჭირათ, რომელთა საჯდომი რუსთავი ყოფილა. შემდეგ მემატიანე კახეთისა და კუხეთის ერისთავად ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთ დაახლოებულ პირს დემეტრს ასახელებს[8]. იყო თუ არა იგიც რევიანი, ცნობათა უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია. VI ს-ში ვახტანგის მემკვიდრეებმა პირველი ცოლისაგან (ბაკურის შვილებმა) „დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს“[9].

სტეფანოზის (ვახტანგის შთამომავალი მეორე ცოლისაგან) სიკვდილის შემდეგ ქართლის ერისმთავრობა მიიღო ადარნასე, ბაკურის ძემ. კახეთი მას შემდეგ ქართლის ერისმთავართა უშუალო განკარგულებაში მყოფი ქვეყანა იყო. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არჩილმა „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი“[10].

ის ფაქტი, რომ კახეთი სამეფო დომენში შედიოდა, როგორც ჩანს, აიხსნება იმით, რომ იგი დაპყრობილ ქვეყნად ითვლებოდა. როგორც ცნობილია, კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ძველი ჩრდილო-დასავლეთი ალბანეთი, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართლის სამეფოს შემადგენლო-

---

5 გ. მელიქიშვილი, К истории..., გვ. 423.

6 ქართლის ცხოვრება, I, 70—71.

7 რუსთავის ძველი სახელი „ბოსტან-ქალაქი“ მკვლევართა მიერ (ს. ერემიანი, ლ. ჭილაშვილი, გ. მელიქიშვილი) სრულიად სამართლიანად ახსნილია, როგორც „ვოსტან ქალაქი“. ირანულ-სომხური „ვოსტან“, იგივეა, რაც ქართული „სეფე-ქუეყანა“, ბერძნ. „χώρα βασιλική“ როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ ცნობებით გამართლებულია ქალაქის ძველი სახელწოდების ასეთი ახსნა.

8 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

9 იქვე, გვ. 279.

10 იქვე, გვ. 243.

ბაში შევიდა. სამეფო დომენს წარმოადგენდა ამავე საფუძველზე, ვფიქრობთ, ქართლის მთიანეთიც, რომლის მოსახლეობაც ხარკს უხდიდა ქართლის მეფეს. სეფე-სახლის ძირითადი და უძველესი საკუთრება უმთავრესად მაინც საკუთრივ ქართლი, ე. წ. შიდა ქართლი უნდა ყოფილიყო, რომელიც სპასპეტს ჰქონდა საგამგეოდ[11]. სწორედ ამ ქვეყნის მფლობელობის საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული ქართლის მეფის თავდაპირველი ხელისუფლება. შემდეგში, ქართლის საძეფოს ძლიერების ხანაში, დაპყრობილი ქვეყნების ხარჯზე დიდად გაიზარდა სასეფო საქონებელი.

ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით სასეფო დომენმა შემცირება იწყო. „პირველ რიგში სეფე-სახლს ეამოეყოფიან, მემამულეობის თვალსაზრისით, სეფე-წულები, გაზრდილი და გამრავლებული სამეფო სახლის გვერდითი შტოები. ეს სეფე-წულები ჰქმნიან სწორედ ქართლის უძველეს ეემამულე არისტოკრატიას, რომელიც შემდეგ, თავისი ინტერესებით, უპირისპირდება სეფე-სახლის უფროს შტოს“[12].

სასეფო მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიცემოდა აგრეთვე პირობით მფლობელობაში, მეფის ადმინისტრაციის დიდ მოხელეებზე (მთავარი, ერისთავი...) მათი სამსახურის სანაცვლოდ. მიწებს ღებულობდნენ სამხედრო სამსახურის პირობით, ასევე, მომრავლებული აზნაურები და მხედრები. სამხედრო-სალენო ურთიერთობის განვითარებას სამეფო მიწების ფონდის მნიშვნელოვანი შემცირება მოჰყვა.

მიწების საარსებო სივრცეების ძებნაში ცენტრალური ხელისუფლებისა და მისი სოციალური მოკავშირეების ყურადღება შეუძლებელია სატაძრო მამულებზე არ შეჩერებულიყო. წარმართული ტაძრების განკარგულებაში ამ დროისათვის მიწების უდიდესი ფონდი იყო, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა. ასეთ ვითარებაში მონარქიამ და გაფეოდალების გზაზე

---

11 თავის დროზე უმთავრესი საკუთრება ამ მხარეში მეუფე-მამასახლისის სახლმა დაიჩემა, რომელმაც ეკონომიური და პოლიტიკური დაწინაურებით შემდეგში სეფე-სახლი მოგვცა.

12 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 287.

შემდგარმა წარჩინებულებმა მიიღეს ახალი რელიგია-ქრისტიანობა, რაც სატაძრო მემამულეობის სეკულარიზაციას მოასწავებდა.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება ქართლში აკად. ს. ჯანაშიამ დამაჯერებლად ახსნა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

ახალი რელიგიის მიღება ახალი ურთიერთობის (ფეოდალური) მომაგრებითა და შემდგომი განვითარებით აღინიშნა. სატაძრო მიწათმფლობელობის გაუქმებით მონურმა წარმოებამ ქართლში მძიმე მარცხი განიცადა. ანტიკური ხანის მწერალთა ცნობებით, ქურუმები მატერიალურ ფასეულობათა უმდიდრეს მფლობელებად ითვლებოდნენ. სარწმუნოების გამოცვლას ქურუმთა საზოგადოების მოშლა და განადგურება მოჰყვა[13].

ცენტრალური ხელისუფლების ხელში განთავისუფლებული მიწების დიდი ფონდი აღმოჩნდა[14]. დაიწყო ამ მიწების ინტენსიური გაცემა სამხედრო-მსახურეულ წოდებაზე პირობითი საკუთრების სახით. მონარქიასა და წარჩინებულთა დამოკიდებულების საფუძველი მიწა გახდა. ქვეყნის შემდგომი წინსვლა სამიწო ურთიერთობის განვითარების გზით მიდიოდა.

IV—V სს. ქართლში აზნაურთა ფეოდალური მიწათმფლობელობა ფაქტია. ქართლის მოქცევის მატიანეს IV ს. ამბების

---

13 მხედველობაში ქართლის ბარი გვაქვს, სადაც საზოგადოებრივი განვითარების დონე თავისი დროისათვის საკმაოდ მაღლა იყო ასული, და არა ქართლის მთიანეთი. მთის მოსახლეობა ამის შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებდა თავის მამაპაპეულ სარწმუნოებას, კულტის თავისივე მსახურებით (ხუცესი, ხევისბერი...). მთიანეთის კერპები, როგორც ირკვევა, ნ. ლებ ლიმპათიებს იჩენდნენ არმაზელი ღმერთებისადმი. არც მათი მსახურნი გამოდგებოდნენ ბარელი კოლეგების სოციალურ მოკავშირეებად.

14 მართალია ქრისტიანული ეკლესია მალე გახდა უმდიდრესი ფეოდალური ორგანიზაცია, რასაც თვით მეფეებიც თავისდაუნებურად ხელს უწყობდნენ, მაგრამ რელიგიური პოლიტიკის პირველ ეტაპზე ცენტრალური ხელისუფლებისა და მისი სოციალური მოკავშირეების მიზანი მიღწეული იყო.

ისტორიისას აღნიშნული აქვს, რომ ვარაზ ბაკურის მეფობაში „აღაშენეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას, დაიამოთაულეს („მიათუალეს“ ჰელიშური ვარიანტი) დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა[15] ქართლს შინა“.

ამ ცნობასთან დაკავშირებით აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა: „აშკარაა, რომ ეს „სოფლები“ მაშენებელ აზნაურთა საადგილმამულო ფონდიდანაა გამოყოფილი; ამრიგად, უკვე მოძრავი მამულები აქვთ აზნაურობასა და ეკლესიას და მათი პირვანდელი განმკარგულებელნი სწორედ „აზნაურნი“ (წარჩინებულნი) არიან“[16]. მაგრამ მონარქიისა და მისი მოკავშირეების ინტერესთა თანხმობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კონფლიქტისაღვის ნიადაგი თავდაპირველად სამამულო სფეროში შემზადდა. ერისთავები და მთავრები აზნაურ-წარჩინებულითურთ ახლა უკვე ისწრაფვიან თავიანთი პირობითი მფლობელობა მემკვიდრეობით საკუთრებად გადააქციონ.

გაბატონების გზაზე შემდგარ ადრინდელ ფეოდალურ მიწათმფლობელობას ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება მოჰქონდა.

„ახალი ურთიერთობა თავისთვის შესაფერის პოლიტიკურ წესწყობილებას საჭიროებდა. ქართლის მეფის დესპოტური ხელისუფლება კი თავისი საგადასახადო სისტემით, ადმინისტრაციით, ლაშქრის ორგანიზაციით, ერთი სიტყვით, ქვეყნის მართვა-გამგეობის ძველი წესი ხელს არ უწყობდა და, პირი-

---

15 აკად. ს. ჯანაშია ამ უცნობ სიტყვაში, საშუალო სპარსულში არსებული მსგავსი ძირების მიხედვით, „მუშაკს“ ან „სახლს“ ვარაუდობდა. იხ. შრომები, I, გვ. 286.

პროფ. ვ. მელიქიშვილს „ქარდაგი“ ირანულ-სომხური“ «dastkart—dastakert“-ის დამახინჯებად ეჩვენება. (იხ. მისი К истории ..., გვ. 414—415). მაგრამ არც იმის შესაძლებლობას უარყოფს, რომ ამ სიტყვაში შესაძლებელია გვქონდეს აქემენიდური ხანის არამეულ დოკუმენტებში დამოწმებული ტერმინი garda (grd'), რომელიც მონურ მდგომარეობაში მყოფ მუშას აღნიშნავდა. (იქვე, გვ. 415).

ერთი კი ცხადია, რომ ამ სიტყვით უძრავ-მოძრავი ქონების გარკვეული სახე აღინიშნებოდა, უმთავრესად, ალბათ, მაინც სახნავ-სათესი მიწა შესაძლებელია, მუშახელიც (მონები?).

16 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 286.

ქით, წინ ეღობებოდა ამ ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას"[17].

მონათმფლობელური ცენტრალიზმის შეცვლა ერისმთავრის ფეოდალური ხელისუფლებით „იყო დიდი მნიშვნელობის ფაქტი ახალი (ფეოდალური) სოციალ-ეკონომიური წესწყობილების ზრდა-წარმატებისათვის"[18].

მმართველობის ახალი ფორმა უკეთ შეესაბამებოდა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების მიღწეულ საფეხურს.

სახელმწიფოებრივ მიწათმფლობელობაში დიდი ცვლილებები მოხდა. სასეფო მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი მეფობას მოკლებულმა უფლისწულებმა, მთავრებმა და ერისთავებმა დაიტაცეს და გაიყვეს ერთმანეთში. სეფე-სახლის პირდაპირი ძირის ერთმა ნაყარმა ფეხი მოიკიდა კახეთსა და ჰერეთში, მეორე გამაგრდა კლარჯეთსა და ჯავახეთში. სხვადასხვა დროს მეფობას მოკლებულმა უფლისწულებმა ქართლის ერისმთავრობას მიაღწიეს.

რა ეკუთვნოდათ მათ ქართლში, ძნელი გამოსარკვეია. შიდა ქართლში მათი მფლობელობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იყო. საყურადღებო ცნობაა ამ თვალსაზრისით შენახული თხზულებაში „თხრობაჲ სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოსთაჲ".

სტეფანოზ გუარამის ძემ შიომღვიმის მონასტერს „მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა: „არა მივსცე შეურაცხისმყოფელთა მამული ჩემი"-ო[19]. შიოს „სასწაულებრივი ძალით" დამფრთხალი სტეფანოზი იძულებულია მონასტერს მიტაცებული დაუბრუნოს და აგრეთვე დაუმატოს „ორნი დაბანი დაბათაგან სამეფოთა ურჩეულესნი"[20].

ამოწერილი ადგილებიდან ვხედავთ, რომ შიომღვიმის მონასტრის მიწების ერთ ნაწილს სტეფანოზი თავის „მამულს"

---

17 საქართვ. ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 105.

18 იქვე, გვ. 108.

19 ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955, გვ. 204.

20 იქვე, გვ. 205.

ეძახის, ალბათ, იმის გამო, რომ ის შეწირული იქნებოდა მეფეებისაგან (ფარსმანი, ბაკური) თუმცა, არც იმის შესაძლებლობაა. გამორიცხული, რომ შემწირველი გვარამ ერისმთავარი ყოფილიყო.

ამ აზრს ისიც უნდა მოწმობდეს, რომ, როცა, სტეფანოზმა მონასტერთან ბრძოლა წააგო, იძულებული გახდა მის მფლობელობაში დამატებით სხვა ადგილებიც გადაეცა. რომელიც ტექსტში „სამეფო დაბებად" არის წოდებული. ჩანს, სტეფანოზი ყოფილი სამეფო მიწა-წყლის მესაკუთრე და მემკვიდრე ყოფილა. მაგრამ ერისმთავრებს შიდა ქართლს გარეთ, კახეთს ეარდა, როგორც ჩანს, რეალურად ბევრი აღარაფერი ეკუთვნოდათ. ერისთავებს უკვე საშვილიშვილოდ ჰქონდათ მიტაცებული საერისთაო ქვეყნები. ამიერიდან ისინი სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ემორჩილებოდნენ ფეოდალური ქართლის მეთაურს. გამთავრებულ ერისთავს, თავის მხრივ, ამავე საფუძველზე მორჩილებდნენ შედარებით ნაკლების მქონებელნი, მცირე მთავრები. ასე რომ, დროთა ვითარებაში მთელი ქართლი სხვადასხვა სიდიდის სამთავროებად დაიყო. ერისმთავრები უძლურნი აღმოჩნდნენ შექმნილი ვითარების წინაშე, რომელიც უკეთ შეესაბამებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მოთხოვნებს.

VIII ს. შუა ხანებში ერისმთავარმა არჩილმა ცნო ერისთავთა „ხელმწიფობა" საერისთაო ქვეყნებზე და, თავის მხრივ, კახეთი საკუთარ ტაძრეულებში გაანაწილა და „აზნაურ ყვნა იგინი".

მალე ერისმთავრის ხელისუფლებაც მოისპო და დადგა დრო ქვეყნის ახალ საფუძველზე. გაერთიანებისა.

2. საეკლესიო მიწათმფლობელობა

ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია თავიდანვე ფეოდალურ ნიადაგზე მოეწყო. როგორც აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, ადრინდელ ფეოდალურ მიწათმფლობელობას საეკლესიო სფეროში V საუკუნისათვის უკვე მთლიანად ეპირა ძველი (მონათმფლობელური) სატაძრო მემამულეობის ადგილი[21].

---

21 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 287.

საეკლესიო მიწათმფლობელობის წარმოშობისათვის მეტად საყურადღებოა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოთ მოყვანილი ცნობა, აზნაურთა მიერ IV ს-ში მცხეთის წმინდა გიორგის ტაძრის აშენებისა და მამულებით მისი უზრუნველყოფის შესახებ (უნდა ვიფიქროთ, შეწირულების სახით). საყურადღებოა ისიც, რომ თვით ეკლესია და მისი მამული მთავარეპისკოპოსის კათედრალს დაუქვემდებარდა.

„მაგრამ დაქვემდებარებული ერთეული მარტო ნაგებობით (და მრევლით) კი არ განისაზღვრებოდა. ეს იმავე დროს გარკვეული სამეურნეო ერთეულიც იყო: მას თან მიჰყვება საკუთარი „სოფლები და ქარდაგები“[22].

ეკლესიის მამულების კონცენტრაცია ხდება საეპისკოპოსოებში. რომლებიც მსხვილი საეკლესიო ტერიტორიული ორგანიზაციების სახით ჩამოყალიბდნენ. VI ს. დამდეგისათვის ქართლში უკვე 24 საეპისკოპოსო არსებობდა. ერთი საუკუნის შემდეგ მათი რიცხვი 35-მდე გაიზარდა.

„როგორც ყველგან და ყოველთვის, ქართლშიაც საეკლესიო სტრუქტურა სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული. საეპისკოპოსო კათედრები, ამიტომ, ბუნებრივად მიუთითებდნენ და თანემთხვევიან უმსხვილეს პროტოგენურ ფეოდალურ ცენტრებს“[23].

საეკლესიო მიწათმფლობელობა უმთავრესად შეწირულების და ყიდვის გზით წარმოიქმნა. ქრისტიანული ტაძრებისათვის მამულების შეწირვა იმთავითვე დაუწყიათ. ქართლის მოქცევის მატიანეში დაცულ ე. წ. მეფე მირიანის „ანდერძში“ ნათქვამია:

„ვამკვე... შევსწირენ მრავალნი სოფელნი და აგარაკნი... სამარხეოსა წმიდისა ნინოჲასსა“[24].

---

22 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 284.

23 იქვე, გვ. 20.

24 Е. Такайшвили, Описание рукописей, II, Тиф., 804.

ტაძრისადმი მიწის შეწირულების უძველესი ცნობა გვაქვს დაცული აგრეთვე წყისეს ქვა-ჯვარზე[25]. წარწერაში ნათქვამია, რომ ვინმე კონსტანტიმ „ნასყიდევი ქუეყანა“ შესწირა „მცხეთის ჯუარს“. ამ მომენტის საყურადღებო ინტენპრეტაცია აქვს მოცემული აკად. ნ. ბერძენიშვილს: „ნასყიდევობის სპეციალურად აღნიშვნა იმიტომ იყო საჭირო, რომ მხოლოდ ასეთი ფორმა შეწირვისა იყო მტკიცე და შემწირველის მემკვიდრეთა მიერ დარღვევისაგან („გამოწირვისაგან“) უზრუნველყოფილი“[26].

ეკლესია-მონასტრებისათვის მიწების შეწირვის საინტერესო ცნობებია დაცული სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებებში.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ხაზგასმულია, რომ დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა, რომლის მატერიალური შეწევნითაც აშენდა ზარზმის მონასტერი, კიდეც უზრუნველყო მონასტრის ძმები არსებობისათვის საჭირო უძრავ-მოძრავი ქონებით: „მისცნა ყოველნი საკმარნი ჯორები და კარაულები და რაჲოდენი უკმდა სიმრავლესა ძმათასა... სოფლებნიცა მის-

---

25 განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წარწერის თარიღი. წარწერის გამოშცემლის აკად. აკ. შანიძის აზრით, ძეგლი მიახლოებით 616—619 წწ. უნდა ეკუთვნოდეს. იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 108.

პროფ. ს. კაკაბაძე მას 460-იანი წლებით ათარიღებს. იხ. მისი, ვახტანგ ჯორგასალი, გვ. 7.

აკად. ს. ჯანაშია წარწერის თარიღთან დაკავშირებით შენიშნავდა: „წარწერის ცნობა, რომ ეს ქვანიშანი აღმართული ყოფილა „სახელსა ზედა მცხეთისა ჯუარისასა“, თითქოს უფრო ადრინდელ ხანაზე მიუთითებს (ვიდრე 616—619 წწ. ა. ბ.) თუ „ჯვარის“ ქვეშ ჯვარის-საყდრის წინამორბედ ნიშანს ვიგულისხმებთ, რაც ყველაზე უფრო დასაჯერებელია“. (იხ. ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 99).

ჩვენთვის უცნობია, როგორ და რა საშუალებით ათარიღებენ აკ. შანიძე ან ს. კაკაბაძე ამ ქვა-ჯვარს (ა. შანიძე, როგორც აცხადებს, სპარსული და რომაული თვეებისა და დღეების შეჯერებით), მაგრამ, ფორმალური თვალსაზრისით, ვერ ვხედავთ დაბრკოლებას მისი V ს-ში გადატანისათვის.

26 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, მიმომხილველი, III, 1953, გვ. 304.

ცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი, ვიდრემდის მოსწრაფე ოყო, რათა ყოველივე ადგილისა მისთჳს წარაგოს"[27]. და რაც ეანსაკუთრებით საყურადღებოა, „მრავალთა იწყეს მიბაძვად მისსა... ძალისაებრ აჩუენებდეს შესაწირავსა ახლისა ამის კარვისა"[28].

გარდაცვალების წინ გიორგი ჩორჩანელმა სპეციალური ანდერძი დატოვა, რომლითაც მონასტრისათვის „მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით (ანუ „უბეგროდ, უბაჟოდ და უწყინლად") და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საკედართა და მროწეულთაჲ"[29]. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ ხანძთა განსრულდა გაბრიელ დაფანჩულის „ხორციელად მოღუაწებითა". დაფანჩულს არც აშოტ კურაპალატი ჩამორჩა ქველმოქმედებაში: „შეწირნა ადგილი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა"[30]. თავ-თავისი გაუღიათ აშოტის ძეებსაც: „შეწირნეს თითოეულად, რაჲცა საკმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი უხუებით"[31].

ფეოდალური საზოგადოების საერო ნაწილი „ხორციელი კეთილის" მიდევნებაში ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი პრინციპებით ვეღარ ხელმძღვანელობდა და თავისი „დამძიმებული სულის" შემსუბუქებას, „სულიერი კეთილის" მოპოვებას. შესაფერი გასამრჯელოს საფასურით, სასულიერო ნაწილის ლოცვა-კურთხევით ცდილობდა. ეკლესია-მონასტრებისათვის შეწირულების გაცემის სურვილით შეპყრობილი

---

27 კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, გვ. 167.

28 იქვე, გვ. 167—168.

29 იქვე, გვ. 173.

30 გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, პ. ინგოროყვას გამოცემა, 1949, გვ. 41.

31 იქვე, გვ. 41.

შეწირულების სანაცვლოდ მონასტერი ჩვეულებრივ სულის მოსახსენებელ წირვასა და აღაპს უხდიდა შემწირველთ. ასე ყოფილა ამ შემთხვევაშიც „მსგაქსად აღთქუმისა ხანძთას შინა ელოცვების ყოველთა დაფანჩულთა".

იყვნენ დიდი და მცირე „ცოდვილნი“ და „მიმხვეჭელნი“[32]. წირავდნენ უმთავრესად მიწებს და გლეხებს, ზოგჯერაც საეკლესიო ნივთებს და ძვირფასეულობას. გასაგებია ამის შემდეგ, თუ ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ეკონომიურ ძალას წარმოადგენდნენ.

შეწირულება ერთ-ერთი, მაგრამ ერთადერთი საშუალება არ ყოფილა საეკლესიო მემამულეობის შექმნისა. მნიშვნელოვანი საშუალება იყო ამ თვალსაზრისით „სყიდვაც“. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, უძველესი ცნობა საქართველოში მონასტრის მიერ მიწების ყიდვისა VI საუკუნეს ეკუთვნის[33].

გიორგი III-თავის 1170 წლის შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ განახლების სიგელში, სხვათა შორის, აღნიშნავს: „სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი წმიდისა ევაგრესგან მოსყიდული“[34].

როგორც ჩანს, XII ს. 70-იან წლებში შიომღვიმის მონასტერში ჯერ კიდევ დაცული იყო ის დოკუმენტი, სადაც ევაგრეს (შიოს თანამოღვაწე და ხსენებული მონასტრის მეორე წინამძღვარი) მიერ „მოსყიდული“ მიწა იყო აღნიშნული[35].

ეკლესია ფეოდალური კლასის სასულიერო ორგანიზაცია იყო და მამულების გაზრდის ისეთსავე სურვილს იჩენდა, როგორც მისი თანამოძმენი ფეოდალთა საერო ბანაკიდან. ესე იგი მიწების დაუფლებისა და ქონების მოხვეჭის საქმეში არც ძალმომრეობა-იძულებას ერიდებოდა. საყურადღებო ცნო-

---

32 იყვნენ, ცხადია, გამონაკლისებიც, როგორც მაგალითად. ზემოთ ხსენებული ერისმთავარი სტეფანოზი—კაცი „ურწმუნო და უშიში ღმრთისა“ (ჯუანშერი).

33 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, გვ. 305.

34 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 305.

35 ი ქ ვ ე. გვ. 305.

ეპვი არაა, ნასყიდობის უძველეს საბუთებთან ერთად ამ დოკუმენტსაც გულისხმობდა დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში შიომღვიმის მონასტრისადმი: „მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი ანუ მეფეთა შეწირულთა ანუ მთავართა ვინთმე და თჳთ ძუელი და ძუელის-ძუელი ნასყიდი მონასტრისაგან“. იხ. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 16.

ბები მოგვეპოვება, ამ თვალსაზრისით, ადრეული ფეოდალიზმის ხანიდან ბასილ ზარზმელის თხზულებაში. ნაწარმოებში აღწერილია საგულისხმო მომენტი მონასტრის მიერ სათემო მიწების მიტაცების მცდელობისა. ეს ბრძოლა მაშინ „ძმობის" გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავად დიდი ფეოდალის გიორგი ჩორჩანელის ხელისშეწყობისა. მაგრამ თხზულებიდან იგრძნობა, რომ თავისუფალი მეთემე მიწის მუშების ამ გაერთიანებას დიდი ხნის არსებობა აღარ დარჩენია. აკი, კიდეც, დაისაჯნენ ისინი ღმერთის მიერ მოვლენილი „სასწაულით". შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ „სასწაულში" მიწიერი უფლის გიორგი ჩორჩანელის ხელიც ერია[36].

საერთოდ, საზოგადოების ფეოდალური ნაწილი დიდად იყო დაინტერესებული თავისი სასულიერო მოკავშირის მომაგრებითა და გაძლიერებით. არა ერთი დიდ ფეოდალთა სახლის შვილი ხდებოდა რელიგიის მსახური, მაღალი საეკლესიო ხელისუფალი. ეკლესია, როგორც ფეოდალური ორგანიზაცია, მალე ჩაება კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლაში[37].

---

36 ს. ჯანაშია, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები II, გვ. 447.

37 ტიპიურია ამ მხრივ არსენ I-ის კათალიკოსად გახდომის ამბავი. არსენი ექვსი წლის იყო, როდესაც ხანძთელმა ბერებმა თეოდორემ და ქრისტეფორემ მამამისის, სამცხის დიდი აზნაურის მირიანის სურვილის თანახმად „მოწესეთა სამოსლითა შემოსეს ყრმაჲ იგი". მირიანს თავიდანვე ჰქონია, როგორც ჩანს, განზრახული, მისი უმცროსი ვაჟი დიდი საეკლესიო ხელისუფალი გამხდარიყო. რითაც ეკლესიის მხარდაჭერა ექნებოდა მოშალალში. ბავშვი გრიგოლ ხანძთელთან აღიზარდა და შემდეგ მამამ „მძლავრ სამცხისა ერითა ძეჲ თჳსი დაადგინა კათალიკოზად". (იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 89).

მირიანის მოქმედებას წინ აღუდგა მამფალი გუარამ დიდი და ეპისკოპოსების უმრავლესობა. გუარამს უკვე დაპყრობილი ჰქონდა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი. ეპვი არაა, ჯერი სამცხეზე იდგა. ასეთ ვითარებაში მირიანის წარმატება გუარამს თავისი ინტერესების საზიანოდ მიუჩნევია. ჯავახეთში სპეციალურად მოწყობილმა საეკლესიო კოებამ, მიუხედავად გუარამისა და ზოგიერთი ეპისკოპოსის დიდი მცდელობისა, ვერ შეძლო არსენის გადაყენება, რაც გრიგოლ ხანძთელის დიდი დამსახურება იყო, თუმცა არც გრიგოლი უარყოფდა, რომ ეს საქმე მირიანმა „აუგიან ყო უეამოდ შესწრაფებითა".

ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ეკონომიურ ძალას წარმოადგენდნენ. ეკლესია დიდი ფეოდალური ორგანიზაცია იყო და ყმა-მამულის ისეთივე მესაკუთრე, როგორც საერო ფეოდალები. უფრო მეტიც, არა ერთი საშუალო და წვრილი აზნაური ეკლესიის (საკათალიკოსო და საეპისკოპოსო კათედრების, მონასტრების) მფარველობა-პატრონობას ანუ „საყდრის შვილობას" (resp. „ეკლესიის შვილობას") ეძიებდა.

უძველესი ცნობა „ეკლესიის შვილთა" ინსტიტუტის შესახებ, ჩვენი აზრით, „აბო ტფილელის წამებაში" მოიპოვება: „...საწადელ და სასურველ მღდელთა და ყრმათა მათ მოწაფეთა და შვილთა ეკლესიისათა..."[38]. უკანასკნელ დროს აღმოჩენილ თრეხვის წარწერაში (1066 წ.) მოხსენებულია რუისის საეკლესიო სენიორიის „საყდრის შვილნი": „მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის..."[39].

აკად. ს. ჯანაშიას განმარტებით, „საყდრის შვილებად იწოდება მთელი ის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია კულტსა და ტაძართან, კერძოდ—ტაძრის მეურნეობასთან. უპირატესად აქ ტაძრის, საყდრის, მოხელე ხელისუფალნი იგულისხმებიან"[40]. ეკლესია-მონასტრების მართვა-გამგეობა ამ აზნაურ-მოხელეთა მოვალეობაა. „საყდრის შვილის" ერთ-ერთი გარეგნული ნიშანია მონასტერში დასაფლავების უფლება[41].

ბ. ლომინაძის ვარაუდით, „საყდრის შვილობა" ადრე ფარული ცნება უნდა ყოფილიყო და ეკლესიის ქვეშევრდომ-მსა-

---

38 კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, 1935, გვ. 59.

39 გ. გაფრინდაშვილი; ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, № 1, გვ. 246—247.

40 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 165.

41 იქვე, გვ. 164.

ხურთა ყველა წრეს მოიცავდა; რომ შემდეგ მოხდა მისი დავიწროება და „საყდრის შვილობა“ საეკლესიო სენიორიის ემა-აზნაურთა პრივილეგირებულმა ჯგუფმა დაინარჩუნა[42].

უფრო ფართო შინაარსის მატარებელია „ხატის შვილების“ ინსტიტუტი, რომელიც მონასტრის მსახურთა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს აერთიანებდა.

რაც შეეხება საეკლესიო და სამონასტრო საქონელთა მმართველობას, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, იგი ფეოდალურ-კოლეგიურია.

„კათალიკოსები და ეპისკოპოსები საეკლესიო საქონელთა მმართველობის საქმეებს წყვეტენ „ყოველთა ეკლესიის შვილთა თანადგომით და ერთნებაობით“ (საეკლესიო აზნაურთა უძლიერესი ჯგუფია)[43].

ეკლესიის სამამულო-ორგანიზაციული საქმეების მართვა-მოწესრიგება, ეხება ეს ყმა-მამულის ბოძებას, ყმის გაყრას, მამულზე დავას, სახელოს ბოძებას თუ სხვა რამეს, „საყდრის შვილთა“ თანხმობა-მონაწილეობის გარეშე არ ხდება. ისინი არა მარტო კოლეგიური მმართველები არიან ეკლესიის საქონელთა, არამედ კათალიკოს-ეპისკოპოსებთან ერთად მათი კოლექტიური მფლობელებიც არიან[44].

საერთოდ, ეკლესიის მსახურნი ცალკე სოციალურ წოდებას არ შეადგენდნენ. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალნი (კათალიკოს-ეპისკოპოსები, წინამძღვრები...) აზნაურთა ფეოდალური კლასის რიგებიდან იკრიფებოდნენ, ხოლო დაბალი, სოფლის სამღვდელოება—მწარმოებელი საზოგადოებრივი ფენებიდან იყო გამოსული.

---

42 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. „მცხეთის შვილი“ XIV—XVIII სს.. ხელნაწერის ოავაზიანი მოწოდებისათვის პატ. ბ. ლომინაძეს მადლობას მოვახსენებთ.

43 Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв. Тб., 1938, გვ. 5.

44 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახელებული ხელნაწერი.

ავტორს თავისი გამოკვლევის შედეგები „მცხეთის შვილის“ (მცხეთის საკათალიკოზოს მსახურეულ აზნაურთა ჯგუფი) ინსტიტუტის მაგალითზე აქვს მიღებული, მაგრამ ასეთივე მნიშვნელობა ეძლევა მას სხვა საეკლესიო სენიორიების მიმართაც.

3. კერძო მიწათმფლობელობა

კერძო მფლობელობა მიწაზე სახელმწიფო და სათემო საკუთრებისაგან გამოთიშვით წარმოიქმნა. ფეოდალური ურთიერთობის ადრეული ხანის დამდეგისათვის კერძო მიწათმფლობელობას უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საადგილმამულო სფეროში, ხოლო მსხვილი კერძო მფლობელობა თავისი ხასიათით სულ უფრო ფეოდალური ხდებოდა.

თემური ორგანიზაციების სამიწო საკუთრებას ქართლში რღვევის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ მონური წარმოების ხანაში გამოაჩნდა, რამაც შემდეგში უფრო ძლიერ იჩინა თავი, ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების შესაბამისად.

ქვეყნის ეკონომიური განვითარების შედეგად სულ უფრო ძლიერდებოდა მიწის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაქცევის ტენდენცია. სათემო მიწებზე ფეხს იკიდებდა წვრილი კერძო მფლობელობა, ჯერ ბაღ-ვენახებზე, შემდეგში სახნავ-სათესზედაც.

სასოფლო თემების შეძლებულ წევრებს საერთო, სათემო სარგებლობაში მყოფი მიწების გარდა, თავისი წვრილი სამიწო საკუთრებაც გააჩნდათ. მიწის კერძო მფლობელობა იყო საფუძველი ძველს ქართლში ერის წიაღიდან აზნაურ-წარჩინებულთა სოციალური ფენის წარმოჩენისა.

წვრილი კერძო მიწათმფლობელობის წარმოშობის წყარო უმთავრესად სათემო მიწები იყო, არა იშვიათად მის გარეშე მდებარე ადგილებიც, მათი მითვისების სხვადასხვა გზით (უშენის მოშენება, უხმარის სახმარად გადაქცევა, მფლობელობის ხანდაზმულობა...).

მიწაზე ინდივიდუალური კერძო საკუთრების შემოსვლის ერთ-ერთი ეკონომიური გზა იყო „სყიდვაც“, რაზეც მეტყველებს ამ ინსტიტუტის განსაკუთრებული განვითარება და მნიშვნელობა ძველს ქართლში.

ფიქრობენ, რომ „ნასყიდის“ ინსტიტუტი ქართლში მონათმფლობელური ურთიერთობის ხანიდან მომდინარეობს[45]. აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიწის ნასყიდობის უძველესი ფაქტი VI ს-ში დაადგინა[46]. შესაძლებელია ამაზე ადრინდელი დოკუმენტი იყოს წყისეს ქვა-ჯვარი. ერთი კი ცხადია, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის წესის შემუშავება ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის მიღმაა საძიებელი. აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „ნასყიდი“ საქართველოში მეტად ძველი ინსტიტუტია, რომ ის ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების წინა ხანაში უკვე არსებობდა იურიდიულად სავსებით გაფორმებული[47].

ყიდვა-გაყიდვა უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო საკუთრების წარმოშობისა ფეოდალური ურთიერთობის მთელს განძილზე. ამ ინსტიტუტის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლება განსაკუთრებით მტკიცე და საიმედოა (მიუდეევარია). თავისუფალია ფეოდალური საკუთრების მთელი რიგი შეზღუდვებისაგან. („ნასყიდობა აღლალი და შესარჩენი საქმე არის“.—ვახტანგის კანონები). ამიტომაც იყო, რომ საკუთრების შეძენის ამ გზას ხშირად მიმართავდნენ ხელმწიფენი, დიდი და მცირე ფეოდალები, ეკლესია-მონასტრები, ვაჭარ-ხელოსნები, თავისუფალი მწარმოებლები და ზოგჯერ გლეხებიც. დამახასიათებელია ამ მხრივ აშოტ I კურაპალატის საქმიანობა შავშეთ-კლარჯეთში, რომელმაც „სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოკერი აღაშენა“[48].

---

45 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში, საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, .I, გვ. 105, ივ. ს ურ გ უ ლ ა ძ ე. საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები. XXXVII B., 1949. გვ. 2; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები.

46 მიმომხილველი, III, გვ. 305.

47 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 143.

48 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 376.

კერძო მფლობელობაში მყოფ მიწას, ჩვეულებრივ, „აგარაკი“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით ძველ სომხურშიც იხმარებოდა (*ագարակ*). სომხურ-ქართულისათვის ამ საერთო ტერმინს მკვლევრები უკავშირებენ სუმერულ-აკადურ agar (akar)—„ყანა, სახნავი მიწა, მდელო“[49].

ყველა ეს მნიშვნელობა ჰქონდა „აგარაკს“ ძველ ქართულშიც, მაგრამ აქ იგი, თითქოს, უფრო ფართო და მრავალმხრივი შინაარსის მატარებელი ჩანს. პირველ ყოვლისა, „აგარაკი“ ნიშნავდა „მიწას“ (ოთხთავში[50]: მ. 27_7 „აგარაკი“ სასაფლაოდ გამოყენებულ მიწას ეწოდება); შემდეგ—„სახნავ-სათეს ადგილს, ყანას“ (მ. 13_{38}, მ. 13_{11}, ლ. 12_{18}). ტერმინი ნიშნავდა აგრეთვე „ველს“ (შდრ. მ. 24_{40} C და მრ. 15_{21} ДЕ), „სანახებს“ (შდრ. მრ. 6_{36} C და მრ. 6_{36} ДЕ).

ბოლოს, „აგარაკი“ აღნიშნავდა „დასახლებულ ადგილს, დაბას“[51] (შდრ. 5_{14} C და მრ. 5_{14} ДЕ).

„აგარაკი“ „დაბის“ სინონიმური პარალელია აგრეთვე თხზულებაში „თხრობაჲ სასწაულთათვის.. შიოსთა“ და სხვაგან[52].

„აგარაკი“, როგორც სამეურნეო ცნება, უფლებრივი შინარსითაც გამოდიოდა. კარგა ხანია, რაც გამოთქმულია აზრი, რომ „აგარაკები“ სასოფლო თემის მიწებს გარეშე მოქცეულ,

---

[49] С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, № 1, 1950, გვ. 13.

[50] აქ და სხვაგან ესარგებლობთ აკად. აკ. შანიძის მიერ გამოცემული ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციით, თბილისი, 1945.

[51] „დაბა“ გარკვეული სამეურნეო ცნება იყო. ქალაქებზე დაქვემდებარებული დაბები არსებითად აგარაკებს წარმოადგენდნენ („აგარაკის“ ცნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მისი დაქვემდებარებული სამეურნეო ხასიათი). ეს ჩანს ოთხთავის ზემოთ დაპირისპირებული ვარიანტებითაც, რასაც მხარს უჭერენ სხვა მონაცემებიც და მათ შორის მასალები ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. იხ. ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. მიმომხილველი, II, 1951.

[52] უძველეს სინურ მრავალთავში „აგარაკის“ სინონიმებია „ყანობირი“ და „დაბა“. იხ. სინური მრავალთავი 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, 1959, გვ. 67—68.

კერძო განკარგულებაში მყოფ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენდნენ[53].

სახარებასა და ბიბლიაში „აგარაკი“ კერძო მფლობელობის საგანია, რომელსაც ყიდვა-მოგების გზით შოულობენ[54]. ტერმინი ხშირად იხმარება ადრეფეოდალური ხანის ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც. უნდა ითქვას, რომ ეს ძეგლები არ ეწინააღმდეგებიან ნათარგმნი თხზულებებით წარმოდგენილ „აგარაკის“ უფლებრივ შინაარსს.

„აბო ტფილელის წამებაში“ ნათქვამია, რომ აბომ „დაუტევა მონაგებნი და აგარაკები“[55]. „მონაგებში“ აქ მოძრავი ქონება იგულისხმება, ხოლო „აგარაკები“ აღნიშნავს უძრავ (სამიწო) მფლობელობას.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ხაზგასმულია, რომ დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის „აგარაკთა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო“. ეს „აგარაკები“ მემკვიდრეობითი ხასიათის სამიწო მფლობელობაში ითვლებოდნენ, „მამულს“ შეადგენდნენ[56].

---

[53] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, გვ. 282; Г. Меликишвили, К истории..., გვ. 414.

ტერმინის ასეთივე მნიშვნელობა დამოწმებულია ძველ სომხურშიც. როგორც პროფ. ს. ერემიანი შენიშნავს: „В армянском языке агарак, в отличие от общинной земли, получает определенный смысл, как название частновладельческой земли, частновладельческого хозяйства“. С. Т. Еремян, დასახელ. შრომა, გვ. 13—14.

„აგარაკი“ ძველ ქართულ ტექსტებში ხშირად „დაბის“ ან „სოფლის“ კვერდით და საპირისპიროდ იხმარება. მკვლევრების აზრით (ს. ჯანაშია, ვ. მელიქიშვილი), ამ ტერმინებით აღნიშნულია სამიწო საკუთრების ძირითადი. კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები („აგარაკი“) და თემის სამიწო საკუთრება („დაბა“, „სოფელი“). იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 282; Г. Меликишвили, К истории..., გვ. 414-415.

[54] იოანე მოსხის „ლიმონარში“ „აგარაკი“ კერძო მფლობელობაში მყოფი მიწაა (ყანობირია), რომლის დამუშავებაც პატრონს (გლახაკია) გაძნელებია. იხ. ი ო ა ნ ე მ ო ს ხ ი, ლიმონარი, ი. აბულაძის გამოცემა, 1960, გვ. 8.

[55] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, გვ. 64.

[56] ჩორჩანელმა გარდაცვალების წინ მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება („მამული... და მონაგები“) დისშვილებს უანდერძა. იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, გვ. 173.

ჩვეულებრივ, „აგარაკი“ კომპლექსურ სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა და დასახლებულ ადგილს ახლდა, მას ექვემდებარებოდა. შესაძლებელი იყო დაბა-ქალაქებში შემავალი (სამეურნეო თვალსაზრისით) და მათზე დაქვემდებარებული ასეთი ეკონომიური ერთეულები, ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, თვითონ განვითარებულიყვნენ დასახლებულ პუნქტებად, ე. ი., ქალაქებსა და დაბა-სოფლებზე დამოკიდებულებას თავს აღწევდნენ (მნიშვნელობის დაკარგვის გამო) და საკუთარ „აგარაკებს“ იჩენდნენ.

დამახასიათებელი სურათია მოცემული ამ თვალსაზრისით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. სახნავ-სათესი ადგილების უქონლობის გამო, აშოტ კურაპალატმა ხანძთის მონასტერს „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“. გრიგოლ ხანძთელის ინიციატივით და ბაგრატ კურაპალატის ხელისშეწყობით შატბერდში შემდეგ დიდი მონასტერი აშენდა. ცხადია, ამის შემდეგ შატბერდი ველარ დარჩებოდა ხანძთის „აგარაკად“ (სამეურნეო მნიშვნელობის დაკარგვის გამო). იგი ახლა უკვე თვით საჭიროებდა საკუთარ „აგარაკებს“ და ბაგრატ კურაპალატმაც „მაშინ უბრძანა ადგილნი[57] მარჯუენი აგარაკად შატბერდსა“.

საერთოდ, აგარაკი (II აგარა) სამონასტრო ცხოვრების თანმხლები მოვლენა იყო (ისე, როგორც, ქალაქებისა და დაბა-სოფლების)[58]. ქართლის მოქცევის მატიანის ცნობით, ჯერ კიდევ მირიან მეფეს შეუწირავს სოფლები და აგარაკები ნინოს სამარხზე აღმართული ეკლესიისათვის[59].

---

57 ყველა ეს „ადგილნი“ ზოგადად ერთ სამეურნეო კომპლექსს („აგარაკს) შეადგენდა, რაც. თავის მხრივ, უფრო მცირე ერთეულებსაც („აგარაკებს) გულისხმობდა. თხზულებაში ერთგან ნათქვამია: „იყო წმიდაჲ (გრიგოლი) აგარაკად ერთსა შატბერდისასა“. იხ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 146.

58 XI—XIII სს. ქართულ საბუთებში ხშირად იხსენიება სოფლები თაღის აგარაებით („სოფელნი და აგარანი მათნი“). ქალაქის და. კერძოდ, თბილისის აგარაკების შესახებ იხ. ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან.

59 Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей, II, გვ. 804.

VI ს-ში შიომღვიმის მონასტრის მამულების ერთი ნაწილი შეწირული აგარაკებისაგან შედგებოდა[60]. თავისი აგარაკები ჰქონდათ აგრეთვე ხანძთას, შატბერდსა და სხვა ეკლესია-მონასტრებს.

კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე „მამული"[61]. „მამული" („მამეული",—საბა, ლექსიკონი) მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას აღნიშნავდა[62]. სახარების უძველეს ქართულ თარგმანებში „მამული" უკვე მეორეული (წარმოებული) მნიშვნელობით იხმარება—სამშობლოს ნიშნავს[63]. აკად. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, „მამული უპირველესად უძრავი ქონების, მამისაგან ნამემკვიდრევის, აღსანიშნავად იხმარებოდა და შემდეგ თანდათან მოხდა მისი გავრცელება „სამშობლოს" ცნებამდე"[64].

მაგრამ მამეული უძრავი ქონება („მამული") თავისი წარმოშობით შეიძლებოდა სხვადასხვა ხასიათის ყოფილიყო: მკვიდრი, ნასყიდი, ნაშოები, მონაგები, ნაწყალობევი, ნამზითევი, სამსახურის სანაცვლოდ გაცემული და სხვ. თანდათან ტერმინი უძრავ-მოძრავი მფლობელობის ყოველგვარ ობიექტზე გავრცელდა.

---

60 შემდეგშიაც შიომღვიმის მონასტრის სამიწო საკუთრება „აგარაკებად" იწოდებოდა. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში ამ მონასტრისადმი ამბობს: „არც მლუმისა შედგომად ვის აქუს ჭელმწიფებაჲ. არცა მათთა აგარაკთა და საქონებელთაჲ თანა ვის საქმე უც...". იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 18.

61 „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ სერაპიონის შშობლების გარდაცვალების შემდეგ („რომელნი შრომით და ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდეს"), მისი უფროსი ძმა „წესითა მსოფლიოჲთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკჳდრებელსა" (გვ. 151). აქ. ცხადია, „მამული" წვრილ-კერძო მფლობელობაში მყოფი სამემკვიდრეო მიწა-ადგილია.

62 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, 1929, გვ. 389.

63 ი ქ ვ ე, გვ. 389.

64 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ა. კიკვიძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში", აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955. გვ. 485.

წვრილი კერძო მიწათმფლობელები ქართლში ადრეული ფეოდალიზმის ხანაში უმთავრესად მატერიალური დოვლათის თავისუფალი მწარმოებლები (მდაბიურები) იყვნენ. X ს. მიწურულისათვის ხალხის კერძო თუ სათემო მიწა-წყლის მიტაცებისა და მათი აზნაურთა ფეოდალურ მამულებად გადაქცევის პროცესი ქართლის მოწინავე რაიონებში ძირითადად დასრულებულია. ფეოდალებმა ერთიანად დაადეს ხელი მდაბიურთა კერძო სამფლობელო მიწებს, ხოლო ყოფილ მფლობელებს ყმობის უღელი დაადგეს.

ამ დროიდან, შეიძლება ითქვას, რომ კერძო და სათემო მიწებზე ფეოდალური მიწათმფლობელობა საბოლოოდ დამკვიდრებულია.

4 ფეოდალური მიწათმფლობელობა

ფეოდალიზმის ხანაში წარმოების ძირითადი საშუალება მიწა იყო, ხოლო ფეოდალური მიწათმფლობელობა—მისი საფუძველი.

ფეოდალური მიწათმფლობელობა თავდაპირველად მსხვილი კერძო სამფლობელო მიწების ფეოდალური ექსპლოატაციის შედეგად წარმოიქმნა. შემდგომ კი იგი უმთავრესად სათემო მიწების მითვისების გზით ფართოვდებოდა. მიწის ფეოდალური საკუთრების წყაროები იყო აგრეთვე უშენის მოშენება, ყიდვა, შეწირულობა, ნაშობები, ნაჭირნახულები, მფლობელობის ხანდაზმულობა და სხვ.[65]. ფეოდალური საკუთრების წარმოშობის მნიშვნელოვანი საშუალება იყო წყალობა-ბოძებაც. წყალობა „პატრონის“ უფლება და ვალდებულება იყო „ყმად“ შეწყნარებულის მიმართ, რაც ამ უკანასკნელს, თავის მხრით, ერთგულებასა და სამსახურს აკისრებდა. ნაწყალობევი მიწა „ყმას“ (ვასალს) ან პირობით მფლობელობაში ეძლეოდა, ე. წ. „საკარგავების“ სახით, ანდა „მკვიდრად“ და „სამამულოდ“, ე. ი. მემკვიდრეობით მფლობელობაში.

---

65 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII, საუკუნეებში, 1958, გვ. 137.

ფეოდალური მიწათმფლობელობის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მიწის საკუთრების ფორმების საკითხი. აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ქართლის საზოგადოება VI—VII საუკუნეებში უკვე იცნობდა მიწის საკუთრების ისეთ ფორმებს, როგორიცაა „მამული", „შეწირული" და „ნაწყალობევი"[66]. ვფიქრობთ, რომ „მამულის" გვერდით ამ დროს „საკარგავიც" არსებობდა. ადრეული ფეოდალიზმის ხანაში, აზნაურ-წარჩინებულებზე მიწების გაცემა, ჩვენი აზრით, უმთავრესად პირობითი მფლობელობის სახით ხდებოდა. აერძოდ, ვახტანგ გორგასლის მიერ მხედრების „წარჩინებულ ქმნა", თუ უფრო გვიან, არჩილის მიერ ტაძრეულების „აზნაურ ყოფა", ვფიქრობთ, სამიწო საკუთრების ამ ფორმას ემყარებოდა.

როგორც ჩანს, იმთავითვე ფართო გავრცელება მოიპოვა აგრეთვე მიწის მემკვიდრეობითი მფლობელობის (სამამულო) სისტემამ. მეფობის მოსპობა ქართლში და ერისთავების მიერ სამოხელეო ქვეყნების „მამულობა შვილითი-შვილამდე". უდავოა, ხელს უწყობდა ამ მფლობელობის დამკვიდრებას სახელმწიფოს სხვა მიწა-წყალზეც[67].

აკად. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, V—VI სს. ქართლში ფეოდალური მსხვილი მიწათმფლობელობა უკვე არსებობს „მემკვიდრეობითი მყარი მემამულეობის სახით"[68]. მემკვიდრეობით საკუთრებას წარმოადგენს, მაგალითად, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" მოხსენებული დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის ადგილ-მამული. ეს ფეოდალი, როგორც „ცხოვრებაში" წერია: „ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაადთა, რომელთა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო"[69]. გარდაცვალების წინ ჩორჩანელმა (მას შვილე-

---

66 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე", გვ. 303.

67 ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართლის ერისთავების საადგილმამულო საკუთრების სფეროს გამორკვევა, რაც შესაფერი ცნობების უქონლობის გამო, ყველგან არ ხერხდება.

68 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 288.

69 ს. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, გვ. 154.

ბი არ დარჩენია), „მამული... და მონაგები მისი, დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა“[70].

ქართლში, ისევე როგორც სხვაგან, ფეოდალური სამეურნეო ორგანიზაციის ორი ძირითადი ფორმა არსებობდა. საპატრონო მიწების დიდი ნაწილი (ზვრები, ხოდაბუნები, ახოები...) ფეოდალების უშუალო სარგებლობაში რჩებოდა და ფეოდალური მეურნეობის შინაარსს ქმნიდა. აქ გლეხური შრომის უშუალო ექსპლოატაცია ხდებოდა. მიწების მეორე ნაწილი კი გლეხებზე იყო გადაცემული („საგლეხო ფუძე“), რომლით სარგებლობისათვის მიწის მუშა პატრონს მოსავლის გარკვეულ ნაწილს უხდიდა.

აზნაურები მამულების სივრცე-სიდიდით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ისე როგორც გლეხები საგლეხო ფუძის სისრულით თუ ნაკლულობით. მიუხედავად იმისა, რომ ქართლში დიდ აზნაურთა მსხვილი ფეოდალური მეურნეობები საკმარისად არსებობდნენ, უნდა ითქვას, რომ აქ მაინც საშუალო და წვრილი ფეოდალური მემამულეობა ჭარბობდა.

ფეოდალურ მფლობელობაში არსებული მიწების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ძველთაგანვე „მამული“ იყო.

რამდენადაც „მამული“ მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობის სხვადასხვა კატეგორიებს აერთიანებდა, თითოეულ მათგანზე წარმოშობილი მფლობელობის იურიდიული რეჟიმი ერთნაირი არ შეიძლება ყოფილიყო. ამის გამოა, რომ წყაროებში, როგორც წესი, აღნიშნულია თუ მამულის რა სახესთან გვაქვს საქმე: ნასყიდია იგი, მკვიდრი თუ ნამზითვი[71]. მონაგებ-ნაშოები თუ ნაბოძებ-ნაწყალობევი. მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობის ერთი ნაწილი—ნასყიდი, ნამზითვი, მონაგებ-ნაშოები, მეტ-ნაკლებად სრული საკუთრების საგნად

---

70 ს. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, გვ. 173.

71 „ნამზითვი“ ქონების აღსანიშნავად იხმარებოდა აგრეთვე „დედული“ (დედისეული), „მამულის“ მსგავსად და მისგან განსხვავებით წარმოებული. მაგრამ „დედული“, ჩვეულებრივ, მაინც უფრო ფართო ცნება იყო, ვიდრე „ნამზითვი“.

უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებით მტკიცეა ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლება.

„ნასყიდი მამული“ განთავისუფლებული იყო სახელმწიფო, საეკლესიო და სამოხელეო გამოსაღებელისა და სამსახურისაგან. შიომღვიმის მონასტრის 1250—1260 წწ. საბუთის მოწმობა ამ მხრით სანიმუშოა:

„არავის საქმე უც ამას ადგილსა ზედა: არცა სამეფოჲ სამსახური ზედა აც, არცა მდგური, არცა გამოსაღებელი, თვინიერ ეკლესიისა მამითნადი[72]. ყოვლითურთ უბეგროჲ არს, მით რომელ ნასყიდი არს“[73].

ნასყიდი, ნამზითვი, მონაგებ-ნაშოები „მამული“ მემკვიდრეობით სამიწო საკუთრებას შეადგენდა. მაგრამ ფეოდალური საკუთრების წარმოშობის მნიშვნელოვანი საშუალება იყო წყალობა-ბოძებაც. „მკვიდრად და სამამულოდ“ ბოძებული მიწა-ადგილი, ზოგადად, შეწყალებულის „მამულში“ იგულისხმებოდა. მაგრამ საკუთრების უმაღლესი უფლება ასეთ ადგილზე „პატრონს“ რჩებოდა, „ყმას“ კი სარგებლობა-მფლობელობის უფლება ეკუთვნოდა.

„ნაწყალობევი მამული“ „სამსახურის სანაცვლოდ“ იყო გაცემული (მატიანე ქართლისაჲ: „... ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრკე ბოდო-კლდითა“). სწორედ სამკვიდრო-სამამულოდ ნაბოძები „მამულის“ საფუძველზე ემსახურებოდა ყმა ფეოდალი (ვასალი) პატრონს. პატრონყმური დამოკიდებულების საფუძველი ადრეფეოდალურ ხანაში უმთავრესად სამამულო ურთიერთობის ამ ნიადაგზე შემზადდა.

მამულზე რიგი სახელმწიფო და კერძო-საპატრონო ვალდებულებები იყო დადებული. უმთავრესი მათ შორის მაინც სამხედრო სამსახური (ლაშქრობა) იყო. ლაშქრობისაგან არავინ იყო განთავისუფლებული. მაშინაც კი, როცა, მამული „შეუვალობით“ სარგებლობდა. ე. ი. განთავისუფლებული

---

72 საეკლესიო გამოსაღებელი, ამ შემთხვევაში „ეკლესიის მამიონადი“. ნასყიდს აწვევს იმის გამო, რომ იგი კერძოკე კახთა მეფის სამწირველოზეა „მოკიდებული“.

73 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 61

იყო „ყოვლისა გამოსავლისა და შესავლისა საკელმწიფოჲსა და სათხოვრისაგან ყოვლისა“.

დავით აღმაშენებლის სიგელი არიშიანთადმი მოწმობს, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ყმას „ლაშქრობა აღარ შეეძლო“, და „დიდადაც იყო ნამსახური“. პატრონს შეეძლო იგი ამ მძიმე ვალდებულებისაგან გაეთავისუფლებია და მისი მამულიც „ჴელშეუვალი“ გაეხადა[74].

ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა მემკვიდრეობით საკუთრებად გადაექციათ. ამ ნიადაგზე გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა დიდგვარიან აზნაურებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ძალთა შეფარდება მეფე-პატრონსა და ყმა-დიდებულს შორის, ყოველ კერძო შემთხვევაში, ხშირად განსაზღვრავდა მიწათმფლობელობის ხასიათს, რაც, თავის მხრით, აპირობებდა მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლოატაციისა და გარეეკონომიური იძულების ფორმას.

მაგრამ მიწა „სამსახურის სანაცვლოდ“, ანდა თანამდებობასთან დაკავშირებით, პირად სარგებლობაშიაც გაიცემოდა. პატრონყმური ურთიერთობის ხანაში მიწათმფლობელობის მთავარ ფორმას მაინც პირობითი მიწათმფლობელობა წარმოადგენდა, რომელსაც „საკარგავი“ ერქვა.

საკარგავები სამხედრო სამსახურის პირობით ან სამოხელეოდ გაიცემოდნენ: ორივე შემთხვევაში ეს მიწათმფლობელობა პირობითი და დროებითი ხასიათისა იყო. მოლაშქრე და მოხელე-მოსაკარგავენი თავიანთი საკარგავებით მანამდე სარგებლობდნენ, სანამ მეფის ლაშქარში ან სამსახურში რჩებოდნენ.

საკარგავებს უმთავრესად წვრილი აზნაურები და თავისუფალი მოლაშქრეები ფლობდნენ. ასეთი მსახურეული აზნაურები „მოსაკარგავე აზნაურებად“ იწოდებოდნენ, განსხვავებით მემკვიდრე აზნაურებისაგან („აზნაურნი მემამულენი“).

მაგრამ, რადგანაც, თანამდებობის ჭერა და სამხედრო ვალდებულება ხშირად მემკვიდრეობით ხასიათს იღებდა (მოლაშ-

---

74 თ. ყორდანია, ისტ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 21.

ქრე თუ მოხელე-მოსაკარგავენი „მემამულე აზნაურები“ ხდებოდნენ), დროებით სარგებლობაში გაცემული მიწაც, შესაბამისად, სამემკვიდრეო მფლობელობაში გადადიოდა, ე. ი. „საკარგავი“ თანდათან „მამულის“ სახეს იღებდა.

საკარგავი ფეოდალურ საქართველოში უმთავრესად მიწის სახით გაიცემოდა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, საქონლო და ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად, საკარგავი ზოგჯერ ფულად სარგო-გასამრჯელოს წარმოადგენს. ნიკორწმინდის „დაწერილში“ ნათქვამია: „ქართველნი ხუცესნი მოვიყვანენით და დავკარგენით. მათ ზედა გაგვიცია დრაჰკანი კონსტანტინატი: ნბ: სააღვსებოდ“[75].

„ამირანდარეჯანიანში“ „საკარგავი“ ფულადი სარგოს მნიშვნელობითაც იხმარება. „მე თქუენი საკარგავი და ოქრო მიჭამია“[76],—ეუბნება მავანი ჭაბუკი ამირა ბასრელს. სხვაგან კიდევ ტერმინი იხმარება ჩვეულებრივი შინაარსითაც. მზეჭაბუკს ექვსი ჭაბუკი „ყმად“ „შეეწყნარა“, „პატრონმა“ სანაცვლოდ „საბოძვარი და საკარგავი უბოძა კიდის-კიდე ყოველთა: იყვნეს და მსახურებდეს ერთგულად“[77].

საკარგავების სისტემა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. მიწათმფლობელობის ამ ფორმამ განსაკუთრებული მნიშვნელობა და გავრცელება გან-

---

75 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 49.

76 ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. II, გვ. 62. ძსგავსი გამოთქმა არის „ამირანდარეჯანიანის“ დამატებებში: „ხელმწიფის ასულს“ მეცხოვნენი ეუბნებიან: „ჩვენ შენი საკარგავი ოქრო მისთკის გვიჭამია...“. იქვე. გვ 130.

ვფიქრობთ, ფულადი გასამრჯელოს მნიშვნელობით იხმარება „საკარგავი“ „მატიანე ქართლისაშიც“. მხედველობაში გვაქვს განძის ამირა ფადლონის ვეფრხა-დაპირება მესხი აზნაურის ისაკ ტოლოშელის ძისადმი: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვეცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი და ნუ შეგიწყალებ“. იხ. ქართლის ცხოვრება. I. გვ. 311.

77 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. „ამირანდარეჯანიანი“ მოსე ხონელისა. 1939, გვ. 158—159.

„საკარგავი“ გეხედება „ვისრამიანშიც“. რამინის შესახებ ნათქვამია, რომ „ქალმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულობა და სამსახური მოიმატა“. იხ. ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით. ტფ., 1938. გვ. 320.

ვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, მონარქიის ძლიერების პირობებში მიიღო. სამეფო კარი თავისი პოლიტიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად, მსახურეული წვრილი აზნაურებისა და თავისუფალი მოლაშქრეებისაგან ქმნიდა დასაყრდენ სოციალურ ფენას, რომელთა ერთგულება-სამსახურის საფუძველი „საკარგავების“ სახით გაცემული სასეფო მიწა-წყალი იყო.

5. სათემო მიწათმფლობელობა

სათემო მიწათმფლობელობის საკითხი ქართლში მჭიდროდაა დაკავშირებული თემური ორგანიზაციების ხასიათთან.

იყო თუ არა ქართლის თემი თავისი წარმოშობით სატაძრო მფლობელობა, თუ, პირიქით, ტაძრების მემამულეობა თემების საზოგადოებრივი მიწების ფონდიდან იყო გამოყოფილი?

აკად. ს. ჯანაშია თემური და სატაძრო მიწათმფლობელობის ურთიერთობის საკითხში უკანასკნელ თვალსაზრისზე იდგა[78]. საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამს პროფ. გ. მელიქიშვილი თავის წიგნში—«К истории древней Грузии». სტრაბონის ცნობებსა და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებზე დაყრდნობით, გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ თავისი წარმოშობით ქართლის თემი იყო სატაძრო თემი[79].

პროფ. გ. მელიქიშვილის აზრით, სათემო მიწების გადასვლა მეთემეთა სრულ საკუთრებაში ძირს უთხრიდა ტაძრების ეკონომიურ ძლიერებას, რომელთა მფლობელობაში თანდათან მხოლოდ განსაზღვრული, სათემო მიწების გაუყოფელი ფონდი რჩებოდა და რომ, სწორედ, ეს უკანასკნელი უნდა განვიხილოთ საკუთრივ სატაძრო მამულებად, ქურუმების ფაქტიურ საკუთრებად[80].

ქართლის თემების წარმოშობის ხასიათის გარკვევა ჯერ კიდევ დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს. წინასწარ შეიძლე-

---

78 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო. ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 168—169.

79 Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 406—407.

80 ი ქ ვ ე, გვ. 407.

ბა ითქვას, რომ უძველეს დროს, გვაროვნული თემების არსებობის ხანაში, თითოეული თემური უჯრედი საგვარეულო ხატსალოცავის გარშემო იყო გაერთიანებული. გვიანდელი გადმონაშთები საქართველოს მთიანეთის სოციალური წარსულიდან, რომელიც ბარის საქართველოს პირველყოფილი თემური წყობილების რიგი მომენტების გარკვევა-დახასიათებისათვის გაბედულად უნდა იქნეს მოშველებული, იძლევა ამ თვალსაზრისის დაშვების საფუძველს. მაგრამ გვაროვნული ორგანიზაციების სასოფლო-ტერიტორიულ თემებად გადაზრდის შესაბამისად, ეს უკანასკნელნი კარგავენ სატაძრო ხასიათს. მრავალრიცხოვანი საგვარეულო კულტების ადგილს იკავებენ ახალი და საერთო ღმერთები მცირეაზიული პანთეონიდან. ამ კერპების სამიწო მფლობელობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში დიდ სიმდიდრეს აღწევს სამეფო შეწირულებებისა და სხვა გზებისა და საშუალებების შედეგად, ნაკლებად აჩენს საერთოსაზოგადოებრივი (თემური) სარგებლობის ნიშნებს.

კოლექტიური მფლობელობისა და სარგებლობის უფლება მთელ რიგ ობიექტებზე მხოლოდ სასოფლო-სამეზობლო თემშია შემორჩენილი, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილების უკანასკნელი ფორმაა ადრეული ფეოდალიზმის ხანაში.

სასოფლო თემის განვითარების პირველ ეტაპზე სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ტყეები, ჯერ კიდევ, სათემო მფლობელობისა და საკუთრების საგანია. მაგრამ თემში უკვე ვაჩენილია ინდივიდუალური კერძო საკუთრება შრომის იარაღებზე, მუშა და შინაურ პირუტყვზე, საცხოვრებელ და რიგ სამეურნეო ნაგებობებზე. შრომაც სულ უფრო ინდივიდუალურ ხასიათს იღებდა. გასაგებია ამის შემდეგ, რომ მეთემეთა შორის ქონებრივი უთანასწორობა წარმოშობილიყო. ქვეყნის სამეურნეო განვითარებისდა კვალად ეს პროცესი სულ უფრო ღრმავდებოდა. ინდივიდუალური კერძო მფლობელობა დაუინებით იკაფავს გზას ჯერ საბაღ-საევნახე ადგილებზე, შემდეგ, ერთგვარი მოგვიანებით, სახნავ-სათეს მიწებზედაც. ამრიგად, ყოფილ სათემო მიწა-წყალზე ფეხს იკიდებდა კერძო საკუთრების შემოსვლის ტენდენცია, თემი ირღვეოდა.

მაგრამ თემის დაშლის პროცესი მარტოოდენ შინაგანი (ეკონომიური) გზით არ მიმდინარეობდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქმეში გარეეკონომიურ იძულებას, პირდაპირ ძალადობას ფეოდალების მხრიდან. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, „მთავრები, აზნაურები, ეკლესია-მონასტრები ერთიანი ძალით უტევდნენ მდაბიორებს და იტაცებდნენ მათს სათემო თუ კერძო სამფლობელო მიწებს. ხალხი გააფთრებით იცავდა თავის უფლებებს და მამაპაპეულ მიწა-წყალს უსისხლოდ არავის უთმობდა, მაგრამ უპირატესობა ამ ბიმტაცებელთა მხარეზე იყო"[81].

თემის რღვევის პროცესი ხანგრძლივი ხასიათის მოვლენაა და ყველგან იგი ერთდროულად და ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობს. მაგალითად, ქვემო და შიდა ქართლში, სადაც ინტენსიური მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგები განვითარდა (მევენახეობა, მეხილეობა-მებაღეობა), საკუთრების პრინციპმა და ნასყიდმა ამ რაიონებში ფართო გავრცელება მოიპოვა, რამაც თემურობას აქ ადრევე გამოუთხარა ძირი. მაგრამ თემების სრულ გადაშენებას „სეფეების" ამ მხარეშიაც, სხვადასხვა ხელის შემშლელი პირობები აფერხებდნენ, როგორც, მაგალითად: ეკონომიური სარბიელის შეზღუდულობა, მეთემეთა თავისუფლებისა და თანასწორობის ტრადიციები. საერთო ლაშქარი, საგვარეულო ხატ-სალოცავი და სხვ.[82]

გასაგებია ამის შემდეგ თუ ქართლის მთიანეთის ან ბარის „ულვაწ" ადგილებში, მეურნეობის განვითარების დაბალი დონის გამო, ეს პირობები მეტი ინტენსივობით მოქმედებდნენ.

თემის დამარღვეველი პროცესის განვითარება ფეოდალური მეურნეობის შემდგომი ზრდისა და მისი ახალ საფეხურზე ასვლის შესაბამისად ვითარდებოდა. ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ქართლის დაწინაურებულ კუთხეებში სათემო მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი უკვე ფეოდალურ მამულებად იყო გადაქცეული. „მესაძმოეთა" გაერთიანებები ან მთლიანად დაიშალა, ანდა თემობით ყმობის უღელში აღმო-

81 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 128.

82 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, გვ. 182.

ჩნდნენ შებმული[83]. სასოფლო-ტერიტორიულმა თემმა, როგორც მიწათმფლობელობის ფორმამ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ როგორც მიწათსარგებლობის ფორმა, განაგრძობდა არსებობას. განსაკუთრებით დიდხანს იყო საერთო სახალხო სარგებლობის ობიექტი ტყეები, წყლები და სათიბ-საძოვრები („ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცს... წყალი, შეშა და ბალახი",—ამბობს ვახტანგის კანონი).

საერთოდ, თემურობის ელემენტებმა მიწათსარგებლობაში დიდხანს შემოინახეს თავი[84].

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

საზოგადოებრივი კლასები

1. ფეოდალთა კლასი

ა) სეფეწულები

სეფეწულები[1] ქართლის უმაღლესი არისტოკრატიის ერთ გარკვეულ ჯგუფს შეადგენდნენ. ამ წრის საზოგადოებრივი მდგომარეობა ძირითადად წარმოშობით, სამეფო გვარეულობისადმი მათი კუთვნილებით იყო განსაზღვრული.

---

83 თემების ერთიანად გაქრობას ხელს უშლიდა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკაც (ერმი ფისკალური ერთეული იყო) და შრომის მაშინდელი ორგანიზაცია. ეკონომიურად და პოლიტიკურად დამორჩილებული სასოფლო თემები განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში არსებობას განაგრძობენ, როგორც მეფისა და აზნაურების შემამულურ ინტერესებს დაქვემდებარებული ადმინისტრაციულ-სამეურნეო ორგანიზაციები.

84 XI—XIII სს. დოკუმენტებში „სოფელი" გარკვეული ეკონომიური ერთეულია „მოითა, ბარითა, ველითა, წყლითა, საძოვრითა, სათიბითა...", რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს ობიექტები ჯერ კიდევ სათემო სარგებლობის რეჟიმს ექვემდებარებოდნენ.

1 „სეფეწული" თავისი მნიშვნელობით იგივეა, რაც უფრო იშვიათად გავრცელებული „სეფე-შვილი", ან ასევეა შინაარსის ტერმინი „უფლისწული". ეს უკანასკნელი ადრევე იხმარება მეფის შვილის, ტახტის მემკვიდრის აღსანიშნავად, მაგრამ, როცა „სეფეწულის" ხმარებას ასეთი მნიშვნელობით ვერსად მივაკვლიეთ.

„სეფე“-ს ეტიმოლოგია ჯერ სავსებით დადგენილი არაა. აკად. ნ. მარის აზრით, „სეფე“ შეესაბამება სომხ. „սեպուհ“-ს, რომელიც თავის მხრივ, ირანული vis-pur[2] (←viso-puthra) განვითარებას წარმოადგენს[3]. შემდეგში აკად. ივ. ჯავახიშვილიც იზიარებდა „სეფე“-ს დაკავშირებას „სეპუჰ“-თან, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს ტერმინი ქართულს უშუალოდ სპარსულიდან ჰქონდა ზეპირი გზით შეთვისებული[4].

აკადემიკოსების ს. ჯანაშიას და ვ. თოფურიას აზრით, „სეფე“ ქართული სიტყვაა, იმავე ძირისა, რომელსაც „მეფე“ ეკუთვნის[5]. „სეფე“, ს. ჯანაშიას განმარტებით, აღნიშნავდა სამეფო სახლს, როგორც სამეურნეო ერთობას (სამეფო დომენი), და აგრეთვე თვით სამეფო სასახლეს, სამეფო კარსაც. დასასრულ, „სეფე“ შეიძლებოდა ხმარებული ყოფილიყო თვით სამეფო სახლის წევრთა აღსანიშნავად[6].

`რადგანაც „სეფე“ სამეფო გვარს, სამეფო სახლის წევრებს აღნიშნავდა, უძველესი ცნობა ქართლის „სეფეწულებზე“ V ს. სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის „სომხეთის ისტორიაში“ უნდა გვქონდეს. IV ს. მეორე ნახევარში ისტორიკოსი იბერიელთა ქვეყანაში „ნახარართა გვარებისა“ (მთავრები, ერისთავები) და „აზატების“ (აზნაურების) გვერდით, როგორც გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფს, ასახელებს აგრეთვე „ფარნავაზიანებს“ (resp. სეფეწულებს)—ქართლის ეროვნული სამეფო დინასტიის წარმომადგენლებს[7].

---

2 სიტყვასიტყვით ნიშნავს „ტომის შვილს“. „Vispuhr“-ები ირანის არისტოკრატიის ერთ-ერთ უმაღლეს ფენას შეადგენდნენ.

3 ამ თვალსაზრისზე იდგა პროფ. ნ. ადონცი. იხ. მისი, Армения в эпоху Юстиниана, СПб, 1908, გვ. 400 – 401.

4 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 194.

5 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, II, გვ. 165—166.

6 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, I, გვ. 159; შრომები, II, გვ. 166.

7 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 1955, გვ. 177; მისივე, К истории древней Грузии, გვ. 468.

V ს. მეორე სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი პირდაპირ ამბობს იბერიელ სეფეწულებზე, რომ ისინი მეფური შთამომავლობისა არიანო, მსგავსად სომეხი ვოსტანიკებისა, რომელთაგანაც მეფე ვალარშაკს სამეფო კარის მცველი გუნდები შეუდგენია[8].

სეფეწულები, როგორც ირკვევა, ადრევე დაშორდნენ მთავარ სამეფო შტოს და ქართლის არისტოკრატიის უმაღლეს წრეს შეერივნენ. ლეონტი მროველის თხზულებაზე დაკვირვებით ჩანს, რომ სეფეწული არაა „მკვიდრი მეფისა", ისინი „მეფეთა ნათესავში" იგულისხმებიან[9].

VI ს. ქართლში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორი ასახელებს სეფეწულებს, როგორც საზოგადოების უმაღლეს წრეს. რომელსაც, მაგალითად, ეკუთვნოდნენ გრიგოლ „ქართლისა მამასახლისი" და არშუშა „ქართლისა პიტიახში". არშუშა პიტიახში რომ სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდა, ეს, სხვა მონაცემებითაც მტკიცდება.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, VI ს-ში „ეს წრე, ალბათ, წარმოშობით ჯერ კიდევ სამეფო შთამომავლობისად ითვლება, მაგრამ თავისი რეალური მდგომარეობით და ინტერესებით მას კავშირი გაწყვეტილი აქვს საკუთრივ სამეფო ოჯახთან და უფრო ორგანულად საერთოდ აზნაურობას, არისტოკრატიას, უკავშირდება, რომლის უმაღლეს ფენასაც იგი წარმოადგენს"[10].

---

8 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. I. გვ. 16; Г. Меликишвили, К истории..., გვ. 468.

9 ასფაგურ მეფე უძეოდ გადაშენდა. ამას ისიც დაემატა, რომ ქასრე სასანიანმა სომხეთი ღაიპყრო და ჯერი ქართლზე მიდგა. ასეთ ვითარებაში ერისთავები მცხეთაში შეკრებილან და მაიქან სპასპეტის მეთაურობით ბჭობენ, თუ როგორ შემოვევლოს საქმეს.

ქართლის წარჩინებულთა უმაღლესმა წრემ სპარსეთის მორჩილება გადაწყვიტა. მაგრამ გარკვეული პირობის დაცვით. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა იყო „მეფეთა ნათესავის" უვნებელობა. ერთ-ერთი ამათგანი კიდეც ჰყავს ისტორიკოსს მოხსენებული მირიანის მეფობაში. ეს არის ყრმა სეფეწული ამაზასპანი, ნინოს მიერ „სასწაულით" განკურნებული. იხ. ქართლის ცხოვრება, I. გვ. 115.

10 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, I. გვ. 17.

სეფეწულებს, როგორც სამეფო გვარეულობის წევრებს, მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი ეჭირათ. მაგალითად, ბივრიტიანი სეფეწულების პრივილეგიად V—VI სს. „ოძრხის ერისთაობა“ ჩანს. სეფეწულ ჯუანშერ ჯუანშერიანს აქვს „ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი“[11].

გუარამ კურაპალატის შთამომავალს ამავე ხანაში უჭირავს „კლარჯეთი და ჯავახეთი“[12]. მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ სეფეწულებს გარდა ქართლის მაღალი არისტოკრატია არა მეფური შთამომავლობის წარჩინებულთაგანაც შედგებოდა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტერმინი „სეფეწული“ მთელი ამ ფენის აღსანიშნავად მაინც არ იხმარებოდა[13].

ამის საშუალებას, ვფიქრობთ, „სეფეწულის“ პარალელურად „ზეპურის“ არსებობა იძლევა. VIII—IX საუკუნეებში სეფეწულების ხსენება აღარაა. როგორც ჩანს, ისინი მსხვერპლი გახდნენ არაბთა ტერორისა.

აკად. ს. ჯანაშია უარყოფდა ტერმინ „სეფე“-ს ირანულ წარმოშობას. მისი აზრით, „vispur“-ს და „ისფერ“-ს. ძვ. ქართულ ენაზე აქვთ თავისი კანონზომიერი შესატყვისი „ზეპური“ ← სეპური), უშუალოდ ირანულიდან შეთვისებული[14].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სეფე“-ს დაკავშირებას სომხ. „სეპუჰ“-თან, მყარი საფუძველი არ უჩანს. მათ შორის არის, მართალია, გარეგნული მსგავსება, მაგრამ სემანტიკური კავშირი არ ჩანს. ქართლის ცხოვრების სომეხი მთარგმნელისათვის

---

11 ქართლის ცხოვრება. I. გვ. 242.

12 იქვე, გვ. 241.

13 იხ. Г. Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 469. საერთოდ. ეს ტერმინი ადრეფეოდალურ ხანაშივე გამოდის ხმარებიდან მაშინ. როცა. „სეფემ“ ფეოდალური ურთიერთობის, თითქმის მთელ სიგრძეზე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა.

14 С. Джанашиа. К критике Моисея Хоренского, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. VI, 1937. გვ. 479.

„სეფეწულის“ შესატყვისი სომხურ ენაზე არის „*ქმატაცრაგნ*“ „სეფე“ — „*արքունիք*“[15]. ეს ორი ტერმინი შესატყვისებად ვამოდიან აგრეთვე ქართული (ადიშის) და სომხური სახარების ტექსტების მიმართებისას“[16].

„*սնպուհ*“[17]-ის სოციალური და სემანტიკური შესატყვისი ქართულ ენაზე, როგორც ჩანს, არის მართლაც „ზეპური“. მაგალითად, „შუშანიკის მარტვილობის“ „ზეპურნი დედანის“ ადგილას, სომხ. მოკლე თარგმანში გვაქვს „*սնպուհք սիկնա-լք*“[18]. ხოლო „ატომის და მისი ძის მარტვილობის“ ქართულ ენაზე მთარგმნელს სომხ. „*սնպուհ*“ ქართულ ენაზე გადმოაქვს, როგორც „ზეპური“ (*սնպհական ծարայք քրիստոսի*... საზეპურონი მონანი ქრისტეისნი)[19].

სწორედ „ზეპური“ უნდა იყოს კავშირში „სეპუჰ“-თან[20] და ირანულ „vispuhr“-თან. „სეფე“-სა და „ზეპურის“ ხმარება ერთმანეთის გვერდით და მათი შინაარსობლივი გამიჯვნა ძველი სომეხი და ქართველი მწერლების მიერ, ვფიქრობთ, ამის საბუთად ლაპარაკობს. ტერმინი „ზეპური“, ცხადია, და-

---

15 ილ. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, 1953, გვ. 314.

16 ელ. დოჩანაშვილი, ადიშის ოთხთავის ჰომოზიტები. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29 ნაკვ., 1951, გვ. 93.

17 „სეპუჰ“ სომხეთში ეწოდებოდათ წარჩინებულთა (ნახარარების) სახლის შვილთ. საგვარეულოების მეთაურებისაგან განსხვავებით, იხ. Н. Г. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, გვ. 473.

იაკობ ხუცესის თხზულებაში „ზეპურნი ღედანი“, სწორედ, ამ მნიშვნელობითაა ნახმარი—იგულისხმებიან წარჩინებულთა, მთავართა სახლეულის ქალთა წარმომადგენლები.

18 ილ. აბულაძე, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ტფ., 1938, გვ. 51.

19 ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, 1944, გვ. 98.

„ნერსე მთავარეპისკოპოსის მარტვილობაში“, „*սնպհական ազատուքեանն*“, ქართულ ენაზე თარგმნილია, როგორც „საზეპუროჲსა აზნაურებისაჲთა“. იხ. ილ. აბულაძე, დასახელებული შრომა, გვ. 71.

20 ამ თვალსაზრისისკენ იხრება პროფ. გ. მელიქიშვილი. მისი აზრით, „ზეპური“ უფრო ახლოს დგას სომხ. „სეპუჰ“-თან და ირანულ „ვისპუჰრ“-თან.

მახინჯების შედეგი არაა, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, არამედ, ჩვენი აზრით, სწორედ „სეფეს“ გავლენით (ცისგან განსასხვავებლად) ერთგვარად სახეცვლილი.

როგორც ვხედავთ, თუ სეფეწულები სამეფო გვარეულობის, სამეფო სახლის წევრები არიან, მათგან განსხვავებით, ზეპურები, წარჩინებულთა სახლის შვილები ყოფილან[21].

ბ) მთავარი

საზოგადოების უმაღლეს წრეს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მთავრები. ტერმინი „მთავარი“ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდხანს იხმარებოდა. ამ ხნის განმავლობაში მისი მნიშვნელობა ერთი არ ყოფილა, დროთა ვითარება სახელს დამახასიათებელ ელფერს აძლევდა.

„მთავარი“ ნაწარმოებია ფუძისაგან თავ-[22], რომელიც კომპონენტის სახით წარმოდგენილია მეორე სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინში—ერისთავი (resp. ერისმთავარი). ფუძის შინაარსი სახელში დიდხანს ცოცხლობდა (იგი პირველადი იყო), მაშინაც კი, როცა მან სპეციფიკური (მეორეული) მნიშვნელობაც მიიღო—სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი გახდა.

„მთავარი“ ზოგადი (პირველადი) მნიშვნელობით საკმაოდ ხშირად გვაქვს ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში. მაგალითად: „მთავარი მეზუერეთაჲ“, „მთავარნი დედანი“, „ავაზაკთ მთავარი“. „შესაკრებლის მთავარი“, „მთავარი ტაძრისაჲ“ (შდრ. „ერისთავი ტაძრისაჲ“) და სხვ.[23].

---

[21] С. Джанашиа, К критике Моисея Хоренского, გვ. 480.

22 აქედანაა წარმოებული მთელი წყება მსგავსი შინაარსის მქონე სახელებისა: „თავი“ („მეთაური“). „თავადი“ („უფროსი“, „მთავარი“, „წარჩინებული“), „მოთაული“, (— მო-თავ-ური). „მეთაური“ (— მე-თავ-ური) და სხვ.

23 „მთავარი“ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა მონასტრის წინამძღვრის, მამასახლისის აღსანიშნავადაც:

„მამაჲ ჩუენი საბა მთავრად დადგა და შჯულისა-დამდებლად ყოველთა მარტოდ-მყოფთა“. (ციძენი. II. გვ. 161).

„ხოლო წმინდაჲ ევაგრე მშვიდ იყო და მდაბალ გულითა და არა თავს იდებდა მთავრობასა ძმათასა“. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 130.

ტერმინმა ადრევე მიიღო, როგორც ვთქვით, სპეციფიკური მნიშვნელობა—სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი. წყაროები ხშირად ასახელებენ ძველი ქართლის მეფეების გვერდით მთავრებს. ესენი არიან მერმინდელი გამოთქმით იმ დროის დიდებულები, ხელისუფლების მქონე პირები. „მთავარი" იყო ის, ვინც „მთავრობდა" („დადგინებულ იყო მთავრობასა ზედა").

ამ გაგებით მთავარი იყო სპასპეტი[24] და პიტიახშ-ერისთავიც[25], საერთოდ, წარჩინებულთა უმაღლესი ფენის წარმომადგენელი. ლეონტის თქმით, მირიან მეფემ მოუწოდა ნათლისღებისათვის „ერისთავთა, სპასალართა და ყოველთა პირთა სამეფოსათა", და იმ ადგილს, სადაც ამ „წარჩინებულებს" ნათელს ცემდნენ, „ეწოდა მთავართა სახათლო".

ვახტანგ გორგასალი ოსეთზე ლაშქრობის მოსაწყობად მიმართავს „ყოველთა წარჩინებულთა" (სპასპეტი, ეპისკოპოსები, ერისთავები, ათასის-თავები...). „რომელნი დადგინებულ იყვნენ მთავრობასა ზედა".

მაგრამ მთავრები მონათმფლობელური ქართლის არსებობის ხანაში, როგორც ჩანს, უმთავრესად მაინც ცენტრალური აპარატის (სამეფო კარის) დიდ მოხელეებს ეწოდებოდათ[26], პროვინციების მმართველთაგან (ერისთავები) განსხვავებით.

ამის გამოა, რომ მთავრები წყაროებს მეფის გვერდით ჰყავთ განუყრელად მოხსენებული, მაშინ, როცა ერისთავების „მოწოდებაა" საჭირო.

მთავრებს ამ დროს სეფეწულებთან ერთად წარჩინებულთა სოციალური ფენა იძლევა (აზნაურობას ჯერ კიდევ არ მო-

---

24 შიომღვიმის მონასტრის მეორე მამა ევაგრე სპასპეტი იყო. მაგრამ „ცხოვრებაში" „მთავრადაც" არის მოხსენებული.

25 ჯუანშერთან ქართლის ერთ-ერთ ერისთავზე ნათქვამია, რომ „მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს". ქართლის ცხოვრება, I, გვ. 116.

26 ყველა მათგანს, ცხადია, თავისი გარკვეული თანამდებობა და ადგილი ეჭირა. ტერმინი „მთავარი" წარჩინებულის ხელისუფლების შინაარსისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამომხატველი იყო.

უცავს „წარჩინებულობა“, იგი მის შემადგენლობაში მყოფი ერთ-ერთი საზოგადოებრივი ჯგუფია).

მთავრობა და ერისთაობა ქართლის მონათმფლობელური არისტოკრატიის უფლება და პატივი იყო ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად. მთავრობა დიდ ადმინისტრაციულ თანამდებობათა ჰერას („ხელის“ ქონებას) გულისხმობდა.

II ს. პირველ ნახევარში ადრიანე კეისრის მიწვევით რომში ჩასული ფარსმან მეფის ამალაში მყოფ წარჩინებულებს დიონ კასიუსი აღნიშნავს ტერმინით „πρῶτοι“, რომლის ქართულ შესატყვისად ჩვენ „მთავარნი“ მიგვაჩნია, როგორც ეს გვაქვს, მაგალითად, ადიშის ოთხთავში, მარკოზის სახარების 6,1 თარგმანში. „მთავარი“, უნდა იყოს აგრეთვე ბერძნულ და არამეულ წარწერებში მოხსენებული იბერიის მეფის დიდ მოხელეთა აღმნიშვნელი ზოგადი ქართული ტერმინი. კონკრეტულ შემთხვევაში თითოეულ მათგანს, ცხადია, ჰქონდა თავისი შესატყვისი.

ძველი ქართლის უმდიდრეს მონათმფლობელებად და უმსხვილეს მიწათმფლობელებად, მეფესა და ქურუმებთან ერთად, ეჭვს გარეშეა, წარჩინებულთა უმაღლესი სოციალური წრე იყო მთავრების სახით.

ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ ტერმინმა უკვე მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო.

VI ს-ში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობით“ ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე მოჩანან „მთავარნი ქართლისანი“. ამ უმაღლეს ადგილობრივ მოხელეთაგან ძეგლში დასახელებული არიან „ქართლისა მამასახლისი“, „ქართლისა პიტიახში“ და „ქართლისა კათალიკოზი“. კათალიკოსის მოხსენება მთავართა წრეში არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგანაც ეპისკოპოსად კურთხევა და მონასტრის მამასახლისად დადგინება „მთავრობის“ მიღებას ნიშნავდა მაშინ.

პიტიახში რომ გარკვეული აზრით „მთავარიც“ იყო, ამის მაგალითები სხვაგანაც გვაქვს დამოწმებული. ვარსქენ პიტიახშზე (არშუშა პიტიახშის ძე) ჯუანშერის თხზულებაში ნათქვამია, რომ იგი იყო „შვილი მთავართა“. იმავე ავტორს ერთ-

ერთ პიტიახშზე ნათქვამი აქვს, რომ იგი „მთავრობდა თრიალეთს ტაშირს და აბოცს“[27].

„მთავრის“ ზოგად პოლიტიკურ მნიშვნელობას ისიც მოწმობს, რომ სომხურიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში, იგი *„ნახარარ“*-ის ზესატყვისად იხმარება და ხანაც *„ხელმან“* ისა.

VI—VIII სს. ქართლში „ხელმწიფობა“ (საჯარო პოლიტიკური უფლება. ნ. ბერძენიშვილი) მთავრების ხელში გადავიდა და ქართლის ეროისმთავარიც სხვა არა იყო რა, თუ არა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი, მხოლოდ „უმეტესი მოყუასთა მისთაჲ“.

წყაროებში არ გვაქვს ტერმინოლოგიური თანხმობა ფეოდალური ქართლის პირობებში აღმოცენებული ამ ინსტიტუტის შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამ ახალი ხელისუფლების მატარებელს, როგორც წესი, „ერისთავს“ უწოდებს. იოანე საბანისძის თხზულება ამ მხრივ მერყეობს. ნერსეს ძეგლში ხან „ერისმთავარი“ ეწოდება და ხანაც „ერისთავი“[28]. აკად. ს. ჯანაშია, როგორც ტექნიკურ ტერმინს უპირატესობას „ერისმთავარს“ აძლევდა[29].

ჯუანშერი სტეფანოზზე (ერთ-ერთი ასეთი ხელისუფალი) ამბობს, რომ „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა-მთავრად ხადოდეს“[30]. ცოტა ქვემოთ მას სტეფანოზი მოხსენებული ჰყავს, როგორც „მთავარი ქართლისა“[31]. ასე იხსენიებს ისტორიკოსი ადარნასესაც[32].

„ერისთავთა-მთავარი“ ჩვენ ამ ხელისუფლების რეალური შინაარსის უკეთეს გამოხატულებად გვეჩვენება[33].

---

27 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241.

28 „ერისთავად“ არის წოდებული ნერსე აგრეთვე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ზოგჯერაც იგი ფიგურირებულია „მთავრებში“. იხ. ცხოვრება, გვ. 15, 17, 18.

29 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 107.

30 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 222.

31 ი ქ ვ ე, გვ. 223. 32 ი ქ ვ ე, გვ. 228.

33 „ერისთავთა-მთავარს“ უწოდებს ისტორიკოსი აგრეთვე ვახტანგ გორგასლის ვაჟებს ბერძენი ქალისაგან: „არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა-მთავრად“. ქართლის ცხ-ბა, გვ. 205.

როგორც ცნობილია, ამ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ერისთავნი ქართლისانი ვერ სცვალნეს საერისთოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათვის საერისთავოთა მათთა“.—მაგრამ მათი მორჩილებიდან ერისთავები მაინც არ ვამოსულან. რა თქმა უნდა, აქ, მხოლოდ ფეოდალური მორჩილება იგულისხმება[31].

ქვეყნის ახალ მეთაურებსა და ერისთავ-წარჩინებულებს შორის ამ დამოკიდებულების ყველაზე მოხერხებულ გამოხატულებას. ჩვენი აზრით, „ერისთავთა-მთავარი“ წარმოადგენს.

ქართველი „ერისმთავრები“ (თუ „ერისთავთა-მთავრები“) სხვადასხვა ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს ატარებდნენ, რაც მათი ბიზანტიური ორიენტაციის ცხადი მაჩვენებელია, ისევე. როგორც მათი დამოკიდებულებისა ბიზანტიის კეისრებზე. ამიტომაა. რომ ქართლის ეს ხელისუფალნი მეფობის სახელის მიღებას „ვერ კადრულობენ“.

ერისმთავრობის ხანა ქართლში საკმაოდ ბნელითაა მოცული. ამ პერიოდიდან ერთადერთი იოანე საბანის ძის „აბოს წამება“ გვაქვს შემონახული, რომელიც ქართლში არაბთა ბატონობის მძიმე შედეგებს გვიხატავს. მოგვიანო ხანის მასალების გამოყენებით, შეიძლება ითქვას, რომ ერისმთავრობის ხანა ქართლში ახალგაზრდა ფეოდალური ძალების მომაგრებისა და შემდგომი სოციალური დაწინაურების ნიშნით აღინიშნა. განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევს აზნაურთა ფენა. თუ ქართლის უძველესი არისტოკრატიისათვის (სეფეწულები, მთავრები, ერისთავები) არაბთა ბატონობა თავისი შედეგებით ტრაგიკული აღმოჩნდა (მათი უმრავლესობა VIII ს. ბოლოსათვის, როგორც ჩანს, არაბებმა ერთიანად გაჟლიტეს). აზნაურები თანდათან დაეუფლენ სოციალურ-პოლიტიკურ სარბი-

---

ეს პატივი ისტორიკოსის აზრით მეფობის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია. აქ გვაგონდება ჩვენ სპასპეტის ხელისუფლება („შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოჲსა“), რომელიც „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“.

34 იხ. ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძო-

ელს და გაბატონებული საზოგადოება (წარჩინებულობა) მთლიანად მოიცვეს.

ერისმთავრის ხელისუფლების წარმოშობას ქართლში, ფეოდალურ საფუძველზე, მთავრების სოციალურ-პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვა არ გამოუწვევია. პირიქით, ერისთავებიც თანდათან მთავართა რიგებს შეემატენ. მათ ჯერ საერისთაოების მემკვიდრეობითი მართვის უფლება მიიღეს, შემდეგში თავიანთი „ხელმწიფობა" მეფის სიძეობითაც განამტკიცეს (თუ აქ მხოლოდ ლეგენდარული ხასიათის ტენდენციასთან არა ვაქვს საქმე). ამიტომაა, რომ ძველი ისტორიკოსები განსხვავებას ვერ ხედავენ ხელმწიფე-ერისთავებსა და მთავრებს შორის. ჯუანშერი, მაგალითად, ამ წარჩინებულთ ქართლის ერისთავებსაც უწოდებს და მთავრებსაც.

მთავრები, როგორც დიდი ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირები, მარჯვედ სარგებლობენ შექმნილი ვითარებით და თავიანთ მდგომარეობას უმთავრესად პოლიტიკური შინაარსი მისცეს („ხელმწიფობა" მოიპოვეს). გასაგებია, რომ ბრძოლა სათემო მიწების მიტაცებისათვის და მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის ახლა უფრო სწრაფი ტემპით განვითარებულიყო.

ბ) ერისთავი

„ერისთაობა საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა და მას განვითარების დიდი ისტორია ქონდა" (ნ. ბერძენიშვილი).

ტრადიცია ერისთაობის შემოღებას ქართლში ეროვნული დინასტიის მამამთავარს ფარნავაზს მიაწერს. ლეონტი მროველის თქმით, ფარნავაზს ქართლი ცხრა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად დაუყვია და მათ სათავეში ერისთაველები დაუდგენია. საინტერესოა, რომ მანამდე მას ქართლოსიანთა (ქართველების) წესწყობილება, მეფის, ერისთავებისა და წარჩინებულების გარეშე ეხატებოდა. ამიერიდან ,,ეი ვითა-

---

ლის გამოკლინება საქართველოს საგარეო ურთიერთობაში, შრომები, I, 1955, გვ. 167.

რება შეიცვალა: ფარნავაზი „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“, და „განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“. ქართლოსიანთა ცხოვრებაში მომხდარი ეს ცვლილებანი ისტორიკოსს საფუძველს აძლევდა ქართლი ახლა სახელმწიფოდ (სამეფოდ) მიეჩნია. მართალია, „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსათასა“.

ქართლში ერისთაობის შემოღება (ქვეყნის დაყოფა სამხედრო ადმინისტრაციულ ოლქებად) დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ქვეყნის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბების საქმეში და ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისი არსებობისა.

„ერისთავი“ ძველად, ჩვეულებრივ, სარდალს, ერის (ლაშქარი) წინამძღოლს („წინამძღვარ მბრძოლთა“) ერქვა. ქვეყნის დაყოფა საერისთაოებად და მათ სათავეში ერისთავების ჩაყენება მოწმობს იმას, რომ ამ დაყოფას საფუძვლად ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპი ჰქონდა[35], და საერისთაო, პირველ რიგში, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო. ერისთავის უმთავრესი მოვალეობა ლაშქრის შეკრება და გამოყვანა იყო საგამგეო ქვეყნიდან და მისი სარდლობა ომებში. ერისთავის ხელისუფლების ამ ნიშანმა ასახვა ჰპოვა მისი დადგინების წესშიც.

ერისთავის კურთხევის დროს ეპისკოპოსი თავის ლოცვაში ღმერთს ევედრებოდა: „ბრძანე სიმტკიცე მკვლავისა მისისაჲ... და მიეც ძლიერებაჲ მტერთა ზედა დღედ ბრძოლისა. დაადგ თავსა მისსა ჩაფხუტი დიდებისაჲ, რათა შენითა შეწევნითა -რცხუენდეს მტერთა დღეთა ბრძოლისათა“[36].

მაგრამ ერისთავი მარტო სამხედრო უწყების სათავეში რომ იდგა. ადმინისტრაცია („მას ემორჩილებიან შიშით და კრძალულებით ქუეშემყოფნი მისნი, რომელნიც აღმოუჩენენ მას დიდებასა და პატივს“)[37], სამართალი („ჰყოფდა სასჯელს

[35] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 459.

[36] კ. კეკელიძე, „მთავართა“ და „ერისთავთა“ დადგინების წესი ძველ ქართულ მწერლობაში. ეტიუდები. III, 1955, გვ. 164.

[37] იქვე, გვ. 162.

სამართლისასა")[38], თუ ფინანსები (მის ქუეშემყოფთა საშუალებით „მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო"), ერთი სიტყვით. საერისთაოს მმართველობის ყოველი დარგი მას ემორჩილებოდა. კურთხევის დროს, როგორც შეშვენოდა „სოფლის მპყრობელს", მას მოსავდნენ სამოსლით, „ვითარცა შვენის მეფეთა"[39]. ეს ცნობა ეხმაურება ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეს („ძველი ერისთავთა"). ერისთაობის ბოძების შემდეგ როსტომ ბიბილური მეფემ (ჩვენი მიზნებისათვის, სულ ერთია, რომელი იყო იგი)[40], „შემოსა სამოსლითა შით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცუა ბეჭედი და საყური და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თორნოსანი. დროშაჲ და შუბი"[41].

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, „ერისთავის კურთხევა იმ დროს შემოსული წესია, როცა ადრეფეოდალურ ხანაში, ქვეყანა ჯერ ისევ მცირე სამთავროებად იყო დანაწილებული"[42].

ერისთავები სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის უმაღლეს ფენას შეადგენდნენ. მთავრებისაგან განსხვავებით, ისინი იმთავითვე „საქვეყნოდ გამრიგენი", ე. ი. ცალკეული ქვეყნებისა და მხარეთა მმართველები იყვნენ და ჩვეულებრივად სეფეწულთაგან და წარჩინებულებისაგან ინიშნებოდნენ[43]. ძვე-

---

38 იქვე, გვ. 163.

39 იქვე, გვ. 163.

40 უფრო საყურადღებოა, რომ ეს ამბავი ავტორს იმ დროში გადააქვს (VI ს.). საიდანაც დღეს ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანას იწყებენ.

41 ძველი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 346.

როგორც ცნობილია, ერისთავის ხელისუფლების ეს ნივთიერი ნიშნები. კერძოდ, სახელობითი საერისთაო ბეჭედი და საერისთაო სარტყელი, ჰრმაზის ერისთავთა ნეკროპოლის გათხრების დროსაც იქნენ აღმოჩენილი.

42 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 208.

43 ერისთავები რომ ცენტრალური აპარატის მოხელენი არ ყოფილან, ეს კარგად ჩანს საისტორიო თხზულებებიდან: „განაელინეს მახარობელი ყოველთა თანა ერისთავთა". ქართლის ცხოვრება. I. გვ. 143;

„მაშინ მსწრაფლ გაგზავნა ბრძანება მირიან მეფემან ყოველთა თანა ერისთავთა, სპასალართა...". იქვე, გვ. 116.

ლი ქართლის ერისთავები მმართველი მოხელენი იყვნენ დ. მეფეს შეეძლო, როგორც მათი დანიშვნა, ისე გადაყენებაც მაგრამ ეს არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ერისთაობა (საერთოდ. მოხელეობა) ცალკეული წარჩინებული სახლების მემკვიდრეობით პრივილეგიად გადაქცეულიყო (ერთგული სამსახურის პირობით, ცხადია).

ჯერ კიდევ II საუკუნეში შეინიშნება ეს ტენდენცია (არმაზის ბილინგვა). ფარსმან მეფის ეზოსმოძღვრის აგრიფას ძეს— იოდმანგანს იგივე ადგილი ეჭირა ფარსმანის მემკვიდრის— ქსეფარნუგის კარზე. რაც მამამისს. ქვემო ქართლის პიტიახშებს მკვიდრობით ეჭირათ ქვეყანა, ჯერ კიდევ, დიდი ხნით ადრე. ვიდრე ქართლში მეფობას გააუქმებდნენ.

ერისთავი ყველა ერთნაირი არ იყო. გარდა იმ რვა-ცხრა ერისთავისა, რომლებიც ხშირად არიან წყაროებში მოხსენებული, იყვნენ უფრო მცირე ტერიტორიული ერთეულების მმართველებიც, რომლებიც ამა თუ იმ „დიდი ერისთავის“ საგამგეოში შედიოდნენ. ასეთი „ცოტაჲ ერისთავები“ იყვნენ, როგორც ჩანს, პანკისის, ხორნაბუჯის, შტორის, მაჭელის, ვეჟინის და სხვათა ერისთავები[44].

ძველი ქართლის ერისთავი მეფის „მოსწრაფედ მორჩილი“ მოხელე იყო. „ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის დღიდან ერისთავი საერისთაო ქვეყანას მუდამ საშვილიშვილოთ ეჭიდებოდა და საერისთაოს საქმეებში მეფის ცენტრალური აპარატის ჩარევას მტრულად უყურებდა“[45].

ერისთავებმა ჯერ კიდევ ცენტრალისტური სახელმწიფოს პირობებში იწყეს მათ გამგებლობაში მყოფი ქვეყნების საშვილიშვილოდ გასაკუთრება (პატივისა და ხელის „შეუცვალებლობისათვის“ ბრძოლა). ამ ნიადაგზე ვითარდება მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლები, ერთი მხრით, მეფესა და ერისთავებს შორის. მეორე მხრით, ამ უკანასკნელ-

---

44 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 210.
45 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 208.

თა და „წვრილ ერს“ შორის[46]. ამ ბრძოლამ დააჩქარა მონათმფლობელური ქართლის დაღუპვა.

ჯუანშერის საყურადღებო ცნობებიდან ჩანს, თუ როგორ ისარგებლა „უცხო ძალამ“ ქართლში შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით...

ვახტანგ მეფის ჩამომავალ ბაკურ მეფეს წვრილი შვილები დარჩ», „რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“. ბარდავში დამჯდარმა რანისა და მოვაკანის მმართველმა ურმიზდ (ჰორმიზდი) სპარსთა მეფის ძემ ქასრე ამბარვეზმა „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თჳსთჳსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“[47].

აქ, ცხადია, „სამეუფო ხარკზეა“ ლაპარაკი, რომელსაც ერისთავები მანამდე ქართლის მეფეებს აძლევდნენ. ხოლო „საერისთაო ხარკი“, ახლა კიდევ უფრო გაზრდილი, ცხადია, მათი იყო.

ერისთავები შემდეგ სპარსელებსაც გადაუდგნენ და „წარგზავნეს მოციქულნი წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთოსა შეუცვალებელად“[48].

ბიზანტიის კეისარი დათანხმდა ამ თხოვნას და ქართლში (მცხეთას) „წარმოგზავნა“ სეფეწული გუარამი კურაპალატის ტიტულით[49], ხოლო ერისთავებს განუახლა-დაუმტკიცა ქასრესაგან მიღებული „სიგელნი მკჳდრობისანი“.

---

46 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. გვ. 165—166.

47 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217.

48 ი ქ ვ ე, გვ. 217.

49 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა იყო“.

წყაროებს არ აქვთ თანხმობა, თუ როგორ იწოდებოდნენ ქართლის ეს მმართველები, გვარამიდან მოკიდებული ვიდრე IX საუკუნემდე[50].

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“, როგორც წესი, მათ „ერისთავებს“ უწოდებს. იოანე საბანის ძის თხზულება კი ხან „ერისთავსა“ და ხანაც „ერისმთავარს“. (აკად. ს. ჯანაშია, როგორც ტექნიკურ ტერმინს, უპირატესობას „ერისმთავარს“ აძლევდა). „ერისთავად“ არის წოდებული ნერსე აგრეთვე „გრიგოლ სანძთელის ცხოვრებაში“. „ერისთავებს“ უწოდებს მათ აგრეთვე „აბიბოს ნეკრესელის წამება“ („ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქართლისა“).

უნდა აღინიშნოს, რომ „ერისთავი“ და „ერისმთავარი“ სრული სინონიმური შესატყვისები იყვნენ. „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ ვკითხულობთ: „შეკრბა მუნ (რეხში) სიმრავლე ებისკოპოსთა და მღდელთა და ერისმთავართაჲ“[51].

(ტერმინი, როგორც ვხედავთ, მრ. რიცხვშია ნახმარი, გარდა ამისა, ე. წ. „ერისმთავრობის“ ინსტიტუტი ქართლში ჯერ კიდევ შექმნილი არაა).

ერისთავის კურთხევისას ამბობდნენ, რომ მას ანიჭებდნენ პატივს „ერისმთავრობისასა“. ჯუანშერი კი მათ „ერისთავთა-მთავარს“ და ზოგჯერაც მარტოოდენ „მთავარს“ უწოდებს (ზოგიერთს „მეფესაც“).

---

50 მათი ერთი ნაწილი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებსაც ატარებდა (კურაპალატი, პატრიკიოსი, ვიპატოსი). განსკენებული პროფ. ლ. მუსხელიშვილის აზრით, „ქართლის გამგებელნი VII-VIII საუკუნეებში, ე. წ. დიდნი ერისთავნი, მხოლოდ ვარაზბაკურამდე ატარებენ ბერძნულ ტიტულატურას. შემდეგ კი, მთელი VIII ს-ის განმავლობაში, ვიდრე აშოტ კურაპალატამდე, მათ ეს ტიტულატურა აკლიათ“. იხ. მისი სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 91. მაგრამ ვარაზბაკურის მომდევნო აპაჲ „პატრიკიოზი“ იყო (იხ. შატბერდული ტექსტი ქართლის მოქცევის მატიანისა). ხოლო ცნობილი ნერსე ერისთავი, როგორც იოანე საბანის ძე ამბობს, იყო „ძე ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ“.

51 ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955, გვ. 192.

ჩვენი აზრით, ქართლის გამგებელთა მრავალფეროვან ტიტულატურაში მთელი პოლიტიკურ-ისტორიული აზრი და შინაარსია ჩადებული.

ერისთავი, როგორც ცნობილია, მეფის მოხელეა, მხარისა და ქვეყნის გამგებელი. ბიზანტიის კეისრების ასეთ მოხელეებს წარმოადგენდნენ (ფორმალური თვალსაზრისით) ქართლის მნართველები VI ს-დან მოკიდებული VIII ს-მდე (მეტ-ნაკლები შუალედებით).

როგორც ცნობილია, VI ს. დამლევისათვის ქართლის ნაწილი თბილისამდე ბიზანტიის ხელში გადავიდა (სებეოსი). სწორედ ამ ხანას ეკუთვნის „ერისმთავრობის" დაწესება ქართლში. ჯუანშერის ცნობაც რომ არ გვქონდეს[52]. ქართლის ამ ახალი ხელისუფლების მეთაურის ბიზანტიური ტიტულიც აშკარას ხდის, რომ გვარამი ბიზანტიის იმპერატორის უმაღლესი მოხელეა (კურაპალატია) ქართლში. ხოლო სიუზერენსა და ვასალს შორის ამ დამოკიდებულების იურიდიულ შინაარსს ქართულად „ერისთავი" გამოხატავს.

გვარამის მემკვიდრემ სტეფანოზმა „მეფობისა სახელი ვერ უკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა-მთავრად ხადოდეს"[53]. ფრიად დამახასიათებელია ეპოქის პოლიტიკური ვითარებისათვის. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამდე ქართლის დამპყრობლის სახელი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გარკვეული. ამიერიდან „მოვიდეს ბერძენნი და განახსნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩუენი. მიერითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქართლისა"[54].

„ერისთავი" კარგად გამოხატავს ქართლის უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ბიზანტიის კეისრებს შორის არსებული დამოკიდებულების შინაარსს, მაგრამ არაფერს გვეუბნება თვით ქვეყნის შიგნით, საკუთარი ვასალების მი-

---

52 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218.

53 იქვე, გვ. 222.

54 ილ. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 46.

მართ არსებულ მათს ურთიერთობაზე. (ქართლში ხომ იყვნენ სხვა ერისთავებიც).

როგორც ცნობილია, ერისთავები ამ ხელისუფალთ ემორჩილებოდნენ საერისთაოების მემკვიდრეობითი მფლობელობის საფუძველზე. ამ დამოკიდებულების მარჯვე გამოხატულებას წარმოადგენს ჯუანშერის ტერმინი „ერისთავთა-მთავარი“.

ერთი სიტყვით, VII—VIII სს. ქართლის გამგებელნი, სიუზერენთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, (კეისარი იქნებოდა იგი თუ ხალიფა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა), „ერისთავებს“ წარმოადგენდნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით, საკუთარი ვასალების მიმართ, „ერისთავთა-მთავრებად“ გამოდიოდნენ.

მაგრამ აქ ერთი საინტერესო საკითხი აღიძვრის. როგორც ცნობილია, ძველ ქართლში არსებობდა „სპასპეტის“ ხელისუფლება. სპასპეტი შიდა ქართლის ერისთავი იყო და განსაკუთრებული ადგილი ეკავა სახელმწიფოში. წყაროებში ამ თვალსაზრისით სრული თანხმობაა.

ლეონტი მროველი: „ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“[55].

ჯუანშერი „...სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა“[56].

„შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში“ ნათქვამია: „ესე (ევაგრე) იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოჲსა ქართველთაჲსა და ფრიად მხნე და განმარჯვებულ სპასპეტი“[57]. ამრიგად, „ერისთავთა-მთავრობა“ ძველ ქართლში სპასპეტის ფუნქცია ყოფილა.

ქართლში მეფობის მოსპობის შემდეგ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთ შორის სპასპეტს ვეღარ ვხედავთ.

იყო თუ არა ერისმთავრობის დაწესება ქართლში სპასპე-

---

55 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25.

56 იქვე, გვ. 185.

57 ილ. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 108.

ტის ხელისუფლების აღდგენა ახალ პირობებში? საკითხს სპეციალური შესწავლა ჭირდება და ამჟამად ვერაფერს ვიტყვით. ერთი კი ცხადია, რომ ერისმთავართა გვერდით სპასპეტის ხსენება აღარაა. არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც „ერისთავთა-მთავრობა“ ახლა პირველთა ხელისუფლების შინაარსია. მაგალითად, როდესაც არჩილმა „ქუეყანანი ქართლისანი“ ერისთავებს შორის გაანაწილა, მათ შორის სპასპეტი არ იხსენება.

სპასპეტის საგამგეო ქვეყანა „ზენა-სოფელი“ ანუ „შიდა-ქართლი“[58] ორ ერისთავს, ნერსე ნერსიანსა და ადარნასე ადარნასიანს აქვთ ერთმანეთს შორის გაყოფილი[59].

მეორე მხრით, ეს იმის მანიშნებელია, რომ არჩილი მეფე არ უნდა ყოფილიყო. „დავითისა და კოსტანტინეს მარტვილობის“ მეტაფრასულ რედაქციას. ჩანართის სახით. დაცული აქვს ძველი ცნობა[60], არჩილისა და მირის (ტექსტში შეცდომით წერია დარჩილ) სპარსელების (არაბების) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ანაკოფიასთან. თხზულებაში მირისა და არჩილის „მეფობაზე“ არაფერია ნათქვამი, გარდა იმისა. რომ ისინი იყვნენო „შვილნი“ (შთამომავალნი) დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისანი“[61].

IX ს. დამდეგს, როცა არაბებმა ქართლში ერისმთავრობა მოსპეს, უკვე დაწყებული იყო დიდი პროცესი ქვეყნის ახალ საფუძველზე გაერთიანებისა.

გამთავრებულ-გახელმწიფებული ერისთავები აქტიურად ჩაებნენ ერთიანი ფეოდალური სამეფოს წარმოქმნისათვის ბრძოლაში. თითოეულ მათგანს ეს გაერთიანება მოძმე-მეზობლის ტერიტორიის შემოერთებად ესმოდა. დიდნი „მიმხვეპელნი“ ყლაპავდნენ მცირეთ (ასეთი იყო IX—X სს. ქართლის

---

58 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 10; აგრეთვე ს. ფანაშია. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის. ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 254.

59 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 242.

60 ძველი იმდენად, რამდენადაც არსებითად განსხვავებულია ჯუანშერის თხრობისაგან და მისი კრიტიკისათვის საყურადღებოა.

61 „მარტვილობაჲ დავით და კონსტანტინესი“, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი, 1946. 238.

განვითარების გარდაუვალი კანონი), და ადრეფეოდალური ხანის მიწურულისათვის ამ პროცესში ერისმთავრობის (ადრეფეოდალური სოციალურ-ეკონომიური წესწყობილების პოლიტიკური დაშლილობის საფეხური) ერისთავების უმრავლესობა გამქრალი იყო.

დ) აზნაურები

ადრეფეოდალური ხანის ქართლში გაბატონებული ფეოდალური საზოგადოება უმთავრესად აზნაურებისაგან შედგებოდა. ამ სახელის ფუძე („აზნა")[62] ნასესხებია ძველი სპარსულიდან და გაფორმებულია ზედსართავის მაწარმოებელი სუფიქსით—ურ (ი)[63]. ქართული აზნაურის სრული სემანტიკური სოციალური შესატყვისია სპარსული āzātān და სომხური *ազատ*[64].

ქართული ოთხთავისა და ბიბლიის უძველეს ტექსტებში ტერმინ „აზნაურს" და აქედან ნაწარმოებ „აზნაურებას", ზოგჯერ „თავისუფალის" და „თავისუფლების" მნიშვნელობა აქვს[65] (ისევე, როგორც მის სპარსულ და სომხურ შესატყვისებს), მაგრამ სახარების უძველეს რედაქციებში „აზნაურს" უკვე კეთილშობილის, დიდებულის მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად:

„კაცი ვინმე აზნაური წარვიდოდა შორსა სოფელსა". ლკ. 19₁₂.

---

62 āzнā ძვ. სპარსულში ნიშნავს ცნობილს, განთქმულს. იხ. მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 387.

63 ნ. მარი ამ სუფიქსში სომხ. „ver "-ს (შვილი) ხედავდა, ხოლო ფუძე აგრეთვე სომხური „*ազն*"-დან (ნიშნავს გვარს) წარმომდგარად მიაჩნდა. იხ. მისი, Тексты и разыскания..., VI, 1904, გვ. 121.

აკად. ივ. ჯავახიშვილს ტერმინის მარისეული ეტიმოლოგია „დაახლოებით სწორი" მიაჩნდა. იხ. მისი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 121.

64 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე, XIII, 1942, გვ. 43.

65 ადიშის ოთხთავში „აზნაური" ორგან იხმარება. ასეთივე მდგომარეობაა, ამ თვალსაზრისით, ჯრუჭ-პარხლისაშიც.

ბერძნულ სახარებაში: „ἀνθρωπός τις εὐγενὴς ἐπορεύθη εἰς χώραν“[66]. ლკ. 19_{12}.

ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში, მარკოზის სახარების 6_{21} „აზნაურს“ ბერძნული „πρῶτοι“-ს და სომხური „մեծամեծք“-ის (დიდნი) ადგილი უჭირავს. როგორც ცნობილია, ამ ტერმინით (πρῶτοι) აქვს აღნიშნული დიონ კასიუსს II ს. პირველ ნახევარში რომში ჩასული, ფარსმან მეფის ამალაში მყოფი იბერიელი წარჩინებულები (... πρώτω' Ἰβήρων ...)

აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ დიონ კასიუსის ამ ცნობაში, იბერიის პირველთა შესახებ, აზნაურები ხომ არ იგულისხმებიანო[67]. განსვენებული მეცნიერის ეს ვარაუდი საესებით გაიზიარა აკად. გ. წერეთელმა. თავის ცნობილ შრომაში—„არმაზის ბილინგვა“, იგი წერს: „ვფიქრობთ, რომ ჩვენ ძეგლებში შენახული ტერმინები საშუალებას გვაძლევს დადებითად ვუპასუხოთ ამ კითხვებზე“[68].

„პროტოი“-ში „აზნაურების“ დანახვა დიონ კასიუსის დროისათვის და, საერთოდ, ადრეფეოდალური ხანის გარკვეულ სიგრძეზე, ჩვენ ისტორიული პერსპექტივის დარღვევად გვეჩვენება. ბერძნული და სომხური ტერმინების სწორ სოციალურ შესატყვისად უნდა მივიჩნიოთ არა ჯრუჭ-პარხლის „აზნაური“. არამედ ადიშის „მთავარი“ (მ. 6_{21}).

სავსებით სწორი იყო აკად. ს. ჯანაშია, როდესაც „πρῶτοι“-ში „მთავრებსა“ და „წარჩინებულებს“ ხედავდა[69].

„აზნაურის“ ერთ-ერთი ძველი მნიშვნელობა „თავისუფალი“ იყო, რომელიც ქართულ ენაზე მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებს, ძველი და ახალი აღთქმის უძველეს ტექსტებს დაუცავთ. თუმცა ლიტერატურული ტრადიცია თუ ინერცია შემცველშიაც იჩენდა ხოლმე თავს.

ადიშის ოთხთავში ტერმინი ორჯერ გვაქვს დამოწმებული: მ. 17_{26} და ლკ. 19_{12}. ორჯერ იხმარება „აზნაური“ ჯრუჭ-პარხ-

---

66 მ. კ ა ხ ა ძ ე, მასალები ძველი ქართული ენის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 255.

67 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 195.

68 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 44.

69 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 207.

ლის ოთხთავშიაც: ლკ. 19_{12} და მრ. 6_{21}. ადიშის ოთხთავში, მ. 17_{26}, ვკითხულობთ: „აწ უკვე აზნაურ არიან შვილნი იგი". ჯრუჭ-პარხლისაში, მ. 17_{26}, წერია: „აწ უკვე თავისუფალ სამე არიან შვილნი".

საერთოდ, უფრო გვიანდელ რედაქციებში ასეთი შესწორების შეტანა იშვიათი მოვლენა არ ყოფილა. მაგალითად, კათოლიკე ეპისტოლეთა X ს-ში გადაწერილ ხელნაწერებში წერია: „აზნაურებასა რასმე აღუთქუმენ და იგინი მონანი არიან ხრწნილებისანი", პეტრეს სამოციქულო 2^{70}.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციაში გვაქვს.

„თავისუფლებასა აღუთქუამენ მათ და იგინი თვით მონა არიან ხრწნილებისა"[71].

ბიბლიაში „აზნაური" და აქედან ნაწარმოები „აზნაურებ", „თავისუფალის" და „თავისუფლების" მნიშვნელობით, ჩვეულებრივია.

ქართული ორიგინალური თხზულებები შედარებით გვიანდელი, ადრეფეოდალური ხანის გვაქვს, როდესაც აზნაური უკვე ტექნიკურ სოციალურ ტერმინს წარმოადგენდა.

აზატები (თავისუფალნი) სასანურ ირანში გაბატონებული კლასის ყველაზე დაბალ და ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდნენ. საშუალო მიწათმფლობელთა ეს კლასი სახელმწიფოს მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. აზატების, როგორც „კეთილშობილების", მთავარი მოვალეობა სამხედრო სამსახური იყო. მათგან იყო შედგენილი მხედრობა, რომელიც ირანის ლაშქრის ბირთვს შეადგენდა[72]. მსგავსი საზოგადოებრივი მდგომარეობა ეკავათ აზატებს სომხეთშიაც. აზატები იქაც პრივილეგირებულ მხედრებს, ფეოდალური კლასის ყვე-

---

70 კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, ქ. ლორთქიფანიძის გამოცემა, 1956, გვ. 026.

71 იქვე, გვ. 72.

72 ვ. გაბაშვილი. სასანური ირანი I,II—IV საუკუნეებში (კრებულში ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან), 1957, გვ. 25.

Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, 1946, გვ. 213; მისივე, Города Ирана в раннем средневековье, 1956, გვ. 315.

ლაზე დაბალ, სამხედრო-მსახურეულ ფენას წარმოადგენდნენ[73].

აზნაურები ძვ. ქართლშიაც, მსგავსად მათი კლასობრივი ოანამოძმეებისა ირანსა და სომხეთში, გაბატონებული საზოგადოების უმაღლეს წრეს არ ეკუთვნოდნენ. ლეონტი მროველს მათი „წარჩინებულ ქმნნა" საურმაგის ღონისძიებად მიაჩნია (II ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). საურმაგმა აზნაურები (რომაელი მხედრები) ქართლის არისტოკრატიას (ერისთავებს) დაუპირისპირა და მათ მაგიერ (დურძუკებთან ერთად) „წარჩინებულ ყვნა". ისტორიკოსის მიერ აზნაურების გამოყენანა ქართლის პოლიტიკურ სარბიელზე პირველი ფარნავაზიანების ხანაში ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება[74]. თვით ირანში ისინი, როგორც გაბატონებული კლასის ერთ-ერთი კატეგორია, პირველად შაპურ 1-ის (241—273 წწ.) წარწერაში იხსენიებიან, მაგრამ მის ცნობებში ზოგი რამ უთუოდ ყურადღების ღირსია.

აზნაურობა რომ ქართლის მეფეების მისანდობელი ძალა იყო მონათმფლობელური არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს ჩვენ სადავოდ არ გვეჩვენება. სიმართლეს შეეფერება აგრეთვე ცნობა, მათ მიერ წარჩინებულობის მოპოვებისა მხედრობის გზით. რაც შეეხება პირველი აზნაურების უცხოელობას (ბერძენ-რომაელობას), ვფიქრობთ, არც ეს უნდა იყოს ისტორიულ საფუძველს სავსებით მოკლებული.

იბერიის სამეფო კარზე, როგორც ჩანს, ძველთაგანვე არსებობდნენ უცხოელთა მუდმივი სამხედრო რაზმები. ეს პირველ რიგში ჩრდილოეთ კავკასიელ ნომადებზე (ალან-სარმატებზე) ითქმის[75]. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, არც მათი

---

[73] С. Т. Еремян, Армения в период кризиса рабовладельческого общества и формирования феодальных отношений, Очерки истории СССР, III—IX вв., 1958, გვ. 179—180;

В. Б. Бархударян, Феодальное землевладение в Армении в IX—XI века, автореферат кандидатской диссертации. Ереван, 1954, გვ. 10.

[74] თუმცა ამ სოციალურ ძალებს მანამ უნდა ეჩინათ თავი, ვიდრე მათ აღსანიშნავად უცხოური ტერმინი დამკვიდრდებოდა.

[75] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 472.

„რომაელობაა“ გამორიცხული[76]. ხოლო უცხო ძალის მოწვევა, უცხო ძალაზე დაყრდნობა შინაპოლიტიკურ ბრძოლაში, კლასობრივი სახელმწიფოს პირობებში, არაფერ საძრახისს არ შეიცავდა[77].

აზნაურები, ძირითადად მაინც, თავისუფალ მესაკუთრე-მიწისმფლობელთა რიგებიდან გამოდიოდნენ. მეფის სამსახურში დაწინაურებული ასეთი კაცი „აზნაური“ ხდებოდა. მათი უმთავრესი მოვალეობა ტაძრეულებთან ერთად (სეფე-ქვეყნიდან გამოყვანილი ლაშქარი) სამხედრო სამსახური იყო. აზნაურებისაგან უმთავრესად მძიმედ შეჭურვილი მხედრობა შედგებოდა, რაც ნათი ქონებრივი უნარიანობის ცხადი მაჩვენებელია. მუდმივ სამხედრო სამსახურში ყოფნისათვის მათ ულუფა და სარგო ჰქონდათ დანიშნული, რომელსაც „როჭი-კი“ ერქვა. დიდი გამოყენება ჰქონდათ აზნაურებს აგრეთვე სამოქალაქო სარბიელზეც, ინიშნებოდნენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ და სამეურნეო თანამდებობებზე.

აზნაურები ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი სოციალური ფენა იყო სეფეწულების, მთავრებისა და ერისთავების სეპარატისტულ მისწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ საზოგადოებრივ ძალთა გადაჯგუფება და მათ შორის ახალი დამოკიდებულების წარმოშობა გამოიწვია. აზნაურები სამეფო ხელისუფლებისაგან ახლა უმთავრესად მიწას ღებულობენ სამხედრო და საპატიო სამსახურის პირობით. ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ, რასაც სატაძრო მემა-

---

76 გავიხსენოთ დიონ კასიუსის ცნობა, იბერიის მეფე ფარსმანისათვის იმპერატორ ადრიანეს მიერ ძღვნად 500 მხედრის მიცემის შესახებ. თუ აზნაურთა სოციალური წინაპრების რიგებში პირველი ფარნავაზიანების დროს კიდევ შეიძლებოდა უცხოელთა ერთგვარ ნაკადზე ვილაპარაკოთ, საერთოდ, წარჩინებულ მხედართა ამ მრავალრიცხოვან ფენას, პირველ რიგში, მაინც „ერი“ იძლევა, მასში მომხდარი სოციალური დიფერენციაციის ხარჯზე.

77 ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, გვ. 158—159.

მულეობის გაუქმება მოჰყვა, ყველაზე მეტად აზნაურთა აღმავალი ფეოდალური კლასის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

აზნაურები, როგორც IV—V სს. ქართლის მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი ფენა, ცნობილი იყვნენ მაშინდელ სომხურ საისტორიო მწერლობაშიც. V ს. მეორე ნახევრის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბიზანტიელი IV ს. ქართლში „ნახარართა გვარებთან" ერთად (მთავრები, ერისთავები) ასახელებს აგრეთვე „აზატებს" (აზნაურებს)[78]. V ს. მეორე სომეხი ისტორიკოსი ღაზარე ფარპელი თავისი დროის ქართლის გაბატონებულ საზოგადოებას სამ კატეგორიად წარმოადგენს: „იშხანები" (მთავრები), „ნახარარები" (ერისთავები) და „აზატები" (აზნაურები).

ამრიგად, ქართული და სომხური წყაროებით IV—V სს. ქართლის გაბატონებული საზოგადოება შემდეგი სახით წარმოგვიდგება: მეფე (სეფეწულებით), მთავრები, ერისთავები, აზნაურები.

ეს ხანა მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გარდამავალი პერიოდია, რომლის შესაფერიცაა გაბატონებული საზოგადოებრივი სტრუქტურა. აზნაურობა ამ დროს ქართლის მაღალი საზოგადოების ერთ-ერთი გარკვეული ჯგუფია და შეუძლებელია ამ დროს ტერმინი „აზნაური" მთელი უმაღლესი წრის ზოგადი ეპითეტი იყოს (ასეთი მნიშვნელობით იხმარება „წარჩინებული"). აზნაურობა, ეს აღმავალი ფეოდალური კლასია, რომელიც თანდათან ეუფლება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელს და მხოლოდ ადრეფეოდალური საზოგადოების დასასრულისათვის შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ აზნაურობამ მოიცვა საზოგადოების ფეოდალური ნაწილი.

„შუშანიკის წამების" მიხედვით გამოდის, რომ ქართლში უმაღლესი საზოგადოებრივი წრე უმთავრესად აზნაურებისაგან შედგება და, რომ, მათ ამ დროისათვის შინაგანი დიფერენციაც განუცდიათ. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ადგილი „წამებიდან", როდესაც სიკვდილის პირას მდგარი დედოფლის სანახავად მიმსვლელი საზოგადოების სოციალური სუ-

---

[78] История Армении Фавстоса Бузанда, Ереван, 1953, გვ. 162.

რათია მოცემული: „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისانი მოვიდეს“[79].

„აზნაურნი დიდ-დიდნი“ (დიდი აზნაური, დიდებული აზნაური) ჩვენ IX—X სს. ტერმინად გვეჩვენება, როდესაც მთელი გაბატონებული კლასი აზნაურებისაგან შედგებოდა. როგორც ცნობილია, „შუშანიკის წამების“ უძველესი ხელნაწერი XI ს. პირველი ნახევრისაა, სადაც. როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. ბევრი გრამატიკული ფორმა (და არა მარტო გრამატიკული ფორმები) შეიცვალა IX—X სს. ლიტერატურული ნორმების მიხედვით.

ჩვენი აზრით, თხზულების გადამწერლებმა. თუ გადამკეთებლებმა. IX—X სს. ქართლში მოქმედი ტერმინით—„დიდი აზნაური“ შეცვალეს ძველი „მთავარი“, რადგანაც მათ შორის იგივეობას ხედავდნენ. ასე. მაგალითად, ეს ორი ტერმინი ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება (ერთმანეთს ენაცვლება) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

თუ IX—X საუკუნეების ავტორები ამ ტერმინებს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ. ამას აქვს კიდევ თავისი გამართლება. ცხოვრებამ მათ თვალწინ მოახდინა ამ სოციალურ ტერმინებს (ცნებებს) შორის ნიველირება. მაგრამ მათ შორის სრული იგივეობის დასმა ჯერ კიდევ V საუკუნისათვის, ჩვენ ისტორიული პერსპექტივის დარღვევად გვეჩვენება. (ერთადერთი გამართლება შეიძლება ის იყოს, რომ „დიდ აზნაურებს“ IX—X სს., თითქმის, ისეთივე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ეჭირათ, როგორიც „მთავრებს“ IV—V საუკუნეების ქართლში).

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ ხუცესის ცნობები, V ს. ქართლის საზოგადოების სოციალურ დაფენებაზე, სადავოდ ითვლება, „აზნაურნი დიდ-დიდნი“ ჩვენ მაინც მერმინდელი ხანის ტერმინოლოგიურ შესწორებად მიგვაჩნია. ამ მხრივ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს დაკვირვება „შუშანიკის წამების“ სომხურ თარგმანებზე. ვრცელ „წამებაში“ „დიდ-დიდნი აზნაურების“ ადგილას გვაქვს „ნახარარები“[80].

---

79 ილ. აბულაძე. მარტვილობაჲ შუშანიკისი. გვ. 42.

80 იქვე, გვ. 23.

თითქოს, კი, უნდა ყოფილიყო „მეწამეწქ“ (დიდნი). ასეთსავე სურათს იძლევა „მოკლე წამება“, მაგრამ ვრცელისაგან განსხვავებით, მისი ძველი ქართული თარგმანიც არსებობს. სადაც სომხურ „ნახარარს“, როგორც სოციალურ ტერმინს, შეესატყვისება „მთავარი“. ჩვენ ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ მთარგმნელი[81] ამ შემთხვევაში იაკობ ხუცესის თხზულების უძველესი ქართული ტექსტით ხელმძღვანელობდა. თუმცა არც ეს შესაძლებლობა არის გამორიცხული, მაგრამ მას რომ მხედველობაში ქართული სინამდვილე ჰქონდა, ამაზე ორი აზრი, ვფიქრობთ, არ შეიძლება იყოს.

საერთოდ, სომხურიდან ნათარგმნ ძეგლებში „ნახარარს“ არ აქვს მტკიცედ დადგენილი შესატყვისი ქართულ ენაზე. მისი უმთავრესი შესატყვისები მაინც „მთავარი“ და „ერისთავია“. „მესუკავეთა წამების“ ქართულ რედაქციაში „ნახარარის“ მნიშვნელობით ორივე ტერმინია ნახმარი (და ეს ერთი და იმავე ადამიანის მიმართ).

მაგრამ იაკობ ხუცესის თხზულების შემოწმების სხვა საშუალებაც არსებობს. როდესაც ჩვენს პარადოქსალურ შეხედულებას გამოვთქვამთ, უმთავრესად მაინც, ორიგინალური ქართული თხზულებები გვაქვს მხედველობაში. არსად ეს ძეგლები IV—VIII სს. ქართლში „დიდ აზნაურებს“ არ ასახელებენ. თვით „აზნაურებიც“ მხოლოდ აქა-იქ თუ იხსენიებიან. ის შეეხება, როგორც უძველეს ნაწარმოებებს. („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „აბო ტფილელის მარტვილობა“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“). ისე მოგვიანო ხანის იმ ძეგლებს. უფრო ადრეულ ხანას რომ ასახავენ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ლეონტი, ჯუანშერი, „რაჟდენის წამება“, „დავით და კონსტანტინეს წამება“, ასურელ მამათა ცხოვრებები და სხვ.).

როგორც ქართული, ისე სომხური წყაროებით, IV- V სს. ქართლის გაბატონებულ უმაღლეს წრეს მთავარნი შეადგენ-

---

81 ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ქართველია იგი თუ სომეხი. იხ. ილ. აბულაძე. ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, გვ. 050.

ნენ (სომხურად „ნახარარები“, „იშხანები“). აზნაურები წარჩინებულთა საზოგადოების მხოლოდ ერთი გარკვეული ჯგუფია.

მიუხედავად ჩვენ მიერ შეტანილი კორექტივისა, „შუშანიკის წამება“ ძვირფას ცნობებს შეიცავს აზნაურთა ფენის შესახებ. ქტეზიფონიდან მომავალმა ვარსქენმა ქართლის საზღვრებთან მიახლოებისას „ზრახვა ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი, რაჲთა მათ გამო ერთგული სოფლად შევიდეს“[82].

უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთარი აზნაურები ჰყავდათ ქართლის სხვა დიდ ხელისუფალთაც. „წამებიდან“ ჩანს, რომ აზნაურებს მსახურებზე ძაღლი საზოგადოებრივი მდგომარეობა უჭირავთ. მათი სამსახური „უფლის“ წინაშე (ასე მიმართავენ ვარსქენს თხზულებაში) უფრო საპატიოა. თხზულების მიხედვით, აზნაურები თავიანთი მდგომარეობით დაბალი საზოგადოების სხვადასხვა ფენებს—„უაზნოებს“ (არა აზნაურებს, არა წარჩინებულებს) უპირისპირდებიან.

ერისმთავრობის ხანა ქართლში აზნაურთა სწრაფი სოციალური დაწინაურების დროა (მიუხედავად არაბობისა). აზნაურები ამ ხნის მანძილზე უკვე მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ და პოლიტიკური ცხოვრების სარბიელს ეუფლებიან. საგვარეულო და ოდესღაც მეფური წარმოშობის არისტოკრატიის უმრავლესობა არაბთა ტერორის მსხვერპლი გახდა, ნაწილი კი აზნაურ-ფეოდალთა რიგებს შეერია.

არა მარტო აზნაურების შემდგომი დაწინაურება ხდებოდა, ხშირი იყო გააზნაურებაც. ამ მხრივ საყურადღებოა არჩილის ღონისძიება, რომელმაც ტაძრეულებს „მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი“. გაჩნდნენ „დიდებული აზნაურები“, „ტაძრეული აზნაურები“, „მოსაკარგავე აზნაურები“. „აზნაური“ ფეოდალ-მიწათმფლობელის აღმნიშვნელი თითქმის ერთადერთი ტერმინი ხდება. იგი თავისი მნიშვნელობით უკვე ფარავს „წარჩინებულს“, რომელიც ახლა მაღალი საზოგადოების ზოგად ეპითეტად რჩება, ხოლო ტექნიკური სოციალური ტერმინის მნიშვნელობა „აზნაურმა“ დაიმკვიდრა.

---

82 მარტვილობაჲ შუშანიკისი.

მაგრამ „აზნაურის“ ქვეშ გაერთიანებული საზოგადოების ფეოდალური ფენა IX—X საუკუნეებში, ბუნებრივია, არ იყო ერთფეროვანი მასა. ამასთან დაკავშირებით ტერმინი ყოველ ცალკე შემთხვევაში ირთავს მსაზღვრელს, როგორც, მაგალითად: „დიდი აზნაური“ („დიდებული აზნაური“), „მემამულე აზნაური“, „ტაძრეული აზნაური“ და სხვ.

„დიდებული აზნაურების“ გამოჩენა ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე მაჩვენებელია მათი აზნაურობისაგან გამოყოფის ტენდენციისა, მაგრამ IX—X სს. ისინი ჯერ კიდევ აზნაურთა საერთო ფენას და წრეს ეკუთვნიან[83].

XI—XII სს. ფეოდალობისა და მიწათმფლობელობის სამამულო სისტემის გამარჯვებასთან დაკავშირებით დიდებულები ცალკე სოციალურ ფენად და წოდებად არიან ჩამოყალიბებული[84]. ეს გარემოება ამ დროს ტერმინოლოგიაშიც მკაფიოდ არის ასახული. „დიდებული“, როგორც მსაზღვრელი, XI—XII სს. წყაროებში ჩამოშორებულია „აზნაურს“ და დამოუკიდებელი სოციალური შინაარსით იხმარება.

IX—X სს. ჩამოყალიბებულია აზნაურთა სხვა ჯგუფებიც. აზნაურობა, როგორც გაბატონებული წოდება, ფეოდალურ-კლასობრივი მოწიფულობის გზაზეა შემდგარი.

ე) მხედრები

V—VII სს. ქართლში გაბატონებულ საზოგადოებრივ წრეს შეადგენდნენ აგრეთვე „მხედრები“[85]. მათ გარდამავალი სა-

---

83 მ. ლორთქიფანიძე. ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX—X საუკუნეების საქართველოში, გვ. 228. 232.

84 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1937, გვ. 286.

85 „მხედარი“ ძვ. ქართულ ენაზე, საერთოდ, მიმოსვლისათვის ვარგისს ოთხფეხა პირუტყვზე შემსხდარ ადამიანს ერქვა. ბიბლიაში არის მაგალითად, ასეთი ადგილი: „ვიხილენ მჴედარნი ორნი: მჴედარი ეირსა და მჴედარი აქლემსა“. წიგნნი ძველისა აღთქუმისანი 978 წლის ხელნაწერის ფიხედვით, აკ. შანიძის გამოცემა, ტ. I, ნაკვ. 2, 1948, გვ. 183. მაგრამ სიტყვის ასეთი გაგება, უმთავრესად მაინც. ცხენოსანზე დამკვიდრდა, რაც ჩვენებით გასაგებია საქართველოს პირობებში.

ფეხური ეკავათ აზნაურ-წარჩინებულებსა და მატერიალური დოვლათის მწარმოებელ თავისუფალ საზოგადოებას შორის.

მუდმივ ცხენოსან რაზმებს მონათმფლობელური ქართლიც იცნობდა. სამეფო კარს ჰყავდა რეგულარული ცხენოსანი ლაშქარი, რომელიც „მეფე-თვითმპყრობელის" მთავარ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. ეს ლაშქარი სამეფო ქვეყნიდან გამოჰყავდათ და „რიცხუსა მკედართასა შერაცხდნენ" ხოლმე. მათ „ტაძრეულები"[86] ეწოდებოდათ. იარაღი და ცხენი ასეთ პირებს სახელმწიფოსაგან ეძლეოდათ.

ტაძრეულებს გარდა მეფის მხედრებად ეწერებოდნენ თავისუფალი მესაკუთრე-მიწათმფლობელებიც. მაგრამ მათ ცხენი და იარაღი („ხრმალი და ჰოროლი, ფარი და მშვილდ-ისბარკი") საკუთარი უნდა ჰქონოდათ. ვისაც ქონებრივი შეძლება ხელს უწყობდა, ცხენს ჯავშანს ადგამდა („თორნი") და ოვითონაც „ჯაკვ-ჩაბალახით" იმოსებოდა. მხედრის შეიარაღება მხედრობის სახეობას განსაზღვრავდა. მძიმედ შეჯურვილი მხედრები („თოროსნები") ჯარის ავანგარდულ ნაწილს ქმნიდნენ. მათ მოჰყვებოდნენ ქვეითები („მკჯრცხლი ერისაჲ"), რომელთაც ზურგში ედგნენ მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები—„სიმრავლე მხედართაჲ".

ჯარის ორგანიზაციის ეს ტიპი, ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიური და სოციალური დიფერენციის შედეგი იყო[87].

მხედრები გათავისუფლებული იყვნენ უშუალო სამეურნეო საქმიანობისაგან (მწარმოებელი კლასის კისერზე ისხდნენ), რადგანაც საპატიო სამსახურს იხდიდნენ მეფის წინაშე.

მხედარზე მაშინ ამბობდნენ, რომ „მარადის მდგომარე არნ

---

86 ძვ. სპარსული „tačara", სომხური „տաճար" (სასახლე).

87 ს. ჯანაშია. საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, I, გვ. 198.

იგი წინაშე მეფისა შეპურვილი საპურველითა და განმზადებული ბრძოლად მტერთა მეფისათა თავ-გაწირვით"[88].

ასე ჩამოყალიბდა თანდათან მხედართა სამხედრო მსახურეული ფენა, რომლის ძირითად საქმიანობას და მოვალეობას ცხენზე ვარჯიში და ლაშქრობა-ომებში მონაწილეობის მიღება შეადგენდა. ამასთან დაკავშირებით სახელმა რამდენადმე განსხვავებული ელფერი მიიღო. „მხედარი" ახლა მარტო ცხენოსანს კი არ ნიშნავდა, არამედ მებრძოლსა და მეომარსაც[89], „მხედრობა", კი, სამხედრო საქმეს, ლაშქრობას და, საერთოდ, ჯარს.

მონათმფლობელური ქართლის არსებობის ხანაში მხედრებს სამსახურის სანაცვლოდ, უმთავრესად, ულუფა და სარეო ეძლეოდათ. რომელსაც „როპიკი"[90] ეწოდებოდა. ფალაურიდან მომდინარე ეს სიტყვა (ročik) საერთო იყო ქართულ-სომხურისათვის[91]. „*ռոճիկ*" სომხურ ენაზე მხედ-

---

88 მაჩათა სწაელანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი. 1955. გვ. 120.

89 „*մեղեդարի*" მეომრის მნიშვნელობით სომხურიდან ქართულად ნათარგმნ თხზულებებში „*զինուոր*"-ს შეესატყვისება. ხოლო თხზულებაში მარტვილობაᲲ ატომისი და ძისა მისისაᲲ" სომხ. „*ատամիկ հեծեալ*"-ს ნაცვლად „ჩინებული მხედარი" გვაქვს („აზნაურნი და ჩინებულნი მკედარნი"), იხ. ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა. 1944. გვ. 97.

აქ, ცოტა არ იყოს, უცნაურია ის გარემოება, რომ „რამიკები" სომხურ ისტორიულ თხზულებებში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დაბალ ფენებს ერქვათ. ისინი არ ეკუთვნოდნენ პრივილეგირებულ წოდებებს— ნახარარებს, აზატებს, სამღვდელოებას. საერთოდ, კი, „ზინოვორები" და „რამიკები", აზატებთან ერთად, სომხეთში ქმნიდნენ მუდმივ ცხენოსან ლაშქარს. იხ. С. Е. Акопян, История армянского крестьянства IV—XIII вв., автореферат докторской диссертации, Ереван, 1952, გვ. 26.

90 „ულუფა ესე არს სამეუფოთა გამოსაზრდელი, შჯულიერი მთავრობის ნიკი",—საბა, ლექსიკონი. „როპიკი" კარისკაცებისა და სამეფო კარზე მყოფი პირების ულუფაც იყო. პეტრე იბერიელის შესახებ მის ბიოგრაფიაში, მაგალითად, ხათქვამია: „დღითი-დღე პალატით მოცემულსა როპიკსა გლახაკთა განუყოფდა"-ო.

91 ადიშის ოთხთავში „როპიკი" ორგან იხმარება: დღიური საზრდოსა (მ. 24_{46}) და ჯამაგირის (ლკ. 3_{14}) მნიშვნელობით. მათი სომხ. შესატყვისე-

რობის შესანახად „განწესებულ“ ნატურალურ და ფულად სუბსიდიას ერქვა[92]. ქართულ ენაში ეს ტერმინი თავდაპირველად ამ მნიშვნელობით უნდა შემოსულიყო. „მამათა სწავლა-ნი“-ს X ს. გადაწერილ ხელნაწერებში (აქ გაცილებით ძველი ტექსტები უნდა გვქონდეს შემონახული), მაგალითად, ვკითხულობთ: „მხედარი, რომელმან დაიწერის თავი თჳსი დივანსა შინა მეფისასა და მიერითგან წამოიღებენ იგი განწესებულსა როჭიკსა ერის კაცთასა, ვერღა შემძლებელნ არნ იგი თავით თჳსით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან“[93].

დროთა ვითარებაში სიტყვამ დღიური საზრდოს და გასამრჯელო-ჯამაგირის ზოგადი მნიშვნელობა მიიღო[94].

როჭიკი უმთავრესად ტაძრეულების უზრუნველყოფას გულისხმობდა. თავისუფალ მესაკუთრეებს თავისი მიწა-ადგილი და ქონება გააჩნდათ, რაც მათ მხედრობის საშუალებას აძლევდათ. სამაგიეროდ, მეფის წინაშე სასახელო ყოფნა, საპატიო სამსახური, როგორც იტყვიან ხოლმე, არ ეკარგებოდათ. სულ უფრო მეტი მოთხოვნილებაა მათზე აგრეთვე სამოქალაქო მმართველობის სფეროში, სადაც სეფეწულები და მონათმფლობელური ქართლის სხვა არისტოკრატია ვეღარ აუდიან ქვეყნის გაზრდილი მოთხოვნილებების საჭიროებას. ახლა დროც იცვლება და მათი სამსახური ეგრერიგად საჭირო აღარაა სამეფო ხელისუფლებისათვის, რომელიც ცენტრალიზმისათვის ბრძოლაში ახალ საზოგადოებრივ დასაყრდენს ეძებს.

ბია: „*ᲙᲔᲡᲠᲐᲙᲝᲩᲘ*“ (მ. 24_{45}), და „*ᲠᲝᲭᲐᲙ*“ (ლკ. 3_{14}). იხ. ელ. დოჩანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 199. ბერძნულ სახარებაში (ლკ. 3_{14}) იკითხება ὀψώνιον (ჯარისკაცის ულუფა). იხ. ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, 1959, გვ. 45.

[92] С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1, ᲒᲕ. 22.

[93] მამათა სწავლანი, გვ. 114.

[94] ახლა უკვე ვინმე ქვრივ დედაკაცსაც შეეძლო ეთქვა: „ორ ძე მესხნეს რე მარჩბივნი, რომელნი მირეწვიდეს მე დიდსა როჭიკსა. რამეთუ ქურივ ვარ და გლახაკ“. იხ. კ. კეკელიძე, კიმენი, I, 1918, გვ. 147.

სიახლენი ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე იგრძნობოდა. წარმოების ახალმა წესმა (ფეოდალურმა) სულ უფრო გაიდგა მაგარი ფესვები ქართლის მიწაზე. ქვეყნის ინტენსიურმა ეკონომიურმა განვითარებამ ყველაზე ძლიერ მიწათმოქმედებაში იჩინა თავი. რომელიც ძველთაგანვე იბერიის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო დარგი იყო. მონის შრომა გზას უთმობდა თავისუფალი და ნახევრად თავისუფალი მეურნეების საქმიანობას. ახალი ვითარების შესაბამისად. სამეფო ხელისუფლებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალებს შორის ურთიერთობა, თანდათან საადგილმამულო ნიადაგზე ეწყობა.

მას შემდეგ, რაც სამეფო ხელისუფლების ხელში წარმართული ტაძრების მიწების დიდი ფონდი აღმოჩნდა, უხვად დაიწყო მათი დარიგება ლაშქრობისა და სამსახურის პირობის საფუძველზე. მხედრის სამსახურის საფუძველი როჭიკის ნაცვლად, თანდათან მიწა გახდა. (მხოლოდ ტაძრეულებსა და სამეფო კარს შორის ურთიერთობა, ჯერ კიდევ, ცხოვრების ძველ წესზეა დამყარებული). საერთოდ, მემამულეობის თვალსაზრისით „მხედრები" ძირითადად წვრილი მიწათმფლობელები არიან. ისინი, ვის ხელშიც მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა, ლაშქრობასა და სამსახურს ახლა უკვე ახერხებენ, აზნაურდებიან. ამ მხრივ საყურადღებოა ვახტანგ გორგასალის ღონისძიება, რომელმაც ოსებზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ „წარჩინებულ ქმნა მკედარნი, მკნედ მსახურნი".

„წარჩინებულობის" საფუძველი ამ დროს უკვე მიწაა.

ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ და ფეოდალიზაციის პროცესის განვითარებასთან დაკავშირებით, მხედართა სამხედრო მსახურეული ფენა სულ უფრო აზნაურული[95] (ფეოდალური) ხდება. ნაწილიც. კი. თავქვე ეშვება და „წვრილი ერის" სოციალურ წიაღს უბრუნდება. საკუთარი მხედართა რაზმები გაიჩინეს ქართლის დიდმა ფეოდალებმაც (დიდმა მთავრებმა). მათ შორის დამოკიდებულება იმავე ნიადაგზე

---

95 ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას საუკუნეების განმავლობაში ახასოვდა, რომ ქართლში აზნაურობა „მხედრობით" იქნა მოპოვებული.

(სამიწო) იყო აღმოცენებული. მხედრები ან მიწას ღებულობდნენ სამსახურის პირობით, ან თავისი მიწებით „უფლის“ მფარველობაში“ შედიოდნენ.

საერთოდ, სომხეთის ანალოგიურად, ვფიქრობთ, რომ ქართლის სამეფო კარის მხედრების ნაწილი ერთხანს სასანური ირანის სამსახურში უნდა ყოფილიყო. (შაჰინშაჰის სამსახურში მყოფ სომეხ მხედრებს როჟიკი ახლა კტეზიფონიდან იქვთ გადაკვეთილი). ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ ხარკს გარდა დამპყრობლებმა ქართლის მოსახლეობას სამხედრო სამსახურიც დააკისრეს. ქართლში მოსვლისას ირაკლი კეისარს (VII ს. 20-იანი წლები) მრავალი ქართველი მეომარი დახვდა ირანის სამსახურში. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ მიხედვით ჩანს, რომ მხედრებს, ერთგვარი მშვიდობიანობის დროს, პოლიციური ხასიათის მოვალეობანი აქვს დაკისრებული (ეს მათი, როგორც სამხედრო წრის, შინაგანი ფუნქციაა)[96].

საერთოდ, ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურაში, მეფეთა თუ მთავართა ურჩი (სავსებით გასაგები მიზეზებით ეს „ურჩობა“ სარწმუნოებრივ-კონფესიურ ნიადაგზეა აღმოცენებული) პირების შეპყრობა და მათი ტანჯვა-წამება, მსახურებთან ერთად, მხედრების საპატიო მოვალეობას შეადგენდა. საპატიო სამსახურში ეთვლებათ მათ აგრეთვე მეფის თუ მთავრების ამალაში ყოფნა და გართობა—ნადირობებში მონაწილეობის მიღება.

მხედრობა, როგორც სამხედრო-მსახურული წრე, მონათმფლობელური ცენტრალიზმის პირობებში შეიქმნა. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პირობებში იგი სულ უფრო იშლება. ადრეფეოდალური ურთიერთობის პოლიტიკური დაშლილობის საფეხურზე მხედრობა, როგორც ცალკე ფენა გაქრა. მათი სამხედრო ფუნქცია, საერთოდ, აზნაურთა კლასს გადაეცა.

უფრო გვიან, ფეოდალური ცენტრალიზმის ხანაში, იქმნება მუდმივი ჯარი, ტახტის აზნაურ-მოსაკარგავეთა და მდაბიურ-მოლაშქრეთაგან.

---

96 საქართველოს ისტორია. I, დამხმარე სახელმძღვანელო. გვ. 121.

ამ მხრივ საინტერესოა ჯუანშერის ცნობა. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფე არჩილმაო „ყოველთა ტაძრეულთა ციხეთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა იგინი".

„ასე რომ ტაძრეულთა სამხედრო სამსახურიც უკვე სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ეწყობოდა; გაჩნდნენ „ტაძრეული აზნაურები", „მოსაკარგავე" აზნაურები, რომელნიც სამხედრო სამსახურის პირობით ფლობდნენ „საკარგავებს", ე. ი. მიწა-ადგილს, დაბა-სოფლებს"[97].

ამ ფაქტში აკად. ნ. ბერძენიშვილი მონათმფლობელური სამეფოს ორგანიზაციის უკანასკნელი ნაშთის გაქრობას ხედავს[98].

აზნაურები ლაშქრობასა და სამსახურს უკვე საერთო (ფეოდალური) წესით იხდიან.

3) მსახურები

მსახურებიც გარდამავალ საზოგადოებრივ ფენს შეადგენდნენ. მხედრებისაგან განსხვავებით, მათ გამოყენება უმთავრესად სამოქალაქო სარბიელზე ჰქონდათ.

„მსახურ-ი" ნაწარმოებია სახ-ლ-ისაგან: მ-სახ-ურ-ი. ურ- სუფიქსი აქ სადაურობის მაჩვენებელი ჩანს: —„მსახური" „სახლის" კაცია. მ- თავსართი კი მიუთითებს იმაზე, რომ ის ადამიანია"[99].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში „მსახურები" თავდაპირველად მონებს უნდა რქმეოდათ[100], მაგრამ ამისი კვალი ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში არ შეინიშნება. პირიქით კი გვაქვს, როცა ტერმინი „მონა" შეცვლილია „მსახურით". ასეთი ტერმინოლოგიური შესწორების მაგალითები გვაქვს, კერძოდ, ბიბლიის ახალ რედაქციებში[101]. მაგრამ ეს

---

97 ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ამ შემთხვევაში მათ ეროვნულ წარმომაელობას.

98 საქართველოს ისტორია. I. მაკეტი ხელნაწერის უფლებით. 1956, გვ. 114.

99 არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 147.

100 საქართველოს ისტორია, I. დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 69.

101 Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 426.

გამოწვეული იყო მონის მდგომარეობის იმ ცვლილებით, რაც ფეოდალური ურთიერთობის შემოსვლისა და განმტკიცების კვალად ხდებოდა.

მსახურები ორიგინალური მწერლობის უძველეს ძეგლებშივე თავისუფლების მქონე ადამიანებად ჩანან.

„შუშანიკის წამება" საკმაოდ ხშირად იხსენიებს მსახურებს, რომელთაც პიტიახშის კარზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ-პოლიციური მოვალეობანი აქვთ დაკისრებული: ინიშნებიან საპატიმროსა და ოთახების მცველებად („სენაკაპანებად"); მათვე ეკისრებათ „უფლის" (ასე მიმართავს თხზულებაში ვარსქენ პიტიახშს ერთ-ერთი მსახური) ურჩების ფიზიკური დასჯაც[102]. ერთი სიტყვით, შინაგანი წესრიგის დაცვა პიტიახშის „ტაძარში" მსახურთა უმთავრესი მოვალეობაა. ტყუილად როდი მოუხმობდა, თავისი მონის პირით, ჰერეთის საზღვარს მოწევნილი ვარსქენი თავის აზნაურებსა და მსახურებს,—„რაჲთა მათ გამო ერთგული სოფლად შევიდეს"[103].

მსახურები, მხედრების მსგავსად, „წვრილი ერის" სოციალური წიაღიდან არიან გამოსული (აკად. ს. ჯანაშიას ვარაუდით, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ისინი წარმოშობით გააზატებული მონებიც ყოფილიყვნენ)[104]. საზოგადოებრივი მდგომარეობით და ქონებრივი შეძლებით ურთიერთისაგან განირჩეოდნენ მეფისა და სხვადასხვა სიძლიერის აზ-

---

102 „ევსტათი მცხეთელის წამებიდან" ჩანს, რომ ამ მოვალეობიდან არც ქართლის მარზპანთა მსახურები იყვნენ განთავისუფლებული. მაგალითად, მარზპანმა არვანდ გუშნასპმა ევსტათისა და „მოყვასთა მისთა" სიმტკიცის გასატეხად „უბრძანა მსახურთა თჳისთა პირსა ცემაჲ ნეტართაჲ მათ...". ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი, გვ. 46;

ხოლო მარზპანმა ბუზმირმა, ევსტათის ურჩობით განრისხებულმა, „უბრძანა მსახურთა: „წარიყვანეთ ეგე საპყრობილედ და იდუმალ ღამით ოავი წარჰკვეთეთ", იქვე, გვ. 53.

ასეთი პოლიტიკური მოვალეობა აკისრიათ თბილისის ამირას მსახურებსაც („აბო ტფილელის წამება").

103 ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, შუშანიკის წამება, გვ. 5.

104 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 278.

ნაურ-წარჩინებულთა მსახურები. გასაგებია, თუ მეფის მსახურთა დაწინაურების, გააზნაურების შესაძლებლობა მეტია.

ფეოდალური ურთიერთობის მთელს სიგრძეზე მსახურთა ფენის სოციალური მდგომარეობა და ფეოდალური ვალდებულება უცვლელი არ ყოფილა. თუ ადრეფეოდალურ ხანაში მსახურობა გარდამავალი საფეხური იყო „წვრილ ერსა“ და აზნაურობას შორის[105], უფრო გვიან მსახურები გლეხთა პრივილეგირებულ კატეგორიას წარმოადგენენ მხოლოდ.

ადრეული ფეოდალიზმის დროს მსახურები ძირითადად სამეურნეო-ადმინისტრაციულ უბანზე არიან დასაქმებული: ფეოდალურ მეურნეობას ადმინისტრაციულად აწესრიგებენ და წესრიგის დაცვას თვალყურს ადევნებენ.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში თავისუფალ მიწისმოქმედთა საზოგადოების (ყმა-მოლაშქრენი) გაქრობის შესაბამისად, მსახურთა ცალკე სოციალური ფენიც დაიშალა. სოციალურად და ეკონომიურად დაქვეითებული მსახურები პატრონის წინაშე საპატიო სამსახურს შესაფერისად ვეღარ ასრულებენ და გლეხურად იბეგრებიან, გლეხდებოდნენ. უმნიშვნელო ნაწილიც, კიდევ, აზნაურდება. გასაგებია ამის შემდეგ, თუ ბატონყმობის ხანაში მსახურები უკვე უმთავრესად გლეხობიდან გამოდიან. ამიტომ, მათი ფეოდალური მოვალეობა, ერთი მხრით, საპატიოა, აზნაურული—ლაშქრობა[106] და სამსახური, ხოლო, მეორე მხრით, გლეხური—მიწის მუშაობა და ბეგრის გამოღება.

მსახურობა, როგორც საზოგადოების ფეოდალური ფენის ერთი გარკვეული, გარდამავალი ნაწილი, ადრეფეოდალურ ხანაში მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციის უშუალო მონაწილე იყო.

---

105 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 279.

106 სანამ ყმა-მოლაშქრეთა სოციალური ფენი არსებობდა, ლაშქრობა მსახურების უმთავრესი მოვალეობა არ ყოფილა,

2. მწარმოებელთა კლასი

ა) მდაბიონი

ძნელია მოინახოს მეორე სოციალური ტერმინი, რომელსაც იმდენი ვარიანტული სახეობანი გააჩნდეს, რამდენიც თავისუფალ მეთემე-მიწათმოქმედთა აღმნიშვნელ სიტყვას—„მდაბიო".

შედარებით უფრო გავრცელებულია „მდაბიო" (მრ. რიც. „მდაბიონი"), მაგრამ არც თუ იშვიათად გვაქვს: „მდაბური" (|| მდაბიური), უფრო ნაკლებად — „მდაბორი" (|| მდაბიორი)[107].

„მდაბიო" დაბის მცხოვრებს ნიშნავდა („მკვიდრი დაბისა"). ამის გამოა, რომ ყველა ვარიანტში საწარმოებლად დაბარის გამოყენებული: მ-დაბ-იო, მ-დაბ-ური. დაბ- ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა, როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, იყო „მიწა", შემდეგ „დამუშავებული მიწა", „დასახლებული ადგილი" (შეადარე საპირისპიროს: უ-დაბ-ნო—„დაუსახლებელი, დაუმუშავებელი ადგილი"). ჩვენამდე მოღწეულ უძველესს ძეგლებში „დაბის" ეს მნიშვნელობა შენახული აღარაა. „დაბა" უკვე, ჩვეულებრივ, დასახლებულ ადგილს აღნიშნავდა, ქალაქური ტიპისაგან განსხვავებით. სიტყვის ეს მნიშვნელობა, როგორც ვხედავთ, მეორეულია.

IX საუკუნიდან „დაბის" ადგილს თანდათან იკავებს „სოფელი", რომელიც მანამდე ქვეყანას ნიშნავდა.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, „სოფლის" თავდაპირველი მნიშვნელობა ვიწრო უნდა ყოფილიყო. განსვენებულ მეცნიერს

---

107 „მდაბორი" (|| მდაბიორი) ჩვენ მიგვაჩნია გრაფიკულ ნიადაგზე წარმოშობილ ვარიანტად (წანაკითხია). ძველ ტექსტებში არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც სახელებში უ-ს მაგივრად გვაქვს -ო. მაგალითად: „აზნაორი", „ჩინებოლი", „ხელისოფალი", „მამოლი" და სხვა. ეს ტრადიცია დამწერლობაში უნდა მომდინარეობდეს იმ დროიდან, როდესაც უ- ბგერა წერისას ოჯ კომპლექსით აღინიშნებოდა. ამის გამო უნდა იყოს, რომ ტექსტებში ჩვეულებრივ „მდაბიური" გეხვდება. ურ- სუფიქსი გასაგებია, იგი ელ- თან ერთად ადამიანის საადგურობას აღნიშნავს, რასაც ვერ ვიტყვით ორ- სუფიქსზე.

ეს ტერმინი „სუფელი“-საგან წარმოებულად მიაჩნდა და უფ-ძირის იმ სახელებს უკავშირებდა, რომელსაც ეკუთვნის მეუ-ფე, მეფე, უფალი და სხვ. „მეუფე“ პატრიარქია, ხოლო „სუ-ფელი“ ტერიტორიული თემი, რომელიც გვაროვნული საზო-გადოებიდან კლასობრივისაკენ გარდამავალ ხანაში ჩნდებაო[108].

„მდაბიო“-ს გვერდით ჩნდება „მსოფლიო“[109]-ც. „სოფლის მცხოვრების“, „სოფლელის“ მნიშვნელობით. მაგრამ „მსოფ-ლიო“-ს ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც: „მსოფლიო“ (ახლანდე-ლი გაგებით. κόσμος), „საერო“, „ერის-კაცი“. „მსოფლიოს“ შემოსვლას ხმარებაში „მდაბიოს“ გაძევება არ მოჰყოლია, თვით „სოფლის მკვიდრის“ მნიშვნელობითაც. „მდაბიოს“ ამ დროისათვის უკვე ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული იური-დიული შინაარსი, პრაქტიკაში დამკვიდრებულ სოციალურ ტერმინს წარმოადგენდა. „მსოფლიო“ აქა-იქ. მართალია, იხ-მარება „სოფლის მკვიდრის“ მნიშვნელობით (ჩვეულებრივ, „მოქალაქესთან“ დაპირისპირებით)[110], მაგრამ მას სოციალური ტერმინის სახე არ მიუღია.

X—XI სს. მწერლები (გ. მერჩულე, სუმბატ დავითის ძე) მთელ გამოთქმებს ხმარობენ („მსოფლიონი ერის კაცნი“ და „ერნი სოფლიონი“), რათა ტერმინში მკითხველმა „სოფლე-ლის“ მნიშვნელობა ჩადოს („მსოფლიო“-დან გამოაქვთ „ერის-კაცის“ ცნება).

საერთოდ, კი, როგორც ითქვა, „მსოფლიო“ ჩვეულებრივ ნიშნავდა მსოფლიოს (ამ ქვეყანას. ზეციური ქვეყნისაგან გან-

---

108 ს. ჯანაშია. შრომები I, გვ. 285—286.

109 ორსავე შემთხვევაში გამოყენებულია ადამიანის სადაურობის აღმ-ნიშვნელი მ- პრეფიქსი.

110 იხ. დავითის ისტორიკოსი: „ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე“. ქართლის ცხოვრება. I. გვ. 356; ე. წ. „სვანური მანუსკრიპტი“, ხელნაწერი № 19 საქართველოს მუზეუმისა: „...სცნათ თუ ვითარ გამო-ზარდნის უცხომან მკვიდრნი ქუეყანისანი და მსოფლიომან მოქალაქენი“, გვ. 60.

სხვავებით)[111] „საეროს“[112] (საერისკაცოს), „ერის-კაცს“[113].

ამრიგად, „მდაბიო“ („მდაბიური“) იყო „დაბის“, „სოფლის“ მკვიდრთა აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინი ადრეფეოდალურ ხანაში. მაგრამ მას ჰქონდა სოციალური მნიშვნელობაც. „მდაბიო“, ცხადია, დაბის ყველა მკვიდრთ არ აღნიშნავდა. „მდაბიო“ არსად ფეოდალური კლასის არც ერთი ფენის წარმომადგენელს არ ეწოდება[114], თუმცა სოფლად ცხოვრობდნენ ფეოდალებიც. „მდაბიური“ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში სრულიად გარკვევით, როგორც სოციალური კატეგორია, აზნაურს უპირისპირდება[115].

მდაბიონი თავისუფალი „ქუეყანის მოქმედნი“ იყვნენ. პროფ. გ. მელიქიშვილს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“-ტექსტზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ ტერმინი „მდაბიური“ აღნიშნავდა, როგორც ქალაქის ტომობრივ-რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელს, ისე სასოფლო თემის წევრს, საერთოდ, მეთემეს[116]; ხოლო სოფლის მცხოვრებისა, „სოფლელის“ აღმნიშვნელი სიტყვის ხმარება „მეთემეს“ მნიშვნელობით სასოფლო თემის არსებობის მკაფიო მოწმობად მიაჩნია ძველ ქართლში[117].

---

111 „ხრუნვაჲ მსოფლიოჲ“.

112 „ხოლო ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ და სულიერი“. ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, 1946, გვ. 21.

113 „იყო მონაზონი ერთი, რომელსა ძმაჲ ესუა მსოფლიოჲ... და ჰრქუა მას ძმამან მან ერისა კაცმან“ იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ. 76.

„საერო-საერისკაცოს“ ნიშნავს „მსოფლიო“, მაგალითად „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“: „ხოლო უხუცესი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოჲთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკვიდრებელსა“, გვ. 151.

114 ასეთი სპეციფიკური, სოციალური შინაარსი ტერმინს—„მსოფლიო“ არ გააჩნდა, და არც შეიძლებოდა ჰქონებოდა თავისი მრავალფეროვანი მნიშვნელობის გამო. დამახასიათებელია. რომ დავით აღმაშენებელსაც შეეძლო თავისი თავისათვის „ყოვლად მსოფლიო“ ეწოდებინა. იხ. ქართლის ცხოვრება, I. გვ. 357.

115 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 68.

116 Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 401.

117 იქვე, გვ. 402.

გვიანდელი ხანის საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალებით ჩანს, რომ თემები მოსახლეობის სიდიდისა და ტერიტორიის მოცულობით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. დიდი თემი, თავის მხრივ, განიყოფოდა უფრო მცირე, ორგანიზაციულ ერთეულებად. სახევთაშორისო, სახევო, სასოფელთაშორისო...[118] თვითოეული მათგანი ცალკე სოციალურ ჯგუფებს აერთიანებდა, რომელნიც უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყვნენ სხვადასხვა სახელწოდებით: მამანი, საძმო, ბევარი, სოფელი, თემი, ხევი[119].

აღსანიშნავია, რომ „საძმო", როგორც თემური ორგანიზაციის ერთ-ერთი სახელი, ჩვენ გაცილებით ადრე, ლიტერატურული გზით გვაქვს დამოწმებული. მხედველობაში გვაქვს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", რომელიც ძვირფას წყაროს წარმოადგენს, ქართლში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის შესწავლისათვის. „აბზულებაში აღწერილია ასეთი ამბავი: მონასტრისათვის ადგილების „დაპყრობის" სურვილმა ბერები მიიყვანა „შესაკრებელსა ორთა წყალთასა... რომელსა საძმო ეწოდებოდა"[120].

საქმე იმაში იყო, რომ „დიდმა მთავარმა" გიორგი ჩორჩანელმა, რომელმაც ბერების მფარველობა და ხელის შეწყობა ითავა, ასეთი დაპირება მისცა „სულიერ ძმებს": „განთიადითგან მწუხრამდე რაჲოდენი შემოწერით შემოვლოთ მომიცემია ოქუენდა"-ო. მიუხედავად იმისა, რომ ჩორჩანელი მთელ ამ კუთხეს (ქვაბლიანის ხეობას) თავის „საბრძანებელს" უწოდებს, „საძმოს" მცხოვრებლებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს დაუპატიჟებელ სტუმრებს და „საძმოს" საზღვრებიდან ვადარეკეს.

აქ ჩვენ გვაქვს სრულიად აშკარა ცნობა ფეოდალებისა და ეკლესია-მონასტრების მიერ სათემო ადგილ-მამულების მიტა-

---

118 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 297.

119 В. Б а р д а в е л и д з е, Земельные владения древнегрузинских святилищ, Советская этнография, 1949, № 1, გვ. 92.

120 სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 159.

ცებისა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული მწვავე კლასობრივი ბრძოლისა.

„საძმო", ეჭვს გარეშეა, თემური ორგანიზაციის სახელია ისევე, როგორც, ეს იყო უფრო გვიან ხევსურეთში. ტერმინი, როგორც ჩანს. პირველყოფილ-თემური ურთიერთობის, ჯვაროვნული წყობილების წიაღში წარმოიშვა და სისხლით ნათესავების („ძმების") გაერთიანებას გულისხმობდა. მერძინდელი ანალოგიების გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ თემური ორგანიზაციების სხვა სახელწოდებებიც არსებობდა: გვარი, სოფელი (დაბა) თემი, ხევი. პროფ. გ. მელიქიშვილს „დაბა" სასოფლო თემის სინონიმად მიაჩნია ადრეფეოდალურ ხანაში[121]. ხოლო თემის უხუცესის, მეთაურის სახელი უნდა ყოფილიყო—„ხუცესი"[122], „ბერი" (შდრ. „ხევისბერი", „ქალაქის ბერები"). სემანტიკურად ეს სახელები შესატყვისებს წარმოადგენენ.

ეს ტერმინები უკანასკნელ დრომდე იყო ხმარებაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში. ხევსურეთში „ხუცესი" ანუ „ხევისბერი" იყო ხელმძღვანელი თემის საერო და საკულტო-რელიგიური ცხოვრებისა[123].

თემის უხუცესი (resp. ხუცესი) რომ ძველად კულტის მსახური ყოფილა, ეს იქედანაც ჩანს, რომ ტერმინი შემდეგში ქრისტიანული რელიგიის მსახურის მნიშვნელობითაც დამკვიდრდა. „ხუცესი" (მოძღვარი) და „მღვდელი" სინონიმურ პარალელებს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი დამოწმებული გვაქვს ბომარეთის ეკლესიის წარწერაში.

---

[121] Г. Меликишвили, К истории..., 405—406. „დაბა" ანუ „სოფელი" გარკვეული ეკონომიური ერთეული იყო, XI—XIII სს. ქართული საბუთებით—„ბითია. ბარითა. ტყითა, ველითა, წყლითა, ზვრითა, ხოდაბუნითა, საძოვრითა. სათიბითა, წისქვილითა...".

[122] აკად. ნ. მარის ეტიმოლოგიით, ტერმინი ნასესხებია სვანურიდან, რომელშიც „ხუც-ა" არის შედარებითი ხარისხი ძირისა—„ხოშა", (старший, большой). Н. Марр, Грамматика грузинского языка, 1922, გვ. 60.

[123] ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, 1952, № 10; გვ. 626.

კომპონენტის სახით, სიტყვაში—„ხუც-გალატოზი“[124]. „ხუცესის“ მნიშვნელობა ამ რთულ სიტყვაში გასაგები გახდება თუ ამ საალმშენებლო ტერმინს პარალელურ კომპოზიტებს შევადარებთ: „გალატოზთა მთავარი“, „ხუროთ-მოძღუარი“ („ხურო“ „გალატოზის“ სინონიმი იყო)[125].

კარგა ხანია, მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომ მდაბიონი ორ ფენად განიყოფოდნენ, რომელთაგან ერთი ნაწილი პირადად თავისუფალი იყო მეორე კი თავისუფლებას მოკლებული, გლეხად ქცეული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „მდაბიო“ ზოგადი ცნება კი არ იყო, არამედ ტექნიკური სოციალური ტერმინი, რომელიც „დაბის თავისუფალი მკვიდრის“, „მეთემის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. მართალია, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების სიადაგზე, მდაბიურები სულ უფრო კარგავენ პირად თავისუფლებას (ცალ-ცალკე იქსებოდა, ეს. თუ თემობით), ბაგრამ თავისუფლებას მოკლებული მწარმოებლები ამ ტერმინის ქვეშ უკვე აღარ იგულისხმებიან.

მდაბიოთა თავისუფალი მიწის მუშათა სოციალური ფენის არსებობა, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გარკვეული დონით იყო განსაზღვრული. ქვეყნის შემდგომ წინ-

---

ამასთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს იწვევს სახელი „ხუციანდაბისძე“, რომლის ახსნა სცადა პროფ. გ. მელიქიშვილმა. (იხ. მისი, К истории..., გვ. 405—406.) მხედველობაში გვაქვს „ძეგლი ერისთავთა“, სადაც მოხსენებულია ლარგვისის მამასახლისი გუგაკ ხუციანდაბის ძე. ეს სრულიად გარკვეული შინაარსის შემცველი სიტყვა („ხუცი“ და „დაბა“) გ. მელიქიშვილს გუგაკის მამის საზოგადოებრივი მდგომარეობის მაჩვენებლად მიაჩნია, რომელიც შემდეგში გააზრებული იქნა, როგორც საკუთარი სახელი. „ხუციანდაბისძე“ ჩვენი აზრით, გვარის სახელია. აქ ჩვენ უნდა გვქონდეს გვარში დამკვიდრებული ხელის გვარის სახელად გადაქცევის მაგალითი. მამასახლისი, რომელსაც პატივი და ხელი მეფეთაგან აქვს მიცემული, თემის პრივილეგირებული გვარის წარმომადგენელი ყოფილა. საყურადღებო მომენტია. კლასობრივი ხელისუფლების სამსახურში მყოფი ეს კაცი, ახლა უკვე იმაზე ზრუნავს, რომ მეფეთაგან მიცემული პატივი და ხელი „არ შეეცვალოს მის ნათესავსა“.

124 ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, „ხუც“ ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, ეტიუდები, I, გვ. 236.

125 ი ქ ვ ე, გვ. 236—237.

სელას ამ გზით მდაბიოთა კლასის გარდაუვალი აღსასრული მოჰქონდა. უკვე კარგა ხანი გასულიყო, რაც მეურნეობის განვითარების ნიადაგზე თემი ირღვეოდა. „უფრო ძლიერ იჩენდა თავს მიწის კერძო საკუთრებად გადაქცევისადმი მიდრეკილება. ვენახისა თუ სილოსნის (ხეხილის ბაღის) მონაშენე მეთემე მიწის მუშა. ცდილობდა არ შეშვებოდა თავის ნაკვრნაჩულევს და ასეთი ნაშენის მეთემეთა შორის განაწილების წინააღმდეგ გამოდიოდა. ასე შეშოდიოდა კერძო მფლობელობა ჯერ საბალ-ვენახე მიწებზე და შემდეგ სახნავ-სათესზედაც"[126].

მეთემეთა მიერ სათემო მიწების დასაკუთრებას მათ შორის მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობა მოსდევდა. რადგანაც ამ დროს მიწა იყო სიმდიდრისა და სოციალური მდგომარეობის მთავარი წყარო. თუ ძველ ქართლში სასოფლო თემი დაბრკოლებას უქმნიდა მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობის განვითარებას, ახლა იგი ბაჯა გახდა ახალი (ფეოდალური) ურთიერთობის წარმოშობისა და განვითარებისათვის.

ქონებრივად დაწინაურებული მდაბიურები სოციალურადაც შორდებოდნენ თემის გაღატაკებულ-დაგლახებულ უმრავლესობას და აზნაურთა რიგებში გადადიოდნენ. მაგრამ თემი მარტო შიგნიდან, მეურნეობის განვითარების საფუძველზე, არ ირღვეოდა. „მთავრები, აზნაურები, ეკლესია-მონასტრები ერთიანი ძალით უტევდნენ მდაბიურებს და იტაცებდნენ მათს სათემო თუ კერძო სამფლობელო მიწებს... აზნაურებმა მდაბიურებს ჯერ წაართვეს სახნავ-სათესი მიწები, რომლებსაც ყველაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა, შემდეგ სათიბ-საძოვრები და, ბოლოს, ტყის მიჩემებასაც მიყვეს ხელი"[127].

X ს. გასულისათვის ბარის საქართველოში სათემო მიწების მიტაცებისა და მდაბიოთა დაყმევების პროცესი, ცალ-ცალკე, თუ თემებით, ძირითადად დასრულდა[128]. პატრონ-ყმური

---

126 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 105.

127 საქართველოს ისტორია, I, მაკეტი. 1956, გვ. 121.

128 იქვე, გვ. 131.

საერთოდ, თემის რღვევისა და მდაბიოთა დაყმევების პროცესებზე მსჯელობისას ვემყარებით აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევებს, რომლის

ურთიერთობის სფერომ მათი სახით მწარმოებელი საზოგადოება მოიცვა. მდაბიოთა თავისუფალი სოციალური ფენის ფეოდალებად, კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით, იყო მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც ადრეფეოდალური ურთიერთობის ეტაპზე დასრულდა. ახლა ჰეროლოდ ჩვეულის შემდგომი განვითარების, დროის საკითხი იყო ფეოდალთა ამ ყმების მიერ თავისუფლების ყველა ნიშნის დაკარგვა და მათი „გლეხობაში" გადასვლა. ყმა მწარმოებელი გარდამავალი კატეგორიაა თავისუფალ მეთემესა და გლეხს შორის.

ფორმალურად ასეთი მიწის მუშები ჯერ კიდევ თავისუფალნი იყვნენ, თუმცა „პატრონები", „მფარველები" გაჩენოდათ (მეფე, აზნაური, ეკლესია-მონასტერი). პატრონისა და ქვეყნის წინაშე მათი ფეოდალური მოვალეობა, ლაშქრობა და სამსახური (მასპინძლობა, ძღვენი, ხლება...) იყო. ყმა-მოლაშქრენი აზნაურებთან ერთად საქართველოს ლაშქრის ბირთვს შეადგენდნენ თვით განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. მაგრამ ქვეყანაში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, მდაბიოთა სოციალური ფენა სულ უფრო ქრებოდა, იშლებოდა. ეკონომიურად შეუძლებელი მდაბიური ლაშქრობა-სამსახურს ვეღარ ახერხებდა, თავისუფლებას კარგავდა და ბეგრის გამომღები მიწის მუშა, გლეხი ხდებოდა.

დამსახურებაა ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის, „ყმათა" გარდამავალი მწარმოებელი კლასის აღმოჩენა, რაც ქართული პატრონყმობის შინაარსს განსაზღვრავდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი მერმინდელ ვითარებაზე დაყრდნობით („გლეხი გინა ყმა"), „ყმასა" და „გლეხს" შორის განსხვავებას ამ პერიოდისაკენ ვერ ხედავდა. იხ. მისი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I. 1907, გვ. 10; და ქართული სამართლის ისტორია. 1928. I. გვ. 73.

აკად. ს. ჯანაშია პატრონყმური ურთიერთობის სფეროდან გამორიცხავდა მატერიალური დოვლათის ყმა მწარმოებლებს. რადგანაც მიაჩნდა, რომ ფეოდალური საზოგადოება ამ დროისათვის უკვე გაყოფილი იყო ორ ძირითად ანტაგონისტურ კლასად, ე. ი. ფეოდალებად და გლეხებად, ხოლო პატრონყმობა არის მემამულეთა შინაგანი ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმა და ამდენად არ ფარავს მთელს საზოგადოებრივ ურთი-

XII ს. ბოლოსათვის საქართველოში ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებულია[129].

ამრიგად, IX—X საუკუნეებში ტერმინი „მდაბიო“ რამდენადმე იფართოებს შინაარსს. ის ახლა არა მარტო თავისუფალი მეთემის სახელია. არამედ დაყმევებულ მწარმოებელსაც გულისხმობს. XI—XII სს. ეს ტერმინი ჩვეულებრივ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ „მდაბიო“ ბეგრისა და მუშაობა-სამსახურის ვალდებული მიწის მუშის სახელი არ ყოფილა. ასეთი კატეგორიის მწარმოებელთა აღმნიშვნელი ტერმინი იყო „გლეხი“, რომელიც „მდაბიოს“ პარალელურად არსებობდა. სწორედ ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს გრიგოლ ღვთისმეტყველის „სამხილებელი არიანოზთა და ევნუმიანოსთა ბოროტად უწესოებისაჲ“, და არა პირიქით[130]. როგორც პროფ. ილ. აბულაძემ შენიშნა, ქართულ ტექსტში გარკვეული აზრით გამოყენებულია ტერმინი „გლეხი“, რომელიც მთარგმნელს შეცდომით „*ᲨᲘᲜᲐᲙᲘᲐᲜᲘ*“-ის შესატყვისად გამოუვიდა.

(ეს ფილოსოფიური ტერმინი მას სოციალურ სახელად— „*ᲨᲘᲜᲐᲙᲘᲐᲜᲘ*-ად მოსჩვენებია)[131].

„შინაკანი“ სემანტიკურად ქართული „მდაბიოს“ ბადალია („*ᲨᲘᲜ*“[132]—„დაბა“, „*ᲨᲘᲜᲐᲙᲘᲐᲜᲘ*“—„მდაბიო“).

ოდესღაც ეს ტერმინები სოციალურადაც შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ X ს. ბოლოსათვის, როდესაც შინაკანების დიდი ნაწილი მიწაზეა მიმაგრებული, ამ სომხური ტერმინის ქართული შესატყვისი უკვე „გლეხია“.

ერთობასო. იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის. შრომები, II, გვ. 434—435.

129 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო. გვ. 80.

130 იხ. მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა კატეგორიები XI—XII ს-ში, გვ. 139.

131 ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართულის ლექსიკიდან. გვ. 173.

132 მომდინარეობს ფალაური šēn-იდან. ადიშის ოთხთავი. ჩვეულებრივ, სომხური „*ᲨᲘᲜ*“-ის ქართულ შესატყვისებს, ასევე, „*ᲨᲔᲜ*“ ძირიდან წარმოებს, ზოგჯერაც კიდევ იძლევა სიტყვებს: „დაბნები“, „სოფელი“. იხ. ს ე ლ. ფ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის. მასალები. ნაკვ. 32. გვ. 191.

ბ) გლეხები

ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში მატერიალური დოვლათის მწარმოებლებს შორის ყველაზე დაბალი ადგილი გლეხებს ეკავათ.

გლეხი პირად თავისუფლებას მოკლებული, ბეგრისა და მუშაობა-სამსახურის ვალდებული მიწის მუშა იყო. ამ სოციალური ფენის წარმოშობის ისტორია ჯერ კიდევ ნათელი არაა. ჰკვლევრები, ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ სტრაბონის „მეოთხე გენე" (βασιλικοὶ θοῦλοι) ამ ფენას უნდა გულისხმობდეს. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, „მეოთხე გენეს" ქართული სახელწოდება, ფეოდალური საზოგადოების ტერმინოლოგიის გათვალისწინებით, იყო „გლეხი", თუმცა საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვსო[133]. ამ თვალსაზრისისაკენ იხრება პროფ. გ. მელიქიშვილიც[134]. სამწუხაროდ, ტერმინის, ეტიმოლოგია ჯერ კიდეკ დადგენილი არაა, რაც გლეხის წარმოშობის საკითხის გარკვევაში დაგვეხმარებოდა.

აკად. ნ. მარი ამ სოციალურ ტერმინს ეთნიკურ წარმოშობისად მიიჩნევდა. „გლეხი" (ამ ძირიდან წარმოშობილი „გლახაკი") და მისი სომხური შესატყვისი „გრეპიკ"-ი („գռեհիկ"), „კოლხთა" ტომობრივი სახელწოდებიდან მომდინარეობენო[135].

ტომობრივი სახელიდან მომდინარედ მიაჩნდა „გრეპიკ"-ი პროფ. ადონცსაც. ქართული „გლეხი" კი სომხური ტერმინის შესატყვისია (მდაბიო, პლებსი) და ამ უკანასკნელიდან წარმოშობილიო[136]. „გლეხი" სომხური ტერმინიდან მომდინარედ მიაჩნდა პროფ. აჭარიანსაც. მაგრამ მარისა და ადონცისაგან განსხვავებით. იგი „գռեհ"-ისაგან გამოჰყავდა, რომელიც „უბან-ქუჩას, საზოგადო გზას" ეწოდებოდა[137].

---

133 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 167.

134 Г. Меликишвили, К истории..., გვ. 446.

135 Н. Марр, Батуми, Ардаган, Карс..., Петроград, 1922, გვ. 31.

136 Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб, გვ. 436.

137 იხ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, გვ. 168—169.

„გლეხის“ დაკავშირებას კოლხთა სატომო სახელთან, უკანასკნელ ხანებში, უჭერს მხარს პროფ. გ. მელიქიშვილი. მისი აზრით, ეს ტერმინი არ უნდა წარმომავლობდეს სომ. „გრეჰიკ“-იდან, რომელსაც ძველ ინდურ „გრჰაჯა“-ს (სახლში დამდებული მონა) უკავშირებენო[138].

პროფ. გ. მელიქიშვილი არ იზიარებს არც „გლეხის“ გლახისაგან წარმოშობას, თუმცა არ უარყოფს მათ გარეგნულ და შინაარსობლივ სიახლოვეს და არც იმის შესაძლებლობას, რომ აქ საქმე იქნება გვქონდეს ერთსა და იმავე სიტყვის დიალექტურ ვარიანტებთან[139].

ტერმინი „გლეხი“ უკანასკნელ დროს პროფ. ილ. აბულაძის სპეციალური შესწავლის საგანი გახდა. ამ სიტყვის ამოსავალი ფორმა, მისი აზრით, არის „გლახაკი“ (გლახაკ → გლახა → გლახ ||გლეხ-ი)[140]. ილ. აბულაძე აღიარებს „გლეხის“ კავშირს „გრეჰიკ“-თან, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან მომდინარეობას უარყოფითად ეკიდება.

როგორც ვხედავთ, ტერმინის ეტიმოლოგიის თვალსაზრისით, ჯერჯერობით, ყველაფერი ნათელი არაა. თავი რომ დავანებოთ „გლეხის“ ეთნიკური სახელწოდებიდან მომდინარეობას, რაც ფრიად ჰიპოთეტურია, უფრო რეალური საფუძველი მოიპოვება „გლეხისა“ და „გლახას“ კავშირ-ურთიერთობისათვის.

„გლახაკი“ („გლახა“) ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ტერმინი იყო და „არაგს მქონებელს“, „უპოვარს“, ე. ი. ღარიბ-ღატაკს აღნიშნავდა. ტერმინს უმთავრესად ეკონომიური შინაარსი ჰქონდა, ვიდრე სოციალური[141]. „გლახაკი“, ჩვეულებრივ, „მდიდრის“ საპირისპირო ცნება იყო და ამ თვალსაზრისით ერი და ბერი ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც მდგომარეობა უმთავრესად მაინც ეკონომიური შეძლებით იყო

---

138 Г. Меликишвили, К истории.... გვ. 420.

139 „გლეხი“ და „გლახა“ დიალექტურ ვარიანტებად მიაჩნია აგრეთვე პროფ. ს. ყაბაძეს. იხ. მისი. ეახტანგ გორგასალი. გვ. 6.

140 ილ. აბულაძე. ძველი ქართულის ლექსიკიდან. გვ. 175.

141 იოანე მოსხის „ლიმონარში“ არის ასეთი ადგილი: „დღეაცათუ ღელეს გლახაკი არს, არამედ არს იგი შერაცხილთაგანი“, გვ. 115.

ეჭვსაზღვრული, შეუძლებელია, რომ „გლახაკს" სოციალური ელფერიც არ ჰქონოდა მიღებული.

ლეონტი მროველი ფარსმან ქველის სიკვდილით გამოწვეული მწუხარების აღსანიშნავად ამბობს: „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახამდე"[142].

გლახანი, როგორც ვხედავთ, ისტორიკოსისათვის საზოგადოების უდაბლეს საფეხურზე მდგომი ხალხია, ნივთიერად და უფლებრივად რომ იყო გაძარცული. სუმბატ დავითის ძე მარეამ დედოფლის ელჩობის მიზანდასახულებაზე ამბობს: „წარვიდა კოსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა ვედრებად მისა, რათა ნაწყალობა ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწუნარებულ და მყუდრო იყვნენ"[143]. „გლახაკნი" აქ ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი, გაჭირვებული, ომისაგან აშლილი და აფორიაქებული მშრომელი მასის აღსანიშნავად.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ამ ტერმინით, ჩვეულებრივ, ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებული და უმთავრესად ქალაქებს შეფარებული ღარიბობა აღინიშნებოდა, რომლებიც მათხოვრობითა და მდიდართა თუ სახელმწიფოს ქველმოქმედებით სულდგმულობდნენ. მანამდე კი „გლახაკი" შეიძლება სამეურნეო საქმიანობის საშუალებას მოკლებული ღარიბი „მუშაკის" მნიშვნელობითაც ეთქვათ. იოანე მოსხის ლიმონარის ქართულ თარგმანში არის. მაგალითად, ასეთი ადგილი: „ვინმე ბერი იყო ხუზიბისა მონასტერსა, და გჳთხრობდეს მისთჳს მკჳდრნი მის მონასტრისანი, ვითარმედ: ოდეს იყოლა ივი სოფელსა შინა, მუშაკი იყო, და ოდეს ეხილის ვინმე კაცი გლახაკი, რომელსა ჭარნი არა უდგანედ და ძალი არა უქუნ, და ვერ შემძლებელ არნ საქმეד აგარაკისა თჳსისა, წარვიდის იგი თჳნიერ ცნობისა მისისა და კეთილად ნოქმნის აგარაკი იგი მისი და დასთესის თესლი და დაუტევის"[144].

საყურადღებოა, რომ „გლახის" სპეციფიკური მნიშვნელობით თავდაპირველად გამოყენებული ყოფილა „გლეხიც", მა-

142 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 53.

143 იქვე. გვ. 385.

144 იოანე მოსხი. ლიმონარი, ილ. აბულაძის გამოცემა, 1960, გვ. 8.

გალითად, პროფ. ილ. აბულაძის მიერ მითითებული „სიბრძნეჲ ისუ ზირაქისი“ კონტექსტებში „გლეხს“ „მდიდარს“ უპირისპირებს, თავი რომ დავანებოთ სომხურ და რუსულ თარგმანებს, სადაც შესაბამის ადგილებში „*ագքատ*“[145] და „нищий“ ყოფილა ნახმარი.

ჩვენამდე მოღწეულ ორიგინალურ ძეგლებში „გლეხი“ X ს-მდე არა ჩანს. ამის შემდეგ, კი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სოციალური შინაარსით შემოდის ლიტერატურაში (თავისუფლება დაკარგული მიწისმოქმედის სახელია), რაც ტერმინის მნიშვნელობის განვითარების ისტორიისაკენ მიგვახედებს.

მიუხედავად იმისა, რომ თვით ნათარგმნ ძეგლებში „გლეხი“ X ს-მდე მხოლოდ აქა-იქ თუ მოგვეპოვება, მისი მნიშვნელობის ცვლილება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მაინც შეიმჩნევა. ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია ბიბლიაში შემავალი ზემოთ ნახსენები—„სიბრძნეჲ ისუ ზირაქისი“, საღაც „გლეხი“ ღარიბის, გლახაკის მნიშვნელობით იხმარება[146].

„რიფსიმიანთა წამების წიგნში“, რომელიც პროფ. ილ. აბულაძის მოსაზრებით, VIII ს-ზე უადრესი და IX ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს, ქალაქ ვალარშაპატის დაბალი მასის აღსანიშნავად (სომხურში „*ամբոխ*“[147]-ია), თარგმანში „გლეხია“ გამოყენებული.

„ამბოხ“-ი ძველ სომხეთში ზოგადი შინაარსის სოციალური ტერმინი იყო, რომელიც, „ბრბოს“, „მასას“, „ხალხს“ აღნიშნავდა[148].

X საუკუნეში გადაწერილ ე. წ. სვანურ მრავალთავში „გლეხი“ სომხ. „*ասպիկ*“-ს შეესწორება. „რამიკ“-ი ზოგადი

---

145 სომხ. „ალქატ“-ის ადგილას ადიშის ოთხთავში, ჩვეულებრივ, „გლახაკი“ გვაქვს. იხ. ელ. დოჩანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, გვ. 202.

146 ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, გვ. 174.

147 მომდინარეობს ირანული „anbōh“-იდან. ადიშის ოთხთავში „*ամբոխ*“-ის შესატყვისად გვაქვს „ამბოხი“, „გლახაკი“. იხ. ელ. დოჩანაშვილი, დასახელებული წერილი, გვ. 182.

148 С. Е. Акопян, История армянского крестьянства, IV—XIII вв., автореферат докторской диссертации, გვ. 26.

მნიშვნელობით „ამბოხ"-ის სინონიმს წარმოადგენდა და, როგორც ქალაქის პლებსის, ისე სოფლის დაბალი მოსახლეობის მნიშვნელობით იხმარებოდა. საერთოდ, „რამიკები", „ამბოხი", -„ანაზატების" (უაზნონი, უჩინონი, შეურაცხნი) სოციალურ წრეს შეადგენდნენ.

ასეთი ზოგადი შინაარსი ჰქონია თავის დროზე, როგორც ჩანს, „გლეხსაც". ტერმინი სულ ადრე ღარიბის, გლახაკის მნიშვნელობას ატარებდა. მაშინ იგი სომხ. „*ապրատ*"-ს უდრიდა[149]. VIII—IX სს. მას უკვე სოციალური აზრი აქვს მიცემული და თარგმანებში სომხ. „ამბოხ"-ს და „რამიკ"-ს გადმოცემს.

X ს. გასულს, ქართველ მწერალს გრიგოლ იშკელს „გლეხი" უკვე „შინაკანის" ქართულ ექვივალენტად მიუჩნევია. რადგანაც ამ დროს „გლეხს" უკვე სპეციფიკური, კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მოპოვებული და „შინაკანების" უმრავლესობაც სავსებით ანალოგიურ მდგომარეობაშია ჩაყენებული, ეს ტერმინები ტოლფასოვან სოციალურ შესატყვისებად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენ სარწმუნოდ გვეჩვენება მოსაზრება „გლეხის" „გლახასაგან" წარმომავლობის შესახებ (გლახ||გლეხ). ამ ტერმინის ფორმალური და სემანტიკური სიახლოვე, რაც „გლეხის" ძველი მნიშვნელობის წარმოჩინებით უფრო აშკარა ხდება, ვფიქრობთ, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს. შესაძლოა ისიც, რომ ისინი ერთი საერთო ძირის ნაყარს წარმოადგენდნენ და თავდაპირველად სინონიმური პარალელების სახით არსებობდნენ. მაგრამ დროთა ვითარებაში „გლეხი" სულ უფრო დაშორდა „გლახას" და ბოლოს გარკვეული სოციალური შინაარსით დამკვიდრდა.

„გლეხად" გადაქცევა (პირადი თავისუფლების დაკარგვა)

---

149 საყურადღებოა, რომ „ქართლის ცხოვრების" ძვ. სომხ. თარგმანში ქართული „გლახაკის" აღსანიშნავად უხმარიათ „*ապրատ*" და „*տառապեալ* („ხელმოკლე", -„უქონელი"). იხ. ილ. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძვ. სომხური თარგმანი, გვ. 303.

უმთავრესად ეკონომიური შეუძლებლობით ყოფილა გამოწვეული. რაც ტერმინის უძველესი მნიშვნელობის გათვალისწინებით ხდება საფიქრებელი.

სამეურნეო საქმიანობის უნარმოკლებული ადამიანი ცხოვრების სახსარის ძებნაში ხშირად თავისივე ფეხით მიდიოდა მიწათმფლობელთან და ბეგრისა და მუშაობა-სამსახურის პირობით მიწასა და წარმოების საშუალებებს ღებულობდა. ასეთი „გლახაკი" ხშირად თავისივე მიწას ღებულობდა უკან, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო დაეკარგა ან რომლის დაშუშავების თავი მარტო აღარა ჰქონდა[150]. ეკონომიურად დამოკიდებული ასეთი მწარმოებელი სოციალურადაც ხდებოდა დამოკიდებული[151]. ფეოდალის მიწაზე საშვილიშვილოდ მჯდომი „გლეხი" (გლახაკი) თავისუფლებას კარგავდა და მიწაზე ხდებოდა მიმაგრებული.

მაგრამ გლეხთა ფენა მარტოოდენ ეკონომიური დამოკიდებულების გზით არ იქმნებოდა. მონათმფლობელური წარმოების კრიზისთან დაკავშირებით მიწათმფლობელებს თავიანთი მონები სულ უფრო გადაჰყავთ გლეხთა მდგომარეობაში. გლეხად აქცევდნენ ახლა და მიწაზე სხამდნენ ტყვე-უცხოელებს, რასყიდთ თუ ვალში გაყიდულ შეუძლებელ მოვალეებს[152]. დასასრულ, აქეთ მოემართებოდნენ აგრეთვე ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგად დამცირებულ-დაკნინებული ყოფილი მეთემეები. ამრიგად, გლეხთა სოციალური ფენა, როგორც ოდესღაც თავისუფალ, ისე არათავისუფალთაგან წარმომავლობდა. ყველა ისინი ერთ სოციალურ ფენს ქმნიდნენ, თუმცა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობით გლეხობა სხვადასხვა კატეგორიებად იყოფოდა. მათი საერთო

---

150 ასეთი მშრომელის წუხილია ასახული უძველესს სინურ მრავალთავში: „რადთა-მეოყოს ჩემდა აგარაკი, უკეთუ არა მედგას ჯარი მშრომელი". იხ. სინური მრავალთავი 864 წლისა. გვ. 67.

151 თავისუფალი უმიწო კაცის გლეხად გადაქცევის ასეთი გზაა ნაჩვენები ეკორწინოს „დაწერილში". იხ. მ. ბერძნიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI—XII ს-ში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. I, გვ. 140.

152 იქვე, გვ. 139.

და ძირითადი ვალდებულება ბეგარა და მეშაობა-სამსახური იყო.

„ბეგარა“ აკად. ს. ჯანაშიას ვარაუდით, ირანული გამოთქმის („ბე ქარ ამადან“—სამუშაოზე გასვლა) ნაშთია ქართულში და თავდაპირველად ქართლში უნდა შემოსულიყო, როგორც ირანული ხარკის ერთ-ერთი სახეთაგანი, მოსახლეობის შრომითი გამოსაღები სპარსელების სასარგებლოდ[153].

უცხოური ხარკის მნიშვნელობით აქვს „ბეგარა“ ნახმარი ჯუანშერს: „იქმნნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი“[154].

„ბეგარა“ იყო მიწის მუშის ნატურალური და შრომითი ვალდებულება მიწის მეპატრონის სასარგებლოდ. ამდენად, შესაძლებელია, მას უცხოური ხარკის მნიშვნელობაც მიეღო.

„ბეგარა“ სპარსული სიტყვაა, გამოითქმის როგორც „ბიგარ“[155]. ტერმინი პირველად „ფავნელთა საბუთში“ გვაქვს დაბეჭდილი, მაგრამ ფიქრობენ, და სამართლიანადაც, რომ „ბეგარა“, როგორც გლეხის ფეოდალური გამოსაღების აღმნიშვნელი სახელი, მანამდეც იხმარებოდა[156].

XI საუკუნეში (1072 წ. სიგელი გიორგი II-ისა) „ბეგრის“ მნიშვნელობით დამოწმებულია „სუხრა“-ც (არაბული „სუკრახ“). მ. ლორთქიფანიძის აზრით, ტერმინი არაბთა ბატონობის ნაშთია ქართულში და თბილისის საამიროდან უნდა იყოს გავრცელებული[157].

„ბეგარა“ ადრეფეოდალურ ხანაში უმთავრესად ნატურალურ გადასახადს გულისხმობდა[158] (პური, ღვინო, ხორცი...),

153 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 102—103; და Г. Меликишвили, К истории..., გვ. 417.

154 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 187.

155 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 231.

156 მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისტორიის ინსტიტუტის. შრომები, IV, ნაკვ. 2, 1959, გვ. 194.

157 იქვე, გვ. 194—195.

158 მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ მე-11 საუკუნისა, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1952 (საკანდიდატო შრომა), გვ. 98; მისივე, გლეხთა კატეგორიები XI—XII ს-ში, გვ. 140.

რომლის გამოღების საფუძველი გლეხზე გადაცემული უფლის მიწა იყო [159].

უკვე „ფავნელთა საბუთში“, როგორც საგლეხო ვალდებულება, მითითებულია „კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამადი, ორ-ორი ჯამი პური, ორ-ორი პირი ღჳნო“[160]. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს ის ვალდებულებაა, რომელიც უფრო გვიან „სამასპინძლოს“ სახითაა ცნობილი[161].

ნატურალური გამოსაღები იყო „ძღუენიც“. „ოდესცა მივიდოდეთ ძღუᲬნი მოგუᲬრთმოდეს“[162],—წერია მე-12 ს. ერთ საბუთში.

უმთავრესი გამოსაღები მაინც იყო „ღალა“ (გადასახადი მარცვლეულზე), ზოგჯერ მოსავლის „ნათხალი“, ზოგჯერაც „ნახუთალი“ და სხვ.

მევენახეობის კუთხეებში გლეხებზე გაწერილი იყო „კულუხიც“ („ღჳნოᲲ ჟამსა სთულისასა“).

ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გამოსაღების სახეობა და რაოდენობა სხვადასხვაგვარად იყო დაწესებული. ძირითადად მას მოსავლის მიხედვით განსაზღვრავდნენ („შემსგავსებულად Ეოსულისა“)[163].

როგორც არათავისუფალ მიწისმოქმედს გლეხს მუშაობასამსახურიც ჰქონდა დაკისრებული. X—XII სს. დოკუმენტებით ცნობილია გლეხის შრომითი ვალდებულების შემდეგი სახეები: მამითადი, ანეული, სამკალი. სალეწავი, წყლის კაზმვა, მარანში მუშაობა, ციხის სამსახური და სხვ.

---

159 მიწის იმ ნაკვეთს, რომელზედაც გლეხი საშვილიშვილოდ იჯდა, საგლეხო ფუძე ერქვა. ძველად, როგორც ჩანს, „ფუძე“ და „საკომლო“ ერთმანეთს ემთხვეოდა. მაგრამ გლეხობის რიცხვის სწრაფი ზრდის შედეგად სრულფუძიანობა ირღვეოდა და უკვე არაიშვიათად აღნიშნულია: „გლეხი ფუძედ ერთი და კომლად ორი“ (თამარის სიგელი 1202 წლისა).

160 თ. ᲣᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 2.

161 მ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ. ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX—X საუკუნეების საქართველოში, გვ. 225.

162 ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 24.

163 ᲘᲥᲕᲔ, გვ. 17.

გლეხის სამსახური პატრონის მამულში სხვადასხვა ხანგრძლიობით იყო დაწესებული. იყო „მეორშაფათე გლეხი“[164], „საკვირაო გლეხი“[165], მაგრამ ყოფილან ისეთი გლეხებიც რომლებიც მხოლოდ შაბათობით იყვნენ გათავისუფლებული და „ორშაბათით პარასკევამდის“[166] პატრონის სასარგებლოდ მუშაობდნენ.

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: „ბეგრის სახეობა და მუშაობის რაოდენობა, მრავალ სხვადასხვა გარემოებათაგან დამოკიდებული, მრავალფეროვანია, ისევე როგორც გლეხის უფლებრივი მდგომარეობაც“[167].

ნატურალური და შრომითი ვალდებულების გვერდით ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის საფიქრებელია ფულადი რენტის არსებობაც[168]. მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ სუსტად ჩნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

მიუხედავად გლეხობის განუხრელი ზრდისა, ადრეფეოდალურ ხანაში მატერიალური დოვლათის მთავარი მწარმოებლები ჯერ კიდევ თავისუფალი მიწისმოქმედნი იყვნენ. ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას ქართლში მათთვის სოციალური და ეკონომიური დამონება მოჰქონდა[169].

ბ) მონები

ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებას საქართველოში მონათა ფენის ერთიანად გაქრობა არ მოჰყოლია. ადრეფეოდალურ ხანაში ძველი ურთიერთობის ერთ-ერთი გადმონაშთი ქართლში მონების არსებობა იყო. მონურ წარმოებას გამოცლილი ჰქონდა ნიადაგი, მაგრამ ქვეყნის სამეურნეო ცხოვ-

---

164 ს. კაკაბაძე. შიო-მღვიმის სამი სიგელი, 1912, გვ. 9.

165 იქვე, გვ. 11.

166 თ. ყორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა. გვ. 136.

167 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია მე-13-14 სს. გვ. 286.

168 მ. ლორთქიფანიძე, ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX—X საუკუნეების საქართველოში, გვ. 226.

169 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 285.

რებაში თავის წილს, თუმცა უმნიშვნელოს, ერთ ხანს კიდეც ინარჩუნებდა.

მონური შრომის გამოყენება სულ უფრო იფარგლებოდა უფლის სახლისა და მეურნეობაში სამსახურით.

ლიტერატურული წყაროების სიმცირის გამო, ფეოდალური ურთიერთობის ადრეულ საფეხურზე, მონებსა და მონური შრომის ექსპლოატაციის ხასიათზე ცოტა რამ ვიცით. V—VII სს. ძეგლები მხოლოდ აქა-იქ იხსენიებენ მონებს და მოსაქალებს („მხევლებს"), რაც აძნელებს ამ ფენის შესახებ რამდენადმე გარკვეული აზრის შემუშავებას.

„მონა" უფლის სრულ საკუთრებაში მყოფი ადამიანის აღმნიშვნელი უმთავრესი ტერმინი იყო ძველ ქართლში. ამ ტერმინს დიდი ხანია, რაც მკვლევრები უკავშირებენ ძვ. სპარსულ „maniya"-ს („სახლის მონა"), მაგრამ ჰქონდა გაცილებით ფართო მნიშვნელობაც, ვიდრე ტერმინის ეტიმოლოგიით იყო საფიქრებელი[170]. ამ მოსაზრებაზე დამყარებით, პროფ. გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ «грузинский термин, «мона» является, очевидно, заимствованием именно этой эпохи (ავტორს მხედველობაში აქვს აქემენიდური ეპოქა), когда к выполнению трудовой повинности персидскими царями по праву завоевателя привлекалось и грузинское население, часто вне пределов своей страны» [171].

სახარების ქართულ თარგმანში „მონა" ჩვეულებრივ ბერძნ. -„δοῦλος"-ისა და სომხ. „ծառայ"-ის შესატყვისად იხმარება[172].

„წარაჲ" სომეხი საბჭოთა ისტორიკოსების გამოკვლევებით მრავალმხრივი მნიშვნელობის მატარებელი ჩანს: „დაქვემდებარებული პირი", „მსახური", „ვასალი", „სერვი" და, ბოლოს,

---

[170] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 434—437.

[171] იქვე, გვ. 437—438.

[172] И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб, 1905, გვ. 73.

„მონა“[173]. ტერმინის ასეთი პრელი შინაარსი. ჩვენი აზრით, გამოწვეულია, ერთი მხრით, მონათმფლობელური ურთიერთობის ნაკლები განვითარებით სომხეთში, მეორე მხრით, ახალი (ფეოდალური) ურთიერთობის გავლენითაც. უძველესი სომხური ლიტერატურული ნაწარმოებები აგრეთვე ადრეფეოდალური ხანიდან მოიპოვება, როდესაც ძველი შინაარსის მატარებელი ტერმინები, ცხოვრების ახალი პირობების შედეგად, შინაარსს იცვლიდნენ, იფართოებდნენ.

ფართო აზრის მქონე ტერმინად მიაჩნია „მონა“ პროფ. გ. სოსელიასაც, მაგრამ მისი შესატყვისი სომხური ტერმინისაგან განსხვავებით, „მონას“, გ. სოსელიას მტკიცებით, ყველა შემთხვევაში ჰქონდა მხოლოდ ერთი მნიშვნელობა—„მსახური“, ხოლო „მონება“ „მსახურებას“ აღნიშნავდაო[174].

მონა რომ არა მარტო თავისუფლებას მოკლებული პირი იყო (рабъ), არამედ, გარკვეული აზრით, მსახურიც, ამის მტკიცება სრულიად ზედმეტია. სხვა რა გამოყენება და დანიშნულება უნდა ჰქონოდა „მონას“, თუ არა უფლის სამსახური (თავისუფლებას ადამიანებს, სწორედ, ამის გამო ართმევდნენ)[175]. მაგრამ თავი და თავი მსახურების შინაარსსა და ზომაში იყო: „კნინი და უნდოდ საქმე თანა-აც მონათა აღსრულებად“; „შრომად და ჭირი და შეპოვნებად მსგავსი მონათად“,— ასე ესმოდათ მონის სამსახური ძველ ქართველ მთარგმნელებს და ეს მარტო ტერმინის თეორიული (მთარგმნელობითი) მნიშვნელობის შედეგი არ ყოფილა.

მონა ამ თვალსაზრისით „შინა-მსახურიც“ იყო (პროფ. ბ. სოსელიას ტერმინია)[176], მაგრამ ასეთი პირი მონების გარ-

---

[173] С. Е. Акопян, История армянского крестьянства (IV—XIII вв.), автореферат докторской диссертации, Ереван, 1952, გვ. 28; С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1, გვ. 19.

[174] Г. Соселия, „мона“ по древнегрузинским источникам, Вопросы истории, 1955, № 4, გვ. 130.

[175] „მონის“ ამ დანიშნულებას მოაგონებს ეშმაკი სვიმონ მესუეტეს: „უკუეთუ მონად მიყიდე მე, მიმეც უკუე მსახურად და მონად კაცთა“. იხ. კ. კეკელიძე, კიმენი, 1, გვ. 269.

[176] Г. Соселия, დასახ. შრომა, გვ. 131.

ძველულ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელსაც ბიბლიაში „სახლის-წული“ ეწოდება (სხვაგან კიდევ „სახლეული“). როგორც პროფ. ს. ერემიანი შენიშნავს, ქართული „სახლის-წული“ სომხ. „ინტოწინ“-სა („ներտաձին“) და ბერძნულ („οἰκογενής“) («домочаден, рожденный в доме») შეესაბამება[177]. მხოლოდ ერთ შემთხვევაში (ლევიტელთა 22_{11}) სომხ. „ინტოწინ“-ის შესატყვისი ყოფილა „მონა“[178].

ტერმინი „ინტოწინი“ სომხეთში მონების გარკვეულ კატეგორიას აღნიშნავდა („შინამსახური“, „შინგაზრდილი“, „სახლეული“). „ავტარაწინ“-ებისაგან განსხვავებით („უცხოთა ნათესავი“, ე. ი. ომა სომეხი)[179].

„მონის“ ნამდვილი მნიშვნელობა კარგად ჩანს ნათარგმნი ძეგლებით, იქნება ეს ძველი თუ ახალი აღთქმის წიგნები, მსოფლიოს წმინდანთა ცხოვრებანი თუ მარტვილობები. ზოგიერთი ამათგანი წინ უსწრებს ქრონოლოგიურად ჩვენამდე მოღწეული ქართული ორიგინალური ლიტერატურის უძველეს ნიმუშებს. ამის გამო, ვფიქრობთ, ზედმეტი არ უნდა იყოს ასეთი ხასიათის ძეგლებიდან ზოგიერთი მასალის მოტანა მონების შესახებ.

პირველი ნიშანი მონობისა, იყო თავისუფლების ყველა ნიშნის უქონლობა, უფლის სრულ მორჩილებაში ყოფნა, ამიტომაა, რომ „მონა“ („მონება“) „აზნაურის“ („აზნაურება“) საპირისპირო ცნება იყო.

„მონანი და აზნაურნი, მდიდარნი და გლახაკნი, მთავარნი და შეურაცხნი, ბრძენნი და უგნურნი“[180].

„მონებისაგან ვამოგვიყვანეს და აზნაურებად მოგვიხიდნეს[181]“.

---

[177] С. Еремян, О рабстве..., გვ. 21.
[178] იქვე, გვ. 22.
[179] იქვე, გვ. 21.
[180] „მამათა სწავლანი, ილ. აბულაძის გამოც., 1955, გვ. 128.
[181] „სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, 1959, გვ. 101.

„ოქტავიოს მსაჯულმან ჰრქუა (ლონგინოზს): „მონაჲ... ხარ ანუ აზნაური?“[182].

უმთავრეს ქველმოქმედება-მოწყალებად ითვლებოდა მონების განთავისუფლება და გლახაკთათვის მოხაგების განაწილება.

„კაცმან ვინმე დიდებულმან მთავართა შვილმან, მდიდარმან ფრიად, განყიდა ყოველი მონაგები თჳსი და განუყო გლახაკთა და განთავისუფლნა მონანი თჳსნი“[183];

ნისიმემ „განთავისუფლნა მონანი და მხევალნი თჳსნი და ძისცა სახმარი. რომელი ფართოებით ეყოფჳოდა ცხორებასა ჳათსა“[184].

მაგრამ ყველა ასე, ცხადია, არ იქცეოდა. მაგრამ მთავარი ჳაინც ის იყო, რომ „სახიერთა და ტკბილთა უფალთა“ გარდა, იყჳნენ „უსახურნიც“. ასეთ უფალს აფრთხილებდნენ ქრისტიანი მქადაგებლები:

„მოიხსენე ღმერთი შენი. რაჟამს სწავლიდე გუემითა მონასა შენსა“[185].

თუ როგორ ექცეოდნენ ურჩ მონებს, ეს კარგად ჩანს „ბიბილას წამებიდან“. ნომერიანოს მეფე ბაბილას დაემუქრა: „არღარა თავს-ვიდეა შენი, არამედ ჯაჭუ ქედსა შენსა დაგდეა და ბორკილნი ფერხთა შენთა, ვითარცა მონასა ბოროტსა“[186].

ბიბლიაში „მონა“ ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, მონაოა ყველა იმ კატეგორიის აღსანიშნავად, რომელსაც კი აღმოსავლეთი იცნობდა[187]. ზოგჯერაც „მონა ნასყიდის“ სინონიმად გვაქვს „ვეცხლით სყიდული“ ანუ „ვეცხლით ფრდილი“[188].

როგორც ვხედავთ, ნათარგმნი ძეგლებით „მონა“ ბერძნ. Δοῦλος“-ის სრულ სემანტიკურ შესატყვისად გამოიყურე-

---

182 კიმენი, I. გვ. 189.

183 მამათა სწავლანი, გვ. 314.

184 კიმენი, I. გვ. 203.

185 მამათა სწავლანი, გვ. 147.

186 კიმენი, I, გვ. 46. შეადარე: „ნუ სცემ დედასა ჩუენსა ცუღად. რამეთუ აზნაურ არს“. იქვე, გვ. 46.

187 Г. Меликишвили. К истории..., გვ. 420.

188 იქვე, გვ. 426.

ბა. პროფ. გ. სოსელია ამ გარემოებას იმით ხნის, რომ მონის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინის შესატყვისად ქართველებს სხვა ტერმინი არ გააჩნდათო, ხოლო ორიგინალურ ნაწარმოებში ეს ტერმინი არასოდეს ამ მნიშვნელობით არ იხმარებაო[189].

ვამოდის, რომ ნათარგმნ ძეგლებში ტერმინს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა (ბერძნულ-რომაული სამყაროს მონებს აღნიშნავდა), ხოლო ძველი ქართლის სოციალურ ცხოვრებაში და, მაშასადამე, ორიგინალურ ლიტერატურაში, იგი განსხვავებულ ცნებას წარმოადგენდა. საინტერესოა, უარყოფენ ორიგინალური მწერლობის ჩვენებები თარგმნილ ძეგლებში დამკვიდრებულ „მონის" შინაარსს?

„შუშანიკის წამებაში", მაგალითად, მოხსენებულია პიტიახშის მონა, რომელიც სადიასპანო ცხენით ქართლისაკენ გამოემართა ვარსქენის სპეციალური დავალებით. ეს კაცი, როგორც ვხედავთ, გარკვეულ სამსახურს ასრულებს პიტიახშის წინაშე, მაგრამ იაკობ ხუცესისათვის იგი „მსახური" მაინც არაა. ვარსქენი მას სწორედ თავის აზნაურებსა და მსახურებს უგზავნის,—„რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ".

საერთოდ, თხზულებაში ხშირად არიან მოხსენებული მსახურები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხასიათის სამსახურს ასრულებენ პიტიახშის სასახლის კარზე. საყურადღებოა, რომ ვარსქენს შეძლებია მათი სიკვდილით დასჯაც[190]. შუშანიკის მცველად დაყენებულ ერთ-ერთ მსახურს იაკობმა სთხოვა შეეშვა დედოფლის სანახავად, რაზედაც მცველს უთქვამს:

„ნუ უკუე ცნას (ვარსქენმა) და მომკლას მე". ამის მერე წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ პიტიახშის მონები. საკმაოდ ჰყოლია „მონა-მხევალნი", როგორც „წამებიდან" ჩანს, ვარსქენის ძმას ჯოჯიკს.

---

189 Г. Соселия, დასახ. შრ., გვ. 128.

190 მაგრამ ეს, ცხადია, ვარსქენის განსაკუთრებული მდგომარეობითაც აიხსნება.

საკუთარი „მონა-მხევალნი“ ყოლია ევსტათისაც („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“). ეს კაცი მცხეთელი ხელოსანი იყო („მეხამლე“) და, როგორც ჩანს, სარგებლობდა მონური შრომის ექსპლოატაციით[191]. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი „მონა-მხევალნი“ უნდა ჰყოლოდათ მცხეთელ წარჩინებულებს და, საერთოდ, რა რაოდენობით უნდა ყოფილიყვნენ ისინი VI ს. მცხეთაში.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ საუბარია გიორგი ჩორჩანელის მონაზე, რომელიც „ჭირით და შრომით“ ასრულებს დიდი მთავრის ნაბრძანებს[192].

იოანე საბანისძის აზრით („აბო ტფილელის წამება“) „მონა“ არის, ის, ვინც „სყიდულია“. ასე შეეძლო ეთქვა მხოლოდ VIII ს. მწერალს, როდესაც მონების მოპოვება ქართლში ძირითადად ყიდვა-გაყიდვის გზით უნდა მომხდარიყო (ძველს იბერიაში მონათა მნიშვნელოვანი მასა, უეჭველია, ძალით მორეკილ ტყვე-უცხოელთაგან შედგებოდა).

IX—X სს. ქართულ მწერლობაში მონათა ხსენება აღარაა. როგორც ჩანს, ეს ფენა ამ დროისათვის თითქმის გამქრალია (ცხადია, თითო-ოროლა მონა მაშინაც ჰყავდათ).

უნდა ვიფიქროთ, რომ ყოფილი მონების ერთი ნაწილი, ალბათ, ისინი ვინც სოფლის მეურნეობაში იყვნენ ჩაბმული, ახლა უკვე გლეხობაში არიან გადასული. რაც შეეხება მონა-სახლეულებს („სახლის-წულებს“) მათ მცირე ნაწილს, შესაძლებელია, სხვაღასხვა გზით თავი გაეთავისუფლებინა და თავისუფალ მსახურთა რიგში ჩამდგარიყო. ერთი კი ცხადად შეიმჩნევა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში სახლის მონებსა და

---

191 ეს ხალხი ძირითადად ხელოსნურ წარმოებაში უნდა ყოფილიყო დასაქმებული. წინააღმდეგ შემთხვევაში საეჭვოა. მცხეთის ჩვეულებრივ ხელოსანს მათი შენახვის თავი ჰქონებოდა.

192 თხზულების თარიღის შესახებ ჩვენ სპეციალური წერილი მოგვეპოვება (ხელნაწერის სახით), სადაც ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ ეს ძეგლი VII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

მსახურებს შორის ის უფსკრული აღარაა, რაც წინათ უნდა ყოფილიყო[193].

მაგალითად, მონა ქალის აღმნიშვნელი ტერმინი—„მხევალი" (ბიბლიაში ამავე მნიშვნელობით იხმარება „შიმონვარიც") ფეოდალურმა სამყარომ თანდათან შეითვისა მსახური ქალის მნიშვნელობით. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მხევალთა სინონიმს „მსახურნი დედანი" წარმოადგენს[194]. ხმარებაში დარჩა აგრეთვე, ასევე შეცვლილი შინაარსით, მონათმფლობელის აღმნიშვნელი ტერმინი—„უფალი"[195].

მიწათმფლობელი-ფეოდალი ადრეფეოდალურ ხანაში თავის ქვეშევრდომებთან („ყმებთან") ურთიერთობაში ამ ტერმინით გამოდიოდა[196].

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ XI—XIII სს. ისტორიულ თუ ლიტერატურულ თხზულებებში კვლავ ჩნდებიან მონები, რაც საქართველოს დიდი სამხედრო წარმატებების პირდაპირი შედეგი იყო. მოგებული ომების შედეგად ათასობით ტყვე შემოდიოდა ქვეყანაში. ტყვეებით აივსო მეფისა თუ დიდ ფეოდალთა სასახლეები. ტყვე მსახური („მონა"), თუ ტყვე მწარმოებელი („გლეხი") ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

---

193 ამის ნიმუშია თუნდაც ის ტერმინოლოგიური შესწორებები, რომელიც საკმაოდ არის ბიბლიის ახალ რედაქციებში, როცა „მონა"-ს ნაცვლად შეუტანიათ „მსახური".

194 გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 104.

195 სახარებაში „უფალი" ბერძ. „κύριος" (владыка, господин) და სომხ. „տեր"-ს ეს წორება. იხ. И. А. Джавахов. Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб, 1905, გვ. 72. პროფ. ნ. ადონცის აზრით, „Грузинский уфали реально и этимологически соответствует семит. vaal, владыка; Так назывались у семитов боги—покровители племён". იხ. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 404. მაგრამ „უფალი", როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ორგანულ კავშირში იმყოფება ამავე უფ- ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებთან, რომელთაც საკმაო გავრცელება მოუპოვებიათ ქართულ ენაში: „უფლება", „მეუფე" (— მეფე) „მფლობელი", „მამფალი", „დიუფალი" (— დედოფალი) და სხვა. რაც ჩვენი აზრით, საეჭვოდ ხდის ადონცის მოსაზრებას.

196 IX ს-დან მას თანდათან დევნის „პატრონი", მაგრამ განაგრძობს ძველებობას, როგორც ღვთაების სინონიმი.

ტრადიცია ერთხელ კიდევ გაცოცხლდა, „ტყვე“ და „მონა“ სინონიმური სახელები გახდნენ.

დ ა ს კ ვ ნ ა

VI საუკუნიდან საქართველოს სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში აღინიშნება დიდმნიშვნელოვანი გარდატეხა. საქართველოში ადრეფეოდალურმა ურთიერთობამ გაიმარჯვა და ქვეყანა სოციალურ-ეკონომიური განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. ამ დროიდან შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ფეოდალურია, თუმცა ძველი ურთიერთობის გადმონაშთები და დრომოჭმული საზოგადოებრივი ძალები თავის მნიშვნელობასა და გავლენას კიდევ ინარჩუნებენ.

ფეოდალური ურთიერთობის შინაარსი, ისევე როგორც ყველგან, ჩვენშიც უმთავრესად მიწაზე ფეოდალური საკუთრების დამკვიდრებაში გამოიხატებოდა. ადრეფეოდალურ ქართლში საქმე გვაქვს მიწათმფლობელობის შემდეგ ძირითად ფორმებთან:

ს ა ს ე ფ ო მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. სასეფო მიწა-წყალი სეფე-სახლის საკუთრებას შეადგენდა. სანამ მონათმფლობელური ქართლის სამეფო არსებობდა, სეფე ქვეყანა ვრცელი იყო. მართალია, დროდადრო სეფე-სახლის ხაგგარეულო საკუთრებას ეთიშებოდა მიწების გარკვეული ნაწილი, რომელიც სამეფო სახლის გვერდითი შტოების შემკვიდრეობით საკუთრებაში გადადიოდა. მაგრამ სასეფო საქონებელი დაპყრობილი ტერიტორიების ხარჯზე კვლავ ივსებოდა. მაშინ ამ მიწების ერთი ნაწილი უმთავრესად პირობით მფლობელობაში გაიცემოდა (სამეფო ვარის დიდ მოხელეებსა და აზნაურ-წარჩინებულებზე). ნაწილი კიდევ სამეფო სახლის უშუალო საკუთრებაში რჩებოდა.

მონათმფლობელური ქართლის სამეფოს დაცემას სასეფო მიწათმფლობელობის მკვეთრი შემცირება მოჰყვა. პირად მფლობელობაში გაცემული სამეფო მიწების დიდი ნაწილი

ერისთავებმა და ერისთავებმა მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ საკუთრებად გადააქციეს (აღსანიშნავია, რომ ამ მიწებზე „მკვდრობისათვს“ სპეციალური საბუთები მათ ბერძენ-სპარსელ მეფეთაგან მიიღეს). სეფე-სახლის მეთაური, რომელიც შექმნილ ვითარებაში „ერისმთავრის“ სახელით შეუდგა ქვეყნის მართვას, იძულებულია მდგომარეობას შეურიგდეს. ამის შემდეგაც სეფე-სახლის საკუთრებაში მიწების მნიშვნელოვანი ფონდი რჩებოდა (შიდა-ქართლი, კახეთი, მთიანეთი) და მისი მეთაური არა მარტო ადრეფეოდალური ქართლის უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფალი იყო, არამედ პირველი მიწათმფლობელი—ფეოდალიც.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგად სასეფო მიწები სულ უფრო გაიცემოდა სამხედრო სამსახურის პირობით; ე. წ. „საკარგავების“ სახით. მაგალითად, VIII საუკუნეში ერისმთავარმა არჩილმა მოელი კახეთი საკუთარ ტაძრეულებში გაანაწილა „და აზნაურ ყუნა იგინი“. VIII ს. მიწურულში არაბთა ბატონობის სისასტიკის შედეგად ქართლის უძველესი სეფე-სახლი დაემხო და სასეფო მიწათმფლობელობაც მოიშალა. IX საუკუნიდან ბაგრატიონთა სამეფო სახლის შექმნით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სასეფო მიწათმფლობელობაც გაჩნდა, რომელმაც შემდეგ ისტორიული ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიკავა.

კ ე რ ძ ო მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. კერძო-სამფლობელო მიწები უმთავრესად თემური ორგანიზაციების საკუთრებას ეთიშებოდნენ. ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების შესაბამისად ეს პროცესი ღრმავდებოდა. კერძო მიწათმფლობელობის წარმოშობის წყაროებია აგრეთვე უშერის მოშენება, უხმარის სახმარად გადაქცევა, მფლობელობის ხანდაზმულობა, განსაკუთრებით „სყიდვა“ და სხვ.

თუ მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა ფეოდალურ ხასიათს იძენდა, წვრილი კერძო მფლობელობა ცალკეული ოჯახების ინდივიდუალურ სარგებლობაში რჩებოდა. წვრილი მი-

წათმფლობელები ქართლში ადრეული ფეოდალიზმის ხანაში უმთავრესად თავისუფალი მწარმოებლები (მდაბიურები) იყვნენ. X ს. ბოლოსათვის მწარმოებელთა კერძო მიწა-წყლის მიტაცებისა და მათი ფეოდალურ მამულებად გადაქცევის პროცესი ბარის საქართველოში ძირითადად დასრულებულია.

ფ ე ო დ ა ლ უ რ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. ფეოდალური მიწათმფლობელობა თავდაპირველად მსხვილი კერძო მფლობელობის ბაზაზე შეიქმნა. შემდეგში იგი უმთავრესად სათემო მიწების დატაცების ხარჯზე იზრდებოდა. მიწის ფეოდალური საკუთრების წარმოშობის მნიშვნელოვანი საშუალება იყო წყალობა-ბოძებაც. ნაწყალობევი მიწა „ყმას" ან პირობით მფლობელობაში ეძლეოდა, ე. წ. „საკარგავების" სახით, ანდა „მკვიდრად" და „სამამულოდ". ე. ი. მემკვიდრეობით მფლობელობაში.

საერთოდ, ქართლში იმთავითვე ფართო გავრცელება მოიპოვა, როგორც მიწის მემკვიდრეობითი მფლობელობის სისტემამ, ისე მიწის პირობითმა მფლობელობამ. პატრონყმური ურთიერთობის ხანაში (ადრეფეოდალური სანა) ფეოდალური მიწათმფლობელობის მთავარ ფორმას მაინც ეს უკანასკნელი შეადგენდა.

ადრეფეოდალურ ქართლში მსხვილი მემამულეობა თავიდანვე ძლიერია, მაგრამ აქ მაინც საშუალო და წვრილი ფეოდალური მფლობელობა სჭარბობდა. ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი მემკვიდრეობითი მფლობელობა მემკვიდრეობით საკუთრებად გადაექციათ. ამ ნიადაგზე გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა დიდგვარიან აზნაურებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

ქართლში ისევე როგორც სხვაგან. ფეოდალური სამეურნეო ორგანიზაციის ორი ძირითადი ფორმა არსებობდა. საპატრონო მიწების დიდი ნაწილი ფეოდალების უშუალო სარკებლობაში რჩებოდა და ფეოდალური მეურნეობის შინაარსს ქმნიდა. აქ გლეხური შრომის უშუალო ექსპლოატაცია ხდებოდა. მიწების მეორე ნაწილი გლეხებზე იყო გადაცემული, რომ-

ლით სარგებლობისათვის მიწის მუშა პატრონს მოსავლის გარ-
კვეულ ნაწილს უხდიდა.

ს ა ე კ ლ ე ს ი ო-ფ ე ო დ ა ლ უ რ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე-
ლ ო ბ ა. ქრისტიანულმა ეკლესიამ სამამულო სფეროში მალე
დაიკავა წარმართული სატაძრო მემამულეობის ადგილი. შემ-
დეგშიაც ეკლესიის სამიწო საკუთრება განუხრელად იზრდებო-
და. საეკლესიო მიწათმფლობელობა უმთავრესად შეწირულე-
ბით და ყიდვით იქმნებოდა. საეკლესიო საქონებელთა გაზრდის
ერთ-ერთი საშუალება სათემო და წვრილი კერძო-სამფლობე-
ლო მიწების პირდაპირი მიტაცებაც იყო.

ეკლესიის მამულების კონცენტრაცია ხდებოდა საეპისკო-
პოსოებში, რომლებიც მსხვილ ფეოდალურ ერთეულებად ყა-
ლიბდებოდნენ. საერთოდ, უკვე ადრეფეოდალურ ხანაში ეკ-
ლესია დიდი ფეოდალური ორგანიზაციაა. საეპისკოპოსო კა-
თედრების და დიდი მონასტრების ხელში ათობით სოფლებია.
მნიშვნელოვანია საეკლესიო სენიორიების ყმა-აზნაურთა („სა-
ყდრის შვილები") და გლეხების რიცხვიც.

ს ა თ ე მ ო მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. ადრეფეოდალურ
ქართლში თემური მიწათმფლობელობა სასოფლო-ტერიტო-
რიული თემის ფორმით არსებობდა სასოფლო თემში სახნავ-
სათესი მიწები, საძოვრები და ტყეები სათემო მფლობელობი-
სა და სარგებლობის საგანი იყო. მაგრამ თემში უკვე გაჩენილია
ინდივიდუალური კერძო საკუთრება შრომის იარაღებზე, მუშა
და შინაურ პირუტყვზე, საცხოვრებელ და რიგ სამეურნეო
ნაგებობებზე. ქვეყნის სამეურნეო განვითარების კვალად კერ-
ძო საკუთრება შემოდიოდა სათემო მიწა-წყალზედაც. თემი
ირღვეოდა.

თემის რღვევის პროცესი ხანგრძლივი ხასიათის მოვლენაა
და ყველგან იგი ერთდროულად და ერთნაირი ინტენსივობით
არ მიმდინარეობდა. ქვეყნის დაწინაურებულ რაიონებში, სა-
დაც ინტენსიური მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგები გან-

ვითარდა, საკუთრების პრინციპმა და „ნასყიდმა" აქ ფართო გავრცელება ჰპოვა. რამაც ლემურობას ადრეეე გამოუთხარა ძირი.

მაგრამ თემის დაშლის პროცესი მარტო შინაგანი გზით არ მიმდინარეობდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქმეში გარეეკონომიურ იძულებას, პირდაპირ ძალადობას ფეოდალების მხრიდან. ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ქართლის დაწინაურებულ კუთხეებში სათემო მიწა-წყალის უდიდესი ნაწილი უკვე ფეოდალურ მამულებად იყო გადაქცეული. სასოფლო-ტერიტორიულმა თემმა, როგორც მიწათმფლობელობის ფორმამ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მაგრამ როგორც მიწათსარგებლობის ფორმა განაგრძობდა არსებობას.

ეკონომიურად და პოლიტიკურად დამორჩილებული სასოფლო თემები ამის შემდეგ არსებობას განაგრძობენ, როგორც მეფისა და აზნაურების მემამულურ ინტერესებს დაქვემდებარებული ადმინისტრაციულ-სამეურნეო ორგანიზაციები.

ფეოდალები. ადრეფეოდალური საზოგადოება თავისი შემადგენლობით მრავალფეროვანია. რაც წინარე საზოგადოებრივი ფორმაციის გადმონაშთების არსებობითაა გაპირობებული. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასები—ფეოდალები (აზნაურები) და გლეხები. ამათ გვერდით გარდამავალი საზოგადოებრივი ფენების არსებობა თავისთავად ცხადია.

ფეოდალთა კლასი სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს აერთიანებს. საერთო მათ შორის ისაა, რომ ყველა მიწისმფლობელი და ექსპლოატატორია, მაგრამ იერარქიულ კიბეზე მეტ-ნაკლებად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური უფლებებით წარმოგვიდგებიან.

ერისმთავარი. ქართლში ადრეფეოდალური პოლიტიკური დაშლილობის ხანაში სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ერისმთავარი იდგა. ერისმთავრები ბიზანტიის კეისრების უმაღლეს მოხელეებად ითვლებოდნენ ქართლში და სხვადასხვა ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს ატარებ-

ღნენ. ქართლში მათ ამის გამო „ერისთავები“ (ერისმთავრები) ეწოდებოდათ. მაგრამ ქვეყნის შიგნით, როგორც უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფალნი, ქართლის სხვა ერისთავების მიმართ „ერისთავთა-მთავრებად“ გამოდიოდნენ. არაბთა ბატონობის დროს ქართლის ერისმთავარი ამირას ემორჩილებოდა. მას ევალებოდა საარაბო ხარკის მოკრეფა და საჭირო შემთხვევაში ჯარის გამოყვანა.

ერისმთავრობა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის შესაფერი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა იყო. საქართველოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიური განვითარება ახალ პოლიტიკურ ფორმას საჭიროებდა. ასეთ პირობებში IX ს. დასაწყისიდან ქართლის ერისმთავრობის ინსტიტუტმა შეწყვიტა არსებობა.

ს ე ფ ე წ უ ლ ე ბ ი საზოგადოების უმაღლეს წრეს შეადგენდნენ. წარმოშობით ისინი სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდნენ. მაგრამ თანდათან დაშორდნენ მთავარ სამეფო შტოს და ქართლის უმაღლესი არისტოკრატია შეადგინეს. სანამ ეს წრე მეფური წარმოშობისა იყო, გასაგები მიზეზის გამო, „სეფეწული“ მთელი ამ ფენის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. მაგრამ, როცა, ამ წრეში არა მეფური წარმოშობის სახლებიც გაერთიანდნენ, ეს ტერმინი მთელი ამ ფენის მნიშვნელობით აღარ იხმარება. „სეფეწული“ ადრეფეოდალური არისტოკრატიის ერთ გარკვეულ (მეფური შთამომავლობის) ჯგუფს აღნიშნავს.

მ თ ა ვ რ ე ბ ი ც უმაღლეს სოციალურ წრეს ეკუთვნოდნენ. პროვინციების მმართველთაგან (ერისთავები) განსხვავებით ამ ტერმინით უმთავრესად ცენტრალური აპარატის დიდი მოხელენი იწოდებოდნენ. ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ „მთავარმა“ მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური მნიშვნელობა მიიღო და ახლა უმთავრესად „გახელმწიფებულ“ ერისთავებს აღნიშნავდა.

VI—IX სს. ქართლში „ხელმწიფობა“ (საჯარო პოლიტიკური უფლება) მთავრების ხელშია. ქართლის ერისმთავარიც სხვა არა იყო რა, თუ არა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი, მხოლოდ „უმეტესი მოყუასთა მისთაჲ“.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესს მთავართა სოციალურ-პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვა მოჰქონდა. მთავრები ზედიზედ ჰკარგავდნენ ხელმწიფობას, რომელიც მეფის ხელში გადადიოდა.

ერისთავები სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის უმაღლეს ფენას შეადგენდნენ. მთავრებისაგან განსხვავებით ისინი „საქვეყნოდ გამრიგენი", ე. ი. ცალკეული ქვეყნებისა და მხარეთა მმართველები იყვნენ და ჩვეულებრივად სეფეწულთაგან და წარჩინებულებისაგან ინიშნებოდნენ. გარდა იმ რვა-ოხრა ერისთავისა, რომლებიც ხშირად არიან წყაროებში მოხსენებული, იყვნენ უფრო მცირე ტერიტორიული ერთეულების მმართველებიც, რომლებიც ამა თუ იმ „დიდი ერისთავის" საგამგეოში შედიოდნენ. მათ „ცოტაჲ ერისთავები" ეწოდებოდათ.

ძველი ქართლის ერისთავი მეფის მორჩილი მოხელე იყო, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნის დროიდან საერისთაო ქვეყანაზე საშვილიშვილოდ დამკვიდრებისათვის იბრძოდა. VI საუკუნისათვის ეს ბრძოლა ერისთავების გამარჯვებით დამთავრდა. ქართლის ერისმთავრებს ერისთავები ემორჩილებოდნენ საერისთაოების მემკვიდრეობითი მფლობელობის საფუძველზე.

ქართლში ერისმთავრობის (ადრეფეოდალური პოლიტიკური დაშლილობის ხანა) დასრულების შემდეგ გამთავრებულ-ახელმწიფებული ერისთავების აღსასრულიც მოახლოვდა.

აზნაურები ფეოდალთა კლასის ყველაზე მრავალრიცხოვან, სამხედრო-მსახურეულ, ფენას შეადგენდნენ. აზნაურობა უმთავრესად მეფის სამსახურში დაწინაურებულ თავისუფალ მიწისმფლობელთაგან იქმნებოდა. მათი უმთავრესი მოვალეობა სამხედრო სამსახური იყო, რომლის სანაცვლოდ, პირობითი მფლობელობის საფუძველზე, ისინი ცენტრალური ხელისუფლებისაგან მიწას ღებულობენ.

ჩვენი დაკვირვებით, V—VII სს. აზნაურობა ქართლის მაღალი საზოგადოების მხოლოდ ერთი გარკვეული ჯგუფია, რომელსაც შინაგანი დიფერენციაცია ჯერ კიდევ არ განუცდია და შეუძლებელია ამ დროს „აზნაური" მთელი უმაღლესი

წრის ზოგადი ეპითეტი იყოს: მხოლოდ ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის, შეიძლება ითქვას, რომ აზნაურობამ მოიცვა საზოგადოების ფეოდალური ნაწილი. ბუნებრივია, რომ ახლა უკვე ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანებული საზოგადოება აღარ იყო ერთფეროვანი მასა. ამასთან დაკავშირებით „აზნაური" ყოველ ცალკე შემთხვევაში ირთავს მსაზღვრელს, როგორც მაგალითად: „დიდი აზნაური" („დიდებული აზნაური"), „მემამულე აზნაური", „ტაძრეული აზნაური" და სხვ.

IX—X სს. აზნაურობა, როგორც გაბატონებული წოდება, ფეოდალურ-კლასობრივი მოწიფულობის გზაზეა შემდგარი. ?აგრამ აზნაურთა ფეოდალური კლასის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სრულდება.

მ ხ ე დ რ ე ბ ს გარდამავალი საფეხური ეკავათ წარჩინებულებსა და მატერიალური დოვლათის მწარმოებელ თავისუფალ საზოგადოებას შორის. მხედრობა სამხედრო-მსახურეული ფენა იყო. მონათმფლობელური ქართლის არსებობის ხანაში მხედრებს სამსახურის სანაცვლოდ ულუფა და სარგო ეძლეოდათ, რომელსაც „როჟიკი" ერქვა. ქვეყანაში ფეოდალიზაციის პროცესის განვითარებასთან დაკავშირებით მხედრობის სამსახურის საფუძველი თანდათან მიწა გახდა.

მხედრობა, როგორც სამხედრო-მსახურეული წრე, მონათმფლობელური ცენტრალიზმის პირობებში შეიქმნა. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პირობებში იგი სულ უფრო იშლებოდა და აზნაურთა, უფრო კი, მდაბიურთა სოციალურ რიგებს ავსებდა. ადრეფეოდალური ურთიერთობის „პოლიტიკური დაშლილობის" საფეხურზე მხედრობა, როგორც ცალკე ფენა გაქრა. მათი სამხედრო ფუნქცია, საერთოდ, აზნაურთა კლასის ხელში მოექცა.

მ ს ა ხ ურ ე ბ ი ც გარდამავალ საზოგადოებრივ ფენას შეადგენდნენ. საზოგადოებრივი მდგომარეობით და ქონებრივი შეძლებით ურთიერთისაგან განირჩეოდნენ მეფისა და სხვადასხვა მდგომარეობის აზნაურთა მსახურები.

ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე მსახურთა ფენის სოციალური მდგომარეობა და ფეოდალური ვალდებუ-

ლება უცვლელი არ ყოფილა. ადრეული ფეოდალიზმის დროს მსახურები ძირითადად სამეურნეო-ადმინისტრაციულ უბანზე არიან დასაქმებული: ფეოდალის მეურნეობას უძღვებიან და წესრიგის დაცვას თვალყურს ადევნებენ.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, თავისუფალ მიწისმოქმედთა საზოგადოების გაქრობის შესაბამისად, მსახურთა ცალკე სოციალური ფენაც დაიშალა. უფრო გვიან მსახურები მხოლოდ გლეხთა პრივილეგირებულ კატეგორიას წარმოადგენენ.

მწარმოებელი საზოგადოება. არც მიწის მოქმედთა საზოგადოება იყო ერთფეროვანი. საერთო მათ ის აქვთ, რომ ყველა მშრომელი და ექსპლოატირებულია, მაგრამ განსხვავდებიან უფლებრივად და ეკონომიურად.

მ დ ა ბ ი ო ს ე ბ ი თავისუფალი მეთემეები იყვნენ. ამ სოციალური ფენის არსებობას ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გარკვეული დონე განსაზღვრავდა. X ს. გასულისათვის ბარის საქართველოში სათემო მიწების მიტაცებისა და მდაბიოთა დაყმევების პროცესი ძირითადად დასრულდა და პატრონყმური ურთიერთობის სფერომ მათი სახით მწარმოებელი საზოგადოებაც მოიცვა. „მდაბიო" ახლა რამდენადმე იფართოებს და იცვლის შინაარსს: იგი უმთავრესად დაყმევებული მწარმოებლის სახელია (resp. აზნაურის ყმა, ყმა-მოლაშქრე), რომლის ფეოდალური ვალდებულება სახელმწიფოსა და პატრონის წინაშე ლაშქრობა და სამსახურია.

პირადად მდაბიურები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავისუფლებას და ფეოდალის მიწაზე არ არიან მიმაგრებული. მდაბიოთა თავისუფალი სოციალური ფენის დაყმევება, კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით, იყო მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც ადრეფეოდალური ურთიერთობის ეტაპზე დასრულდა.

გ ლ ე ხ ე ბ ი. ადრეფეოდალურ ხანაში მწარმოებლებს შორის ყველაზე დაბალი ადგილი გლეხებს ეკავათ. გლეხი თავისუფლებას მოკლებული, მიწაზე მიმაგრებული მუშა იყო, რომელსაც ბეგარა და მუშაობა-სამსახური ეკისრებოდა. გლეხად გადაქცევა პირადი უუფლებობით და ეკონომიური შეუძ-

ლებლობით იყო გამოწვეული. ტყვეები, მიწაზე დასმული მონები, ვალში გაყიდული შეუძლებელი მოვალეები, მძიმედ დაბეგრილი მდაბიურები გლეხთა ფართო სოციალურ ფენას ქმნიან. მაგრამ უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობით გლეხები ურთიერთობისაგან განსხვავდებიან. მათი საერთო და ძირითადი ვალდებულება ბეგარა და მუშაობა-სამსახური იყო.

მიუხედავად გლეხთა განუხრელი ზრდისა, ადრეფეოდალურ ხანაში ისინი ჯერ კიდევ მწარმოებელი კლასის მთელ ნაწილს არ შეადგენენ. მხოლოდ პატრონყმობის ბატონყმობაში გადასვლის შემდეგ, როცა ამ ფენაში გაერთიანდა ქვეყნის მწარმოებელთა მთელი მიწისმოქმედი ნაწილი, გლეხობა, როგორც კლასი, საბოლოოდ ჩამოყალიბებულია.

მ ო ნ ე ბ ი. ადრეფეოდალურ ქართლში, როგორც ძველი ურთიერთობის გადმონაშთი, მონებიც არსებობდნენ. მონურ წარმოებას, მართალია, უკვე გამოცლილი ჰქონდა ნიადაგი, მაგრამ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში თავის წილს ერთხანს კიდევ ინარჩუნებდა.

IX—X საუკუნეებისათვის მონათა ფენა თითქმის გამქრალია, თუმცა მონები ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე აქა-იქ კიდევ არსებობენ.

* * *

როგორც ყველგან, ისე ქართული ფეოდალური საზოგადოების კლასებად დაყოფა მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. მაგრამ შესაფერი წყაროების სიმცირის გამო, კლასობრივი ბრძოლის საკითხი სპეციალურად არ გაგვიხილავს.

ლიტერატურა

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952.

ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. თბ., 1953.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. 3. თბ., 1948.

რ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. ნაწილი I, თბ., 1950.

საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1959.

წარკვეევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957.

რ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია მე-13-14 სს., თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. VI. 1937.

ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I, თბ., 1955.

ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II. თბ., 1956.

მ. ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა კატეგორიები XI—XII საუკუნეებში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V. ნაკვ., I. თბ., 1960.

ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბ., 1958.

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვახტანგ გორგასალი. თბ., 1959.

მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX-X საუკუნეების საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, I. 1960.

გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1959.

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I, თბ., 1928.

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. I, თბ., 1928.

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკვ. II, თბ., 1929.

ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, I, თბ., 1949.
ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952.
ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952.
ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952.
Ф. Э н г е л ь с, Марка. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XV, 1935.
Ф. Э н г е л ь с, Франкский период. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XVI.
Ф. Э н г е л ь с, (О Франции в эпоху феодализма). т. X, стр. 279 — 302.
Н. Г. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана. СПб, 1908.
С. Е. А к о п я н, История армянского крестьянства IV—XIII вв. Автореферат докторской диссертации, Ереван, 1952.
Б. Н. А р а к е л я н, Города Армении в IX—XIII веках. Автореферат докторской диссертации, Ереван, 1954.
В Б. Б а р х у д а р я н, Феодальное землевладение в Армении в IX—XI веках. Автореферат кандидатской диссертации, Ереван, 1954.
Н. А. Б е р д з е н и ш в и л и, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв., Тбилиси, 1938.
А. В. В е н е д и к т о в, Государственная социалистическая собственность, М., 1949.
П. Г. В и н о г р а д о в, Происхождение феодальных отношений в лангобардской Италии, СПб, 1880.
П. Г. В и н о г р а д о в, Исследование по социальной истории Англии в средние века, СПб, 1887.
Н. П. Г р а ц и а н с к и й, Бургундская деревня в X—XII столетиях. М.-Л., 1935.
Н. П. Г р а ц и а н с к и й, Из истории западноевропейского феодализма. М.-Л., 1934.
Б. Д. Г р е к о в, Феодальные отношения в Киевском государстве М.-Л., 1935.
Б. Д. Г р е к о в, Киевская Русь. М., 1953.
Б. Д. Г р е к о в, Крестьяне на Руси, кн. II, М., 1954.
А. М. Д а н и е л я н, Правовое положение крестьян в древней Армении. Автореферат кандидатской диссертации. Л., 1947.
Г. М. Д а н и л о в а, Возникновение феодальных отношений у франков VI — VII вв., Петрозаводск, 1959.

Л. И. Дембо, Земельные правоотношения в классово-антагоническом обществе. Л., 1954.

И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. VIII. (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии), СПб, 1905.

С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении. ВДИ, 1950, № 1.

С. Т. Еремян, Армения в период кризиса рабовладельческого общества и формирования феодальных отношений. Очерки истории СССР, III — IX вв., М., 1958.

С. Н. Какабадзе, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков. Тифлис, 1912.

Е. А. Косминский, Английская деревня XIII—XIV вв. и восстание Уота Тайлера, М.-Л., 1935.

Е. А. Косминский, Исследование по аграрной истории Англии XIII в., М., 1947.

Н. А. Марр, Тексты и разыскания по Армяно-грузинской филологии, VI, СПб, 1904.

Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии. Тбилиси, 1960.

Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии. Тбилиси, 1959.

Неусыхин, Возникновение зависимого крестьянства как класса ранне-феодального общества в Западной Европе VI—VIII вв. М., 1956.

Д. М. Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, М., 1937.

Н. В. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье. М.-Л., 1956.

Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI—VII веков. М.-Л., 1946.

Д. К. Щеглов, К проблеме образования феодального государства. М., 1948.

წყაროები

იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., 1938.

მარტვილობაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ. ძველი ქართული ლი-

ტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი, წ. I. თბ., 1946.

ბასილ ზარზმელი. ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, კ. კეკელიძის გამოცემა (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა), ოთ., 1935.

მარტვილობა აბო ტფილელისა, კ. კეკელიძის გამოცემა (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა), თბ., 1935.

გიორგი მერჩულე, ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, პ. ინგოროყვას გამოცემა. თბ., 1949.

გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად დამზადებული ივ. ჯავახიშვილის მიერ. თბ., 1916.

გიორგი ხუცეს-მონაზონი, ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ (ათონის ივერიის ალაპები), თბ., 1901.

მარტვილობაჲ დავით და კონსტანტინესი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი. თბ., 1946.

ქართლის ცხოვრება. I, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება. II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954.

ეისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფ., 1938.

ს. კაკაბაძე. ამირანდარეჯანიანი მოსე ხონელისა, ტფ., 1939.

თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წ. II, თბ., 1897.

თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჟანის ქვაბთა, თბ., 1896.

ილ. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. თბ., 1955.

Е. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, Тифлис, 1908.

«История Армении Моисея Хоренского». Перевод с армянского Н. О. Эмина. М., 1893.

«История Армении фавстоса Бузанда». Перевод с армянского М. А. Геворгяна, Ереван, 1953, гз. 148.

შინაარსი

	გვ.
წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
თავი პირველი	
VI—X სს. ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ზოგადი მიმოხილვა	12
თავი მეორე	
მიწათმფლობელობის ფორმები	42
1. სასეფო მიწათმფლობელობა	44
2. საეკლესიო მიწათმფლობელობა	50
3. კერძო მიწათმფლობელობა	58
4. ფეოდალური მიწათმფლობელობა	64
5. სათემო მიწათმფლობელობა	70
თავი მესამე	
საზოგადოებრივი კლასები	73
1. ფეოდალთა კლასი	73
ა) სეფეწულები	73
ბ) მთავარი	78
გ) ერისთავი	83
დ) აზნაურები	92
ე) მეიდრეები	101
ვ) მსახურები	107
2. მწარმოებელთა კლასი	110
ა) მდაბიონი	110
ბ) გლეხები	119
გ) მონები	127
დასკვნა	135
ლიტერატურა	145

Анри Александрович Богверадзе

ИЗ ИСТОРИИ РАННЕФЕОДАЛЬНЫХ ОБЩЕСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ В КАРТЛИ

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. მაისურაძე
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ნ. ქავთარაძე

გადაეცა წარმოებას 15.7.1961; ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 7.12.1961; ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{32}$;
ქაღალდის ფურცელი 4,7; საბეჭდი ფურცელი 7,7; სააღრიცხვო-საგამომცემლო
ფურცელი 6,89; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 7,02;
შეკვეთა 1076; უე 02928; ტირაჟი 1000
ფასი 46 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ვ. ტაბიძის ქ. № 3/5